PEACE TIMES

დრო მშვიდობისა

PT #13_2006 წ

ICCN

ICCN

PT #13_2006 ᲘᲐ

გამოიცემა
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის
მიერ
ქორდეიდის
ფინანსური
მხარდაჭერით

Published by:
International Center on Conflict and Negotiation
Supported by: ***Cordaid***

Editor:
GHIA CHUMBURIDZE

Design and layout:
Giga Chikhladze &
Chumbo Group

რედაქტორი:
გია ჭუმბურიძე

გაფორმება და დაკაბადონება:
გიგა ჩიხლაძე
& Chumbo Group

Cover photo: Alexander Klimchuk
Back cover photo: Giga Chikhladze

გარეკანის ფოტო: ალექსანდრე კლიმჩუკი
უკანა გარეკანის ფოტო: გიგა ჩიხლაძე

მისამართი: ივ. მაჩაბლის 5, I სართული, თბილისი 0105
Address: 5 Machabeli str., 1-st Floor, Tbilisi 0105, Georgia

ტელ.,/Tel.:	99-99-87; 93-91-78
ფაქსი/Fax:	93-91-78
E-mail:	iccn@iccn.ge
URL:	http://www.iccn.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას.

ISSN: 1512-3375

© 2006 by ICCN

6 → **სარედაქციოს მაგიერ**
მიზანტროპის ჩანაწერები

10 → **პოლემიკა / დიალოგი**
ერთი საზრისი დავით ზურაბიშვილის
წერილზე ‘III რომის შემოდგომა

16 → ოკამის სამართებლი vs უქარქაშო ხმლები

კონფლიქტოლოგიის საფუძვლები
20 → კონფლიქტის სტრუქტურა

AD MEMORIAM
30 → ჩემი უკეთესი ‘მე’

კუთხური ამბები
46 → სადაურსა სად წაიყვან...
50 → ნეშტის შემბღალავნი

უკომენტაროდ
54 → მზეთუნახავი და ურჩხული

აკას მოყვარულთა კლუბი
66 → ჩვენი მაშინდელი ამბავი

ГОТИЧЕСКИЕ ИСТОРИИ
84 → Маршрут №347

სალაღობო დეტექტივი
90 → ჭიქა ღვინო

HOW NOT TO BE AN ALIEN
106 → 11 rules

110 → **პოეტობის ერთი გვერდი**



რაც კარგები ვართ...

"... ცნება შეუწყნარებლობა ჩემთვის კიდევ იმიტომაცაა მიუღებელი, რომ იმთავითვე შემწყნარებლობასაც გულისხმობს, ეს კი ჩვენს სამყაროში მცხოვრები ნებისმიერი არსებისათვის ერთნაირად შეურაცხმყოფელია... ოღონდ ამგვარი დამოკიდებულება იმას კი არ ამცირებს, ვის მიმართაცაა მიმართული, არამედ სწორედ მას, ვისგანაც მოდის იგი — რადგან ეს მხოლოდ პიროვნების სირეგვენესა და გონებრივ შეზღუდულობაზე მიათითებს..."*

კლიფორდ საიმაკი, ''გობლინების ნაკრძალი''.

...იმგვარი კაცია, ნამდვილი ქართველი გეგონება! — ეს ერთი ფრაზაც საკმარისია, ''სხვების'' მიმართ ''ჭეშმარიტ'' ქართველთა დამოკიდებულების საილუსტრაციოდ...

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ''ქართველთა უნიკალური შემწყნარებლობის'' თაობაზე თქმული სადღეგრძელოები ძარღვებს მიშლიდა ხოლმე: ფაიზაღი ნაციონალისტები რომ ვართ, ეგ როგორღა-მეთქი?! (გაიხსენეთ: ''მსხვერპლი არ არის, მოკვდა ორი თათარი...'') და მაგიტომაც არაა, ახლა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაზე რომ გვეშლება ნერვები — ეგენი რა ფრანგები არიანო! თითქოსდა ადრე, წარ-სული დიდების ჟამს, რაიმონ კოპა (იგივე კოპაჩევსკი) ვისნესკი, პიანტონი და სხვ და სხვ., მე შენ გეტყვი, სულ პიპინ მოკლეს შთამომავლობისა იყვნენ! და კიდევ მცირედ — რასისტებიც: მეგობარი მყავს ერთი, მხოლოდ გერმანიას გულშემატკივრობდა ბოლო ჩემპიონატზე — ზანგები არა ჰყავთო და იმ ჩემის ცოდვით სავსეებმა *პოლიტფუტბოლკორექტულობის* მიზნით ვიღაცა პანგ-პონგი რო გამოიყვანეს ერთადერთ შეხვედრაში — მორჩა, მის მერე ფეხბურთზე ალერგია შეეყარა. და რა — ერთია ეგ ეგეთი? თამაში კი არ იტაცებთ — საკუთარ კომპლექსებს იქავებენ!

გვარიანი დრო დამჭირდა იმის ჩასაწვდომად, რომ ეს არც შეუწყნარებლობაა, არც რაიმე შოვინიზმის გამოხატულება — უბრალოდ, ეს

---

* ე.წ. "ინტეგრირებული იდიოტები" ჩვენში *ტოლერანტობად* იხსენიებენ *(რედ. შენ.)*



ყველა ქართველში იმთავითვე ჩაბუდებული უპირატესობის გრძნობაა ყველა სხვის მიმართ. სიმართლე ითქვას, ცნობილი ანეკდოტი — მსოფლიოში ორად-ორი ერია — სომხები და ყველა დანარჩენიო — ქართველს არანაკლებ მიესადაგება; ოღონდ ეგაა, სომხებს ჭკუა არ მოეკითხებათ, ცდილობენ ზემოხსენებული დებულების ჭეშმარიტებაში ყველა დაარწმუნონ, ქართველები კი... რა ამტკიცონ? და რაც მთავარია, *ვის* უმტკიცონ? განა კეისარი არარომაელს გაუყადრებს თავს?

უბრალოდ, ქართველები მთელ დანარჩენ სამყაროს საერთოდ არ აღიქვამენ სერიოზულად — ეგენი ხომ ქართველები არ არიან, მაგათ რა უნდა ელაპარაკო! განა არა, აბა უთხარით ერთი ვინმეს — მავან და მავან უცხოელისათვის შენი ესა თუ ის საზრისი გაუგებარია-თქო: პასუხი ერთი იქნება — *არ გაეგება და ერთი მაგის!* თანაც ეს მართლა გინება კი არაა, უბრალოდ, აღინიშნება რომ "ისინი", ასე ვთქვათ, "ჩვენი" გამგებნი იმთავითვე არ არიან! კი ბატონო, იმაში გვჯობნიან, ამას უკეთ აკეთებენ, განა რა მერე?! მათ ხომ მთავარი — ჩვენი *ეროვნული სულიერება* არ გააჩნიათ...

მაზალოა, ოღონდ ეს ყველაზე კარგად, ვინძლო სწორედ საფეხბურთო თუ ავტო-მოტო საკითხებში იჩენდეს ხოლმე თავს: ვთქვათ, გარაჟის წინ ბლომად ადგილია, მეზობელი კი წარამარა ზედ კართან მიყენებს ხოლმე თავის პიპიას — ვერც შეხვალ, ვერც გამოხვალ; ოღონდ სიტყვას არ ვეუბნები აბრუნდს: სომეხია და იმიტომ. აი, სხვა თანამოსახლეებთან კიდე ბევრად ნაკლები საბაბით ამიტეხია ყალიბა, რა მერე? მათი გვარები ხომ სულ სხვანაირად ბოლოვდება... ან, ვთქვათ, შუქნიშანთან ორი ავტო "დაეკონტაქტა" ერთმანეთს — ბევრი არაფერი, ერთის უკანა ბამპერს რაღაც ნაჭდევი დაეტყო, მეორისა — ოდნავ შეიღუნა. წინა მანქანიდან ორი მუტრუკი გადმოიზლაზნა და იწყება "საქმის გარჩევა" — ვინა ხარ, რომელი უბნელი, მოკლედ — რა გორისა ხარო, ეკითხებიან უკანას. სომხურ გვარს რომ გაიგებენ, დაიჭყანებიან, ხელს ჩაიქნევენ, ჩალაგდებიან თავიანთ ბრონტოზავრში და... არაფერი. აბა, ვიღაცა სომეხს დაუწყონ ბაზარი?! აი, ქართველი რო ყოფილიყო, მოგეცათ ლხენა!..

კიდე ერთი მეგობარი მყავს — ქართველისა საერთოდ არაფერი სცხია, ყინჩად კი უჭირავს თავი. ერთხელაც გამომიტყდა: "კაია რო უკრაინული გვარი მაქ, უბანში რაც გინდა ვთქვა — კაცი პასუხს არა მთხოვს. ქართველი რო ვიყო, აქამდე ათჯერ მაინც გამისწორებდნენ თავ-ყბას..." არადა, მაგისთანა თავგადადებული პატრიოტი იმ ყბადაღებულ "პატრიოტთა ბანაკებში" არც ისე ბევრი იქნება, მერწმუნეთ.

მოკლედ, იმის თქმა მსურს, ყველა სხვა რომ ფეხებზეც გვკიდია, ოღონდ ერთმანეთის დანდობა — ნურას უკაცრავად! 10-იდან 8 შემთხვევაში ქართველი კლავს ქართველს, თანაც ყოვლად გაუგებარი სისასტიკით! აბა, არა-ქართველის მოკვლა სადაური წესია?! თუ გახსოვთ,



საპატრიარქოდან ამგვარი ინოვაციის დანერგვის მცდელობაც კი იყო — ქართველი თუ ქართველს გამოასალმებს წუთისოფელს (მიზეზ-საბაბს არა აქვს მნიშვნელობა), მისი გვარი ე.წ. შავ წიგნში შევიტანოთო. ისემც კაი დაგემართოსთ! ***ქართველი მაგას იკადრებს?! არა!!!*** — გაიძახოდა ჩვენი მუდამ მაღალჩინოსანი პოეტი-ლაურეატი. ერთი ისეთი რამ დამისახელეთ, ქართველს რომ არ უკადრებია — იმერეთის ეპისკოპოზი ბავშვებს ყიდდა ოსმალეთში, სულმნათი მოხუცი სულხან-საბა წვერებით ითრიეს, მამათმავლები არასოდეს გვაკლდა და ახლახან გავიგე, თურმე სტალინის რეაბილიტაციის დროც მოსულა... კიდე გავაგრძელო?

ჩვენში დარჩეს და, "ქართველებს დასცინიან, ღვინის სმა რომ იციან..." — ესეც ტყვილი, ტყვილი და პირში პაპიროსი! სტატისტიკის მიხ. ფრანგები მეტსაც სვამენ და ხშირადაც. თან კიდევ ამერიკელებს ამუნათებენ — ლოთები არიანო. აი, ინგლისელები სადღაც მათს შორის ხვდებიან. სტატისტიკისა არაფერი გჯერათ? მაშინ "ფორსაიტების საგა" გადაიკითხეთ *ყურადღებით*, "არამსმელი" სომსი იქ დღის განმავლობაში იმდენს გეახლებათ, ზოგი ქართველი მთელი კვირის მანძილზე იმყოფინებდა. საქმეც ისაა, *რასა* სვამ და *როგორ*,** თორემ გაგონილიც გექნებათ შედარებით ახალი, ყოველ შემთხვევაში, უკვე ამ საუკუნეში გაჩენილი ანეკდოტი, გურული რომ ეუბნება იმერელს: "გეიგე ძამა?! აი კახელები მთლათ გააბდლებულან — ღვინოს ყურძნიდან აკეთებენ!" ჰაიდეგერის თქმით (თარგმანის ზედმიწევნით სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ) *ენა ყოფიერების სახლია* და როცა ენა "ღვინის გაკეთების" ცნებას დაამყოფებს, მაშინ სმაზე ლაპარაკს, მე და ჩემმა ღმერთმა, აზრი ეკარგება...

ჩემისთანა ერეტიკოსსაც კი, რატომღაც, თავში არასოდეს მომსვლია დავფიქრებოდი ერთ ასეთ ყოვლად გავრცელებულ სადღეგრძელოს — *ჩვენს ქართველობას გაუმარჯოს!* ოღონდ კიდევ ერთ ჩემს ნაცნობს, სუფრაზე ჩვეული ბრტყელ-ბრტყელი სენტენციებით თავგაბეზრებულს, აზრად მოუვიდა "აკადემიურ" განსჯაში ჩაბმულიყო — ბედი მისი, გვარად ციციაშვილია და იმთავითვე "გაუიასნეს" კიდეც — შენ რა ქართველი ხარ, აგერ, გუშხამ,*** მე-17 საუკუნეში მოინათლეთ და ებრაელობიდან

** თუ არც მხატვრულ ლიტერატურას ენდობით, მაშვინ ალექსანდრე დიუმას საქართველოში ვიზიტი და ბედშავ ცისკრელთა მიერ მასთან სმაში გაჯიბრების საყოველთაოდ ცნობილი ამბავი მაინც გაიხსენეთ.

*** გადასარევი სიტყვაა, შეიძლება ნიშნავდეს გუშინ, გუშინწინ, ორი საუკუნის იქით... საერთოდ, ფიქსირებული დროის შეგრძნება ქართველებს არ გააჩნიათ (ამასთან დაკ. იხ. აკაგიო მორჩილაძეახვლედიანისა, მოთხრობების კრებული წიგნი); ასევე, ყაზბეგში, ერთ მოხუცს რომ დავეკითხე — ადგილობრივი ბრძანდებით-მეთქი? არაო, მიპასუხა — ჩემი პაპის-პაპა გადმოსახლებულა აქ იმერეთიდანო...

ქართველობაში გადმოხვედითო... მოკლედ, ამ ჩემის ცოდვით სავსეს ინკლიკანტური კითხვა გასჩენია — ქართველობისას რომ ვსვამთ, მართლმადიდებლობისა რას ვშვებითო? იმ კეთილმა ხალხმა კიდე აუხსნა — ეგ ერთი და იგივეაო; და საერთოდ, არამართლმადიდებელი ქართველი ხომ ქართველი აღარააო. ხოლო ქართველობა თავისთავად გულისხმობს ქრისტიანობას, ანუ მართლმადიდებლობას, და მერე — კაცურ კაცობასა და ადამიანობასო. კეთილი და პატიოსანიო, — უთქვამს ჩემს ძმაკაცს, — მაგრამ მე რომ ჯერ ადამიანად აღვიქვამ თავს, მერე კაცად და სულ ბოლოს — ქართველად და ქრისტიანად, ჩემი საქმე როგორღა იქნებაო?

“მოგცლია ერთი! — უპასუხნია თამადას, — ეგ სულ შენი დიდი ბებიის ბრალია დედის მხრიდან, აკი პოლონელი იყო თუ ესტონელი, ღმერთო შეუნდე! და საერთოდ, რომელი ჭეშმარიტი ქართველი შენა მყევხარ?.. ეკლესიაში შენ არ დაიარები, მამაო შენ არა გყავს და ამას წინათ, ქაშუეთს რო ჩაუარე, კარგად დაგინახე — პირჯვარიც არ გადაგიწერია! დაიცა, ისა — ვააბშჩე, იეღოველი ხო არა ხარ?!”

— აზრზე მოდი, — მეუბნება ჩემი თვალჩალურჯებული ძმაკაცი, — ეგ რა მითხრა მაგ ურწმუნოებამ, ორივე ბაბუა სომეხი ყავს და ეკლესიიდან განკვეთილი ბასილა მკალავიშვილის დიდი მაქებარიც იყო, დაჭერამდე...

მოკლედ, კიდევ ერთი ჩემი ნაცნობის (ასევე არაქართველის) სადღეგრძელოს გავიხსენებ: “ხალხი, რომელმაც უცხოტომელთა (!) ამდენი შემოსევა გადაიტანა, ან ჩმორია და არაფრის ღირსი, ან თეთრი არწივივით ამაყი და ნიშანცხებული საარსებოდ — თუნდაც რომ *წითელ წიგნში* შეტანის ხარჯზე!..”

ВОЕННЫЙ 5 10/20 ЗАЕМЪ.
ЦѢЛЬ ЗАЙМА–УСКОРИТЬ ПОБѢДУ
НАДЪ ВРАГОМЪ.

ერთი საზრისი დავით ზურაბიშვილის წერილზე 'III რომის შემოდგომა'*

ჯეიმზ უერჩი

სენტ-ლუისის უოშინგტონის
სახ. უნივერსიტეტის პროფესორი

ბ-ნი ზურაბიშვილი ქვაკუთხედად დებს იმ შეკითხვას, რომელიც მართლაცდა საგონებელში აგდებს ნებისმიერ დასავლელ მიმომხილველსა თუ ანალიტიკოსს: რატომ აქვს რუსეთს ესეგვარი გართულება საქართველოზე? საკმარისია იმ პრობლემების უბრალო ჩამონათვალიც კი, რაც რუსეთის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას — ეკონომიკის განხრით გნებავთ, ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის, დემოგრაფიისა თუ ამაზრზენი სისხლისღვრისა ჩეჩნეთში — და რაღა მის მომიჯნავე ამ პატარა ქვეყანას გადაეკიდა?! იქ არც შევიწროებული ეთნიკური რუსების საგულისხმო რაოდენობაა, არც მასშტაბურად გამოსაყენებელი წიაღისეული და ბოლოსდაბოლოს, საქართველო არც ტერორიზმის ანგარიშგასაწევი საბუდარია.

თავისი ქცევით რუსეთი მატერიალურ დანაკარგებსაც განიცდის: ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებსა და ზიარი ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისთვის სომხეთთან ნებისმიერი სახის გადაზიდვებიც გაძნელებულია. ამას შეერთებული შტატების განაწყენებაც დაუმატეთ, რომელიც თვალყურს ადევნებს სიტუაციას რეგიონში... მაშ, რაღატომ არ ეშვება რუსეთი საქართველოს — ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ისიც ხომ სუვერენული სახელმწიფოა? ან რა ასეთი გამორჩენა აქვს აბხაზი თუ ოსი სესეციონისტების მხარდაჭერიდან

* იხ. *დრო მშვიდობისა* № 11

და რა ძალა ადგია, საკუთარ სამხედრო ბაზებს რომ ინახავს საქართველოს მიწაზე? რიგითი ამერიკელის თვალთახედვით, ამგვარი ქცევა ყოვლად გაუგებარია: თქმა არ უნდა, რუსეთს სრულიად გარკვეული ინტერესები გააჩნია ამ რეგიონში, თუნდაც უსაფრთხოების განხრით, ოღონდ ის მეთოდები და ზეწოლის საშუალებები, რომლებსაც იგი იყენებს მიზნის მისაღწევად, აშკარად დესტრუქციულია და არაპროდუქტიული.

ზურაბიშვილმა საბაბთა იმ ჩამონათვალის მეტად საინტერესო მიმოხილვა გააკეთა, რომლებიც ხშირად გაისმის ამ ფენომენის გასააზრებლად — ამგვარი ემოციური, პიროვნული, კულტურული თუ გეოსტრატეგიული ვითომდა მიზეზების მომხმობი მოსაზრებებისათვის მეც ბევრჯერ მომიკრავს ყური, და ასე მგონია, მისი სტატიის გაცნობის შედეგად მათი წინააღმდეგობრივი ბუნებისა ახლა უკეთ მესმის. იქნებ სწორედ ამიტომაც გამიჩნდა სურვილი, ბ-ნ ზურაბიშვილის მიერ განსაზღვრულ ე.წ. "კულტურულ ფაქტორს" საკუთარი ორიოდ შენიშვნა დავუმატო.

საქმე ისაა, რუსეთის ირაციონალურ და — გავიმეორებ — დესტრუქციულ მიმართებაში აშკარად გამოსჭვივის რწმენა, რომ საქართველო სხვა არაფერია, თუ არა ზოგდად რუსეთის კულტურისა და ისტორიის უშუალო შემადგენელი ნაწილი, "დიდი ოჯახის" ერთი წევრთაგანი. სწორედ ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის დადებითი ემოციური მუხტიც, რასაც ქართველები ამჟღავნებენ და დაუფარავად გამოხატავენ კიდეც — ვგულისხმობ როგორც მათს ლტოლვას რუსული კულტურის მიმართ, ასევე საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მის გამოცხადებას. განათლებულ ქართველთა ნაწილი პუშკინსა და ტოლსტოის, რუსთაველის დარად, საკუთარი სულიერების მტკიცებულებად მიიჩნევს; ასაკოვანი ხალხი ბილინგუალობისაკენ აშკარა მიდრეკილებას იჩენს და სიამოვნებით აჯერებს საკუთარ მეტყველებას რუსული ფრთიანი გამოთქმებითა თუ სხვადასხვა სახისა და დონის ციტაციებით. ასევე, ვთქვათ, ესტონელებისაგან განსხვავებით, ქართველები სულაც არ აღიქვამენ რუსეთს როგორც სრულიად რამ უცხოსა და ანტაგონისტურს, და არც "ოკუპანტების" ცნებას ფესვი ისე არა აქვს გადგმული მათს ცნობიერებაში. თუმცა კი რუსული სამხედრო ბაზების არსებობას საქართველოს მიწაზე, ეთნოკონფლიქტებში პირდაპირ ჩარევასა და მათი დამოუკიდებლობის სხვადასხვა სახით ხელყოფას უშუალოდ უკავშირებენ რუსი სამხედროების გარკვეულ ჯგუფს და პოლიტიკურ ესტაბლიშმენტს, ზოგადად რუსულ კულტურასთან სულიერ კავშირს მათგან არავინ უარყოფს.

აქედან გამომდინარე, "რუსეთთან კავშირი" უფრო ფართო კონტექსტს იძენს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. რუსების თვალსაზრისი, რომ ქართველები გულის-გულში მათ გვერდით არიან, არცთუ ადვილად უარსაყოფია: მნიშვნელობა არა აქვს, რაოდენი საპროტესტო ხმა გაისმება რიგით

მოქალაქეთა მხრიდან, ან რამდენ პათეტიკურ განცხადებას გააკეთებს პრეზიდენტი — რუსების უმრავლესობას ზემოთქმულში ვერ გადააჯერებ. შედეგად, მათ ხშირად ქვეცნობიერად პატერნალისტური დამოკიდებულება აქვთ საქართველოსა და ქართველების მიმართ, და ამტკიცებენ — ვინც რა უნდა თქვას, ოღონდ მათთვისვეა უკეთესი, თუ ჩვენსკენ იქნებიან, ან სულაც საბოლოოდ შემოგვიერთდებიანო.

უცხოელისთვის საერთოდ გამაოგნებელია, თუ რა მკვიდრი საფუძველი აქვს დადებული რუსული კოლექტიური წარმოდგენების ამ ხუხულას. დავიწყოთ იმით, რაგვარად წარმოისახება საქართველო რუსულ კოლექტიურ მეხსიერებაში, განსაკუთრებით კი ოფიციალურ, სახელმწიფოს მიერ გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში. ქვემორე ნაწყვეტი აღებულია 1998წ. გამოცემული წიგნიდან VI-VII კლასელებისთვის (თავი "სამხრეთ კავკასიის ხალხები"):

"XVIII საუკუნეში რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში განუხრელად იზრდებოდა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით პეტრე I-მა გადადგა, როცა სპარსული კაპანიის წარმატების შედეგად, დაღესტანი შემოიერთა. ამ პერიოდში საქართველო რამდენიმე სამთავროდ იყოფოდა, რომლებიც თავიანთი მაჰმადიანი მეზობლებისაგან მუდმივ შევიწროებას განიცდიდნენ. ამავე საუკუნის შუაწლებში ვითარებამ აიძულა ქართველი მთავრები ორ — იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებად გაერთიანებულიყვნენ.

რუსეთ-თურქეთის I ომის შემდეგ ყაბარდოს შემოერთებამ რუსეთს საზღვრები უშუალოდ საქართველოს დაუმიჯნავა. სპარსეთისა და თურქეთის მხრივ მუდმივმა შემოსევებმა ქართველი მეფეები აიძულა, მჭიდრო კავშირები დაემყარებინათ ერთმორწმუნე ჩრდილო მეზობელთან. 1783წ. მეფე ერეკლე II ე.წ. "გეორგიევსკის ტრაქტატს" აწერს ხელს, რაც საქართველოსათვის ეკატერინე II-ისა და სრულიად რუსეთის მფარველობას უზრუნველყოფდა (გვ. 336-337).

ზემომოტანილ ტექსტში ორი რამაა გაცხადებული: ერთი ის, რომ ქართველები მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ და სწორედ ამან განაპირობა მათ მხრივ ძლიერი მეზობლისადმი დახმარების თხოვნა; მეორეც ის, რომ რუსეთისაგან სრულიად ბუნებრივი იყო დახმარების ხელი გაეწვდინა მართლმადიდებელი ქართველებისათვის, ანუ, ჰანთინგტონის ფრაზა რომ დავატრიალოთ, ცივილიზაციათა შეხლისას სრულიად ბუნებრივია უფროს ძმას მიმართო; და მესამეც კიდევ ის, რომ საქართველომ ნებსით გადააბარა რუსეთს საკუთარი თავი.

ზოგი დებულების მიმართ საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, ოღონდ "გეორგიევსკის ტრაქტატის" მიზანი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება გახლდათ და არა სუვერენიტეტზე უარის თქმა. აი,

სწორედ ეს ნიუანსია სრულიად უგულებელყოფილი არა მხოლოდ ზემოხსენებულ სახელმძღვანელოებში, არამედ საერთოდ იშვიათად თუ იხსენიება ვინმეს მიერ, და რუსების დიდი უმრავლესობა ალალად დარწმუნებულია, რომ პატარა საქართველომ ისტორიული გარდუვალობის კანონით, საკუთარი ნებით ჰპოვა თავშესაფარი "დიდი ძმის" ფრთებქვეშ, და დღესდღეობითაც, რამდენიც არ უნდა იყვირონ მავანმა პოლიტიკანებმა, სიღრმისეულად რუსეთის განუყოფელ ნაწილად რჩება.

ამგვარი პატერნალისტური, მე ვიტყოდი — ცუდმედიდური ხედვის ფართოდ ფეხმოკიდება მთელს რუსეთში ერთი დამატებითი ფაქტორითაც უნდა იყოს განპირობებული, რასაც "თვითშეფასების პოლიტიკა" შეიძლება ვუწოდოთ. ბევრს შეუნიშნავს რუსეთის წრეგადასული მონდომება, რომ მას "პატივი სცენ", არა უბრალოდ პარტნიორად მიიჩნიონ მსოფლიო ასპარეზზე, არამედ რაღაც განსაკუთრებულად დააფასონ, როგორც ზე-სახელმწიფო. "დერჟავას" დაკნინებას კი ისინი მეტად მტკივნეულად განიცდიან...

ასე თუ მივუდგებით საკითხს, ბ-ნ ზურაბიშვილის დებულება, რომ "რუსეთი ვეღარანაირ პოზიტიურ სვლებს ვეღარ ანხორციელებს როგორც საგარეო, ასევე შინა პრობლემების გადასაწყვეტად" — უბრალოდ საღ შეფასებად კი არა, მძიმე განაჩენად გაისმის.


© Profile



© გურამ წიბახაშვილი

ოკამის სამართებლი VS უქარქაშო ხმლები

(ორიოდ შენიშვნა ერთი კომენტარის თაობაზე)

გია ჯუმბურიძე

არის ასეთი წიგნი, "უქარქაშო ხმლები" — ყველა დროის №1 ქართული ბესტსელერი (რა თქმა უნდა, საქართველოს ბაზარზე). საქართველოს მითოლოგიზირებული ისტორია, მოთხრობილი ოთხ ტომად და გულისამრევამდე პათეტიური ტონით.

წიგნის სათაური, ავტორისეული ჩანაფიქრით, წარმოდგენილია როგორც საქართველოს ისტორიის სიმბოლო — საქართველო განუწყვეტელ ომებში იყო და ამიტომ "ქართულ ხმალს ქარქაში მოსვენება არ ღირსებია." ის, რომ მსგავსი სიმბოლიკა თავისუფლად შეიძლება სხვა ქვეყნებმაც მოირგონ (თურქულ ხმალს როდის ღირსებია მოსვენება, ან თუნდაც ფრანგულს? ნაკლები ომები გადაიხადეს თუ რა?), ბესტსელერის ავტორს, ისტორიის პროფესორს, აზრადაც არ მოსვლია...

არ მოსვლია იმიტომ, რომ ბევრი ქართველისთვის ისტორია და ისტორიული ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად სწორედ ასეთი მითოპოეტური და ალაგ-ალაგ საკრალიზებული სურათ-ხატებით შემოიფარგლება. აბსოლუტურად იდიოტურ ფრაზას: "ჩვენ (ქართველებს) მაგარი ისტორია გვაქვს," ყოველდღიურ ქართულ ყოფაში ხშირად გაიგონებთ და არა მარტო სუფრაზე თუ პირად საუბრებში. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის, ისტორიული ურთიერთობებისა და, აქედან გამომდინარე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აღქმა ჩვენში მითოპოეტურ სტერეოტიპებს უფრო ეფუძნება, ვიდრე რაციონალურ გააზრებას.

ქართველების დამოკიდებულება რუსეთის და რუსეთის პოლიტიკის მიმართაც დიდწილადაა გაპირობებული სწორედ მითოპოეტური სტერეოტიპებით, ეს სტერეოტიპები დალექილია ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში, აქ ბევრი რამ წინააღმდეგობრივია, ალოგიკურია, ხშირად აბსურდულია და ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ბუნებრივია, რადგან მითოპოეტიკა ლოგიკას არ ცნობს — უფრო სწორად, მას თავისი განსაკუთრებული ლოგიკა აქვს.

ამხელა შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ჩემი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვა დავით ზურაბიშვილის წერილსა და ბ-ნ ჯეიმზ უერჩის კომენტარზე, რადგან განსახილველი თემა — რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, ჩვენი ანალიტიკოს-მიმომხილველების მიერ ასევე ხშირად სწორედ მითოპოეტური წარმოდგენების ჭრილში განიხილება; ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა ის მომენტი, რომ რუსეთის მიმართ ქართულ მითოპოეტურ სტერეოტიპებთან ამერიკელი უერჩი თითქოსდა უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართველი ზურაბიშვილი.

რატომ ამჟღავნებს რუსეთი ასეთ დაუფარავ და თან პერმანენტულ აგრესიულობას საქართველოს მიმართ? ბ-ნი უერჩი სწორად აღნიშნავს რუსული კოლექტიური მეხსიერების იმ მახასიათებლებს, რაც საქართველოს ეხება — რუსებს ქართული კულტურა საკუთარი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიაჩნიათ, რუსებს ჰგონიათ, თითქოს 1801 წელს საქართველოს მიერთებით ქართველები გადაგვარჩინეს თურქ-სპარსელებისგან განადგურებას, რუსები თვლიან, რომ ქართველები უმადურები ვართ და არ ვაფასებთ იმ პრივილეგირებულ მდგომარეობას, რომელიც ჯერ ცარისტული და მერე საბჭოთა იმპერიის დროს გვეკავა და ა.შ... რა თქმა უნდა, ჯ.ჯ. სულაც არ ეთანხმება ამ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, მაგრამ რუსულ-ქართულ პოლიტიკური ურთიერთობებში გასარკვევად მათ მაინც მნიშვნელოვან ფაქტორებად მიიჩნევს.

მაგრამ მინდა დავსვა ერთი კითხვა: რომ არ არსებობდეს ასეთი კოლექტიური მეხსიერება, იქნებოდა კი რუსეთის პოლიტიკა სხვანაირი? ანუ რუსეთის კავკასიური პოლიტიკის არსი მითოლოგიზირებული სტერეოტიპებით განისაზღვრება თუ რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით?

და აქ მე მთლიანად ვიზიარებ დ.ზ.-ს მთავარ თეზისს — რა თქმა უნდა, რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება სრულიად რეალური, "მიწიერი" ინტერესებით და არა სტერეოტიპული წარმოდგენებით რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. კარგი იქნებოდა მას თავის წერილში ცოტა მეტი ყურადღება დაეთმო ზემოხსენებული მითოპოეტური სტერეოტიპებისა და ისტორიული მეხსიერების სიუჟეტებისთვის, თუმცა, ამის გარეშეც საკმაოდ ნათლად ჩანს — იმ გეოპოლიტკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც რუსეთს უკავია

და იმ შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, რომელსაც ეს გეოპოლიტიკური მდებარეობა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ტრადიცია განაპირობებს — რუსეთის კავკასიური პოლიტიკა სხვანაირი ვერც იქნება.

და თუ ფ.ზ.-ს დასკვნა cruel indictment-ად ჟღერს (ეს უკვე თავად უერჩისეული განსაზღვრებაა), ავტორის ბრალი აქ მინიმალურია: რუსების კოლექტიურ მეხსიერებაში მითოპოეტური კლიშეების არსებობა ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება იმ რაციონალურ არგუმენტებს, რომლებიც დ.ზ.-ს სტატიაშია მოხმობილი — ისინი მხოლოდ როგორც დამატებით, მაგრამ არა განმსაზღვრელი ფაქტორებად შეიძლება იქნას გამოყენებული.

მოცემულ შემთხვევაში ერთადერთი გამართლება მითოპოეტური სტერეოტიპებით ოპერირებისთვის შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ გეოპოლიტიკური და რაციონალური მოტივებით მოვლენის ახსნა შეუძლებელია, არასაკმარისია, მოკლებულია მწყობრ ლოგიკურობას, წინააღმდეგობაში მოდის ფაქტებთან და ა.შ., მაგრამ თუ რაციონალური ინტერპრეტაცია ლოგიკურად გამართულია, შეესაბამება ფაქტებს და არ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს, ყველანაირი სხვა ტიპის არგუმენტაცია უბრალოდ — ზედმეტია.

მართლაც და, რუსებისთვის უკრაინული კულტურა ქართულზე უფრო მახლობელი და შინაურულია, ყაზახეთის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილსაც ყოველთვის რუსეთის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ — ანუ, ის სტერეოტიპული წარმოდგენები, რაც რუსეთში საქართველოს მიმართ არსებობს, ამ ქვეყნებსაც მიესადაგება, მაგრამ ვერავინ იტყვის რომ ყაზახეთის, უკრაინის და საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა ცალსახად იდენტურია. არცაა გასაკვირი, ღმერთმანი, რადგან მითოლოგიზირებული კლიშეები ამ შემთხვევაში მხოლოდ დამატებითი სტიმულის როლს ასრულებს.

ინგლისელი ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის, უილიამ ოკამის ცნობილი პრინციპის მიხედვით კი დამატებითი ფაქტორების შემოტანა აუცილებელი მოთხოვნილების გარეშე, ფუჭი ამბავია; ამიტომ, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის არსის ახსნისთვის ბებერი უილიამის ლოგიკური სამართებლით ამ ურთიერთობებს ელემენტარულად "ჩამოვაჭრათ" ყოველგვარი ეთნო-ფსიქო-კულტურო-ისტორიული სტერეოტიპები. ამით საკითხის არსი მხოლოდ უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოჩინდება.

თუკი "ოკამის სამართებელი" ნებისმიერ მოვლენას არარსებით დეტალებს აჭრის, ჩვენი მითოპოეტური სტერეოტიპების "უქარქაშო ხმალი" კლიშე-ფანტომთა მთელ გვამებს ახვავებს და მერე უკვე ძალიან ძნელია გაარჩიო რაა არსებითი თუ განმსაზღვრელი, და როდესაც რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზე ვმსჯელობთ, ალბათ ჯობია ამ ხმალს ბოლოს და ბოლოს ვაღირსოთ ქარქაში — მით უმეტეს, რომ ამდაგვარი კლიშეებით ლამის წალეკილ საქართველოში ეს ყველაფერი ძალზე აქტუალურ საკითხად მესახება.

© გიგა ნიკურაძე

კონფლიქტის სტრუქტურა

გაგა ნიჟარაძე

როგორც უკვე ვიცით, ყველა კონფლიქტს გარკვეული საერთო ნიშნები აქვს. დავიწყოთ კონფლიქტის "აგებულებით", მისი სტრუქტურული ელემენტებით. ასეთებად განიხილება:

კონფლიქტის მონაწილეები (მხარეები)
უთანხმოების ზონა
წარმოდგენები სიტუაციის შესახებ
მოტივები
კონფლიქტის მონაწილეთა ქმედებანი

კონფლიქტის მონაწილეები (მხარეები). გასაგებია, რომ ნებისმიერ სოციალურ კონფლიქტში სულ ცოტა ორი მხარე მონაწილეობს. მათ უწოდებენ მოწინააღმდეგე მხარეებს, მეტოქეებს ან კონკურენტებს, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში — "კონფლიქტანტებს". მაგრამ კონფლიქტში შეიძლება სხვა პირები თუ მხარეებიც იყვნენ ჩარეული: *თანამგრძნობები* (ერთი ან მეორე მხარის), *პროვოკატორები, შემრიგებლები, კონსულტანტები,* უდანაშაულო *მსხვერპლი.*

კონკრეტული კონფლიქტის ანალიზისას აუცილებელია მონაწილეთა სოციალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინება.

სოციალური მახასიათებლებია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისა თუ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა (ეროვნება, რელიგია, განათლება, ასაკი, მატერიალური მდგომარეობა), პროფესია, სამსახურეობრივი მდგომარეობა (უფროსი, ხელქვეითი), სოციალური როლი (მშობელი, მეუღლე, ნათესავი, მეზობელი და მისთ.), ავტორიტეტი და ა.შ.

ფსიქოლოგიური მახასიათებლებია კონფლიქტის მონაწილეთა პიროვნული თვისებები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ კონფლიქტის წარმოშობას, მიმდინარეობასა და შედეგებს. არსებობენ "რთული", "კონფლიქტური" პიროვნებები, რომლებთანაც ძნელია საერთო ენის გამონახვა, რომლებიც ადვილად შედიან კონფლიქტში. ადამიანის ქცევას კონფლიქტის პირობებში და "კონფლიქტური" პიროვნებების ძირითად ტიპებს შემდგომ განვიხილავთ.

კონფლიქტს ყოველთვის ერთი მხარე იწყებს, სხვა სიტყვებით, კონფლიქტის ინიციატორი ხდება. თუ კონფლიქტის შემდგომი განვითარებისას ინიციატივას სულ ერთი მხარე იჩენს, მას აქტიურ მხარეს უწოდებენ, ხოლო მეორეს – პასიურს. აქტიური მხარეა, მაგალითად, ზღაპრის მელა ჩიტ-ჩიორასთან კონფლიქტში.

უთანხმოების ზონა. კონფლიქტი აღმოცენდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს უთანხმოების ზონა – დავის საგანი, ფაქტი ან საკითხი (ერთი ან რამდენიმე), რომლის გარშემოც აზრთა სხვადასხვაობაა. ამგვარი ზონა ყოველთვის ცხადი არაა – ზოგჯერ თვით კონფლიქტის მონაწილეებს იგი არცთუ გარკვევით წარმოუდგენიათ, მიაჩნიათ, რომ მთელი "ამბავი" აგორდა რაღაც წვრილმანის გამო, და საკმარისია ერთი მხარე მცირე დათმობაზე წავიდეს, კონფლიქტიც მოგვარდება. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ეს წვრილმანი მხოლოდ შემთხვევითი და უმნიშვნელო გარე გამოხატულებაა უფრო ღრმა წინააღმდეგობებისა, რომელთაც მონაწილენი ვერ აცნობიერებენ. საქმეს ისიც ართულებს, რომ უთანხმოების ზონის საზღვრები მოძრავია, კონფლიქტის მსვლელობაში ისინი შეიძლება გაფართოვდეს ან შევიწროვდეს. მხარეები ხშირად იწყებენ რაიმე საკითხზე დისკუსიას, მაგრამ მალე "პიროვნებებზე გადადიან" (საქართველოში კი განსაკუთრებით), შედეგად კი საქმის გარშემო აზრთა სხვადასხვაობას ემატება ერთმანეთის მორალური სახის და სხვა თვისებების, რბილად რომ ვთქვათ, მკვეთრი შეფასებები. უთანხმოების ზონა იზრდება, მასში დაპირისპირების ახალ-ახალი კერები ჩნდება. პირიქით, რაიმე საკითხზე თანხმობის მიღწევასთან ერთად ზონა ვიწროვდება და შეიძლება მთლად გაქრეს.

წარმოდგენები სიტუაციის შესახებ. ყველა ადამიანს უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. ამ გამოცდილების საფუძველზე ყოველი ჩვენთაგანი ჩვენებურ ინტერპრეტაციას უკეთებს სხვადასხვა სიტუაციას; ერთი და იგივე სიტუაციის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ადამი-

ანის მიერ ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა: რაც ერთისათვის მისაღებია — მეორისათვის მიუღებელია, ერთისათვის ლამაზია — მეორისათვის მახინჯი, ერთისათვის სწორი — მეორისათვის არასწორი და ა.შ. ამგვარი ვითარება შეიძლება არც გადაიზარდოს კონფლიქტში, მაგრამ საკმარისია ერთმა ადამიანმა სიტუაციაში დაინახოს მეორე ადამიანის არაკეთილგანწყობის, აგრესიის, უმართებულო აზრებისა თუ ქცევის გამოვლენა, და ჩნდება კონფლიქტის აღმოცენების შესაძლებლობა.

ავტორი ერთ ასეთ ეპიზოდს შეესწრო: რესტორანში ცეკვავს წყვილი. მათ მიმტანი უახლოვდებათ, ხელზე თავს ზემოთ აწეული ლანგარით. უცებ მამაკაცი თავს ანებებს ცეკვას და ერთი დარტყმით ნოკაუტში აგდებს მიმტანს. რატომ? რისთვის? "მომეჩვენა, რომ მირტყამდაო" — თავი იმართლა აგრესორმა. მას მიმტანის ხელაწეულ პოზაში აგრესია ამოუკითხავს, უბედურ მიმტანს კი, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი ჩვეულებრივი "სამუშაო" მოძრაობა ვინმემ შეიძლება "არასწორად გაიგოს".

აქ ერთი არსებითი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. არავინ იცის, როგორი წარმოდგენა აქვს სიტუაციის შესახებ მეორე ადამიანს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ იტყვის ამის შესახებ. მაგრამ კონფლიქტის აღმოცენებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, სიტუაცია მართლა ისეთია, როგორც მას ხედავენ, თუ არა, და არც იმას, სწორი წარმოდგენა აქვთ თუ არა სიტუაციის მონაწილეებს ერთმანეთის აზრებსა და შეფასებებზე. აქ ძალაში შედის ამერიკელი სოციოლოგის, უ. თომასის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი, რომელიც "თომასის თეორემის" სახელითაა ცნობილი:

თუ სიტუაცია განისაზღვრება როგორც რეალური, იგი რეალურია თავისი შედეგებით.

კონფლიქტთან მიმართებაში ეს ნიშნავს შემდეგს: თუ ადამიანს სიტუაცია რეალურად კონფლიქტური ჰგონია, ამას ***რეალური*** კონფლიქტური შედეგები მოაქვს. სხვა სიტყვებით, თუ ვინმეს მიაჩნია, რომ კონფლიქტში აღმოჩნდა, იგი მართლა აღმოჩნდება კონფლიქტში. ხოლო იმას, ვინც "არჩეულია" მოწინააღმდეგედ, შეიძლება აზრადაც არ ჰქონდეს, რომ კონფლიქტურ ურთიერთობაში იმყოფება. მოტანილ მაგალითში "დამრტყმელმა" მიმტანის ქცევა რეალური მუქარის წყაროდ, ანუ კონფლიქტურად შეაფასა და ამ არასწორმა, სუბიექტურმა ინტერპრეტაციამ შედეგად სავსებით რეალური ტვინის შერყევა გამოიღო.

მონაწილეთა მოტივები და მიზნები. როგორც აღვნიშნეთ, ყოველ ადამიანის უნიკალური სუბიექტური გამოცდილება განსაზღვრავს კონკრეტული სიტუაციის სუბიექტურ ინტერპრეტაციას. ამავე საფუძველზე ადამიანს აღმოუცენდება შესაბამისი მოტივები — მისწრაფებანი, ქცევის სტიმულები, რომლებიც მისი მოთხოვნილებების, განწყობების, გადაწყვეტილებების და ა.შ. რეალიზაციისაკენაა მიმართული. მოტივი როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელი შეიძლება იყოს.

მოტივაცია განსაზღვრავს მიზნების ჩამოყალიბებას. მიზანი – ესაა წარმოსახვითი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს ადამიანს მოცემულ სიტუაციაში.

ზოგჯერ ადამიანი მიუღწევად მიზნებს ისახავს, რაც შინაგანი კონფლიქტის საფუძველი ხდება. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა სიტუაციები, როდესაც ორი ან მეტი ადამიანის მიზნები და მოტივები მოდის წინააღმდეგობაში. ამგვარი წინააღმდეგობაა სწორედ სოციალური კონფლიქტის საფუძველი. ორი თანამშრომელი ისწრაფვის ერთი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, ორი და დაობს, ვინ გარეცხავს ჭურჭელს, ერთ-ერთ მეუღლეს სურს ბავშვის გაჩენა, მეორეს – არა. ყველა ამ შემთხვევაში მიზნების წინააღმდეგობაა და, შესაბამისად, კონფლიქტური სიტუაცია იქმნება.

კონფლიქტის მონაწილეთა ქმედებები. როდესაც არსებობს უთანხმოების ზონა და სიტუაციის სხვადასხვაგვარი შეფასება, როდესაც მხარეები განსხვავებული, შეუთავსებელი მიზნებისაკენ მიისწრაფვიან, ეს ყველაფერი ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში გამოიხატება. ერთი მხარე მეორეს ხელს უშლის მიზნის მიღწევაში, მეორე მხარე ამგვარ ქცევას აფასებს როგორც მტრულს, ან, სულ ცოტა, უმართებულოს, და თავის მხრივ ახორციელებს საპასუხო ქცევას, რომელიც პირველი მხარის მიერ უარყოფითად ფასდება. ამგვარ ქმედებათა და კონტრქმედებათა შეჯახებაში მიმდინარეობს კონფლიქტი.

ქვემოთ ჩამოთვლილია ერთი მხარის ქმედებათა ის ტიპები, რომლებიც მეორე მხარის მიერ აღიქმება როგორც კონფლიქტური, მტრული, მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

ხელის შეშლა მოცემული მხარის გეგმებისა თუ განზრახვების განხორციელებისათვის;
მეორე მხარის მიერ თავისი მოვალეობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა;
რაიმეს მიტაცება, რაც, მოცემული მხარის აზრით, უკანონოა ან უმართებულო (მაგ., საერთო ეზოში ავტოფარეხის თვითნებურად აშენება);
ქონებისა ან რეპუტაციისათვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანის მიყენება (მაგ., ბოროტი ჭორის გავრცელება);
ღირსების დამამცირებელი ქმედებანი (მათ შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეურაცხმყოფელი მოთხოვნები – "აქ მოვიდეს და ბოდიში მომიხადოს!");
მუქარები და იძულება;
ფიზიკური ძალადობა.

ამასთან, ის მხარე, რომლის ქმედებანი კონფლიქტურად თუ მტრულად აღიქმება, შესაძლოა, თავის ქცევას სრულიად სხვაგვარად აფასებდეს და აზრადაც არ მოსდიოდეს, რომ ვიღაცის "წინააღმდეგ" მოქმედებს. თავისი ქცევა მას სავსებით ნორმალურად, ან შემთხვევითად, ან, ვთქვათ, დაუფიქრებლობით განსაზღვრულად შეიძლება მიაჩნდეს. ზოგჯერ, გულახდილი დალაპარაკების შედეგად, ეს ცხადი ხდება მეორე მხარისათვის და დაძაბულობა ქრება; მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არავითარი გამამართლებელი საბუთი არ მოქმედებს მეორე მხარეზე, იგი ინარჩუნებს ღრმა რწმენას, რომ ესა თუ ის ქმედება იყო მტრული და მის წინააღმდეგ მიმართული, თავის გამართლების მცდელობას კი აღიქვამს როგორც სიყალბეს და ვერაგობას, რაც ურთიერთობას კიდევ უფრო აუარესებს.

კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის ანალიზი

შევაჯამოთ ზემოთქმული და წარმოვადგინოთ სქემატურად კონ-ფლიქტის სტრუქტურა.

X და Y – კონფლიქტის მხარეები; *შ* – შეხედულებები; *ქ* – ქმედე-ბები; *მ* – მოტივები

რა თქმა უნდა, მოყვანილი სქემა გამარტივებულია. მაგალითად, აქ არაა კონფლიქტის სხვა შესაძლო მონაწილე, სქემა აგრეთვე არ ითვალისწინებს მრავალგვარი გარე ვითარებების გავლენას კონფლიქტის მიმდინარეობაზე. მიუხედავად ამისა, მოდელი წარმოდგენას გვაძლევს კონფლიქტის აუცილებელ და საკმარის სტრუქტურულ ელემენტებზე.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

დასაწყისი

ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მე-3 კურსი ითვლებოდა საუკეთესო სტუდენ-ტურ ჯგუფად, რაც საზეიმოდ იქნა განცხადებული რექტორის მიერ. ორი დღის შემდეგ რექტორმა ამ ჯგუფის ოთხ სტუდენტს წაასწრო სიგარეტის მოწევაზე, მაშინ როდესაც მთელ შენობაში მოწევა იკრძალებოდა. რექტორმა საყვედური გამოუცხადა ოთხეულს (ყველა მათგანი კარგად სწავლობდა) და სტიპენდია მოუხსნა. ოთხეული აღშფოთდა, მას ჯგუფმაც დაუჭირა მხარი და გადაწყვიტა დელეგაცია გაეგზავნა დეკანთან რექტორის განკარგულების გაუქმების მოთხოვნით. დეკანმა განაცხადა, რომ არ შეუძლია თხოვნის დაკმაყოფილება. დელეგაცია რექტორთან გაემართა, რომელმაც იგი მიიღო, მაგრამ თავისი განკარგულების გაუქმებაზე უარი განაცხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შეხვედრაზე, სტუდენტებმა გაითამაშეს სკეტჩი, სადაც დეკანი და რექტორი საკმაოდ გესლიანად იქნენ გაშაყირებულნი. სულ მალე სკეტჩის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს, აჩიკოს, უარი ეთქვა მივლინებაზე საერთაშორისო სტუდენტურ კონ-ფერენციაზე დასწრებად, თანაც იმდენად უმნიშვნელო საბაბით, რომ ჯგუფმა გადაწყვიტა – ნამდვილი მიზეზი სულ სხვაგანაა საძიებელიო.

ამრიგად, კონფლიქტის არსებობა ცხადია. გავაანალიზოთ ეს სიტუაცია. როგოც ირკვევა, კონფლიქტის კომპონენტების განსაზღვრა აქ არცთუ ადვილია.

ყველაზე მარტივია ქმედებების გამოყოფა: მოწევა – მწეველებისათვის სტიპენდიის გაუქმება – ჯგუფის შუამდგომლობა დეკანისა და რექტორის წინაშე – ამ უკანასკნელთა საჯარო გაბიაბურება – უარი მივლინებაზე.

მაგრამ ვინ არიან კონფლიქტის მხარეები? ირკვევა, რომ ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არაა. თავიდან შექმნილი ვითარების გამო უკმაყოფილება გამოთქვა მწეველთა ოთხეულმა. იგი იქცა კონფლიქტის მხარედ (X). მაგრამ სულ მალე მას სხვა სტუდენტებიც შეუერთდნენ და X-ის როლში მთელი ჯგუფი მოგვევლინა. როგორც ვხედავთ, საქმის განვითარებისას კონ-ფლიქტის მხარემ შეიძლება სახე იცვალოს. ვინ არის კონფლიქტის მეორე მხარე (Y)? ეტყობა, რექტორი, სტუდენტები ხომ სწორედ მისი ქმედებით არიან უკმაყოფილონი. დავაკვირდეთ, რექტორი კონფლიქტის მონაწილე გახდა ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. სიტუაცია მისი ნების გარეშე გახდა კონფლიქტური, მხოლოდ იმის ძალით, რომ სტუდენტებმა განსაზღვრეს იგი ასეთად (გავიხსენოთ თომასის თეორემა). მაგრამ თავიანთი პრეტენზიებით სტუდენტებმა, არსებული იერარქიის გათვალისწინებით, ჯერ დეკანს მიმართეს, რომელიც აგრეთვე აღმოჩნდა მხარის შემადგენლობაში. ასე რომ X-ცა და Y-ც "ცვლადი სიდიდეა".

რა დევს უთანხმოებათა ზონაში? ყველაფერი კარგად მიდიოდა მოწევის ეპიზოდამდე. მაგრამ განკარგულებამ სტიპენდიის მოხსნის თაობაზე მაშინვე დაძაბა სიტუაცია. იკვეთება უთანხმოების ორი პუნქტი მწეველებსა და რექ-ტორს შორის: ა) მოწევის თაობაზე; ბ) სტიპენდიის მოხსნის თაობაზე. შემდეგ უთანხმოებათა ზონამ გაფართოება იწყო – გაჩნდა ახალი კონფლიქ-ტური პუნქტები: გ) რექტორისა და დეკანის საჯარო გაშაყირება სტუდენ-ტების მიერ და დ) მივლინებაზე უარი.

შევეცადოთ გავერკვათ სტუდენტების წარმოდგენებში. რახან ისინი ინსტიტუტის შენობაში აკრძალვის მიუხედავად თამბაქოს ეწეოდნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ აკრძალვას ისინი ან გაუმართლებლად, ან "არასერიოზულად" თვლიდნენ. სასჯელი, რომელიც მოჰყვა აკრძალვის დარღვევას, ოთხეულმა, შემდეგ კი მთელმა ჯგუფმა, უსამართლოდ ჩათვალა; მათი აზრით, სასჯელი არ შეესაბამებოდა დარღვევას, მხოლოდ საყვედური სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო. დეკანისა და რექტორის რეაქცია კი მათ კორექტულ თხოვნაზე მათ თვალში გამოიყურებოდა როგორც ბრიყვული გაჯიუტება "მუნდირის ღირსების" დაცვის მოტივით. და განა ეს არ იმსახურებს გაშაყირებას? თანაც რა, დღეს ყველას აშაყირებენ, ქვეყნის პრეზიდენტის ჩათვლით. რეაქცია კი როგორი იყო? საუკეთესო სტუდენტს უარი უთხრეს კონფერენციაზე გაგზავნაზე, რაც იმის ნიშანია, რომ ინსტი-

ტუტის ხელმძღვანელობა თავის ჭკუაზე, ავტორიტარულად მართავს ინსტიტუტს, სრულიად არ ითვალისწინებს სტუდენტთა აზრს და მათგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს.

მეორე მხარის წარმოდგენები, რასაკვირველია, სულ სხვაა. რექტორს მიაჩნია, რომ შენობაში მოწევას ბოლო უნდა მოეღოს. ადრე, მოწევის აკრძალვამდე, დერეფნებში ისეთი ბოლი იდგა, ვერ გაივლიდი; ერთხელ, ჩაუქრობელი სიგარეტის გამო ხანძარიც კი მოხდა, კიდევ კარგი, დარაჯმა დროზე მიუსწრო. ამიტომ დამრღვევები უნდა მკაცრად დაისაჯონ, რომ სხვებმა ისწავლონ ჭკუა. რაც შეეხება სცენაზე წარმოდგენილ სკეტჩს, იგი უხეში იყო, უკბილო და სრულიად არ იყო სასაცილო. მაგრამ, არა უშავს, უარესიც მომხდარა. მივლინებაზე უარის შესახებ რექტორმა არაფერი იცის, ეს დეკანის კომპეტენციაა, რექტორატი ახლაც თანახმაა დააფინანსოს დეკანატის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი კანდიდატურის გამგზავრება. მომხდარის შესახებ დეკანსაც დაახლოებით იგივე წარმოდგენა აქვს, მხოლოდ მან კიდევ უფრო მტკივნეულად აღიქვა საკუთარი თავის საჯარო გაშარჟება და ამიტომ გადაწყვიტა, მოდი, კონფერენციაზე სხვა წავიდეს, ეს კი "მხიარულ და საზრიან" სტუდენტს უფროს-უმცროსობას ასწავლისო.

ახლა მოტივების შესახებ. პირველი შეხედვით სტუდენტებს უსამართლოდ მოხსნილი სტიპენდიის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ყველა გამოხდომის უკან დგას იმის მიღწევის სურვილი, რომ ინსტიტუტის ადმინისტრაციამ მათი აზრი გაითვალისწინოს და საერთოდ, მეტი პატივისცემით ეპყრობოდეს. ყველა გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღება და სტუდენტებს უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებენ. როგორც თქვა ერთმა სტუდენტმა, "ჩვენ არ გვინდა, რომ გვიყურებდნენ როგორც ჯარისკაცებს, სულ "სმენაზე" რომ უნდა იდგნენ ხელმძღვანელის წინაშე".

მეორე მხარის, ანუ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მოტივები კი ასეთია: ინსტიტუტში წესრიგი აუცილებელია; ბრძანებები უნდა შესრულდეს; წესრიგის დამრღვევები უნდა სამაგალითოდ დაისაჯონ. დეკანის შემთხვევაში ამას ემატება წყენა მისი გაშარჟების გამო. შესაძლოა, რექტორიც ნაწყენია, მაგრამ ამას არ ამხელს.

გაგრძელება

დეკანატმა სხვა სტუდენტს, სანდროს, შესთავაზა კონფერენციაზე გამგზავრება. მაგრამ სანდრომ უარი განაცხადა, ივივე გააკეთა ხათუნამ. საბოლოო ჯამში წინადადება მიიღო შოთამ, რომელიც ჯგუფში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. ჯგუფმა ამას შოთას კოლექტიური ბოიკოტით უპასუხა, მოგვიანებით კი არ გამოცხადდა ჩათვლაზე ლექტორთან, რომელიც დეკანის მეგობრად ითვლებოდა; არგამოცხადება ჯგუფმა შოთას დააბრალა, ლექტორი დაადანაშაულა ფორმალიზმში და მისი შეცვლა მოითხოვა. ყოველივე ამის შედეგად

ჯგუფის დიდი უმრავლესობა ავტომატურად არ იქნა დაშვებული გამოცდებზე. ინსტიტუტში დატრიალდა უამრავი ჭორი, სადაც ხან ერთი, ხან მეორე მხარე ფრიად არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. დეკანმა რექტორის წინაშე დასვა საკითხი ჯგუფის დაშლის შესახებ. ამრიგად, მცირე დროში საუკეთესო ჯგუფი ყველაზე უარესად იქცა.

კონფლიქტი გაღრმავდა და აშკარად დესტრუქციული ხასიათი მიიღო. X-ის შემადგენლობას გამოაკლდა "შტრეიკბრეხერი" შოთა. მხარის შემადგენლობა კი გაიზარდა – მასში შევიდა დეკანის მეგობარი ლექტორი. უთანხმოების ზონას დაემატა სესიასთან დაკავშირებული პრობლემები. სტუდენტების წარმოდგენებში იჩინა თავი აზრმა – ყველა, ლექტორებიც და რექტორებიც, ერთ გუნდად არიან შეკრული, სძულთ სტუდენტები და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ თავიანთი ძალაუფლება შეინარჩუნონ. მერე მხარისათვის კი ჯგუფი გადაიქცა მეამბოხეთა ბანდად. გაჩნდა ახალი მოტივიც (მხარეში): ჯგუფი უნდა დაიშალოს, შექმნილი ვითარების მოთმენა შეუძლებელია, კონფლიქტს რაღაცნაირად ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრული

მოწვეული იქნა ჯგუფის კრება, რომელსაც დაესწრნენ დეკანი და რექტორი. ემოციური და გულახდილი საუბრის შედეგად გამოინახა შემდეგი გამოსავალი. სტუდენტებს უშვებენ გამოცდებზე, გაცდენილ ჩათვლას სესიის ბოლოს ჩააბარებენ. ლექტორი იგივე რჩება. ძალაში რჩება გადაწყვეტილება სტიპენდიის მოხსნის შესახებ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, თუ დასჯილები წარმატებით გაართმევენ თავს სესიას, სტიპენდია აღუდგებათ, ამასთან შემდგომში ამგვარი გადაწყვეტილებები (სტიპენდიის მოხსნა-დანიშვნა) მიღებული იქნება სტუდენტების წარმომადგენლებთან ერთად. კონფერენციაზე არ გაიგზავნება არავინ, მაგრამ შემდეგი კონფერენციისათვის, რომელიც სამ თვეში იმართება, დეკანატი და სტუდენტები ერთად შეარჩევენ ორ კანდიდატურას. ბოლოს, ინსტიტუტში გამოიყოფა ადგილები მწეველთათვის.

შემდგომში ჯგუფის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დაბრუნდა. იგი ისევ გახდა საუკეთესო. მოხდა მხოლოდ ერთი დანაკარგი: შოთა სხვა ინსტიტუტში გადავიდა.

ამრიგად, კონფლიქტი დასრულდა. რამ განაპირობა პრობლემური საკითხების მთელი კვანძის გახსნა? უპირველეს ყოვლისა, გულახდილობამ. თუ შეამჩნიეთ, სტუდენტებმა ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. მათ დათმობა მიიღეს მხოლოდ იმ პუნქტში, რომელიც უკვე კონფლიქტის მსვლელობაში წარმოიშვა – სესიაზე დაშვებული იქნენ. მაგრამ სამაგიეროდ დაკმაყოფილდა მათი მთავარი მოტივი: ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ აუცილებელია მათი აზრის პატივისცემა და მხედველობაში მიღება. თავის მხრივ, ხელმძღვანელობამ "სახე შეინარჩუნა": მისი არც ერთი განკარგულება, ფაქტიურად, არ გაუქმდა. მაგრამ ამასთან ერთად ხელმძღვანელობამ თავზე გარკვეული ვალდებულებები აიღო, რაც ნიშნავს ინსტიტუტის მართვის არსებული წესის შეცვლას.

როგორია კონფლიქტის შედეგები? კონფლიქტმა ბევრი არასასიამოვნო ემოცია, ვნებათა ღელვა მოიტანა როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. დაეცა ჯგუფის მოსწრება, გაუარესდა სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ინსტიტუტში, ერთ სტუდენტს სასწავლებლის დატოვება მოუწია. ეს ყველაფერი კონფლიქტის უარყოფითი მხარეა. მაგრამ მან გარკვეული პოზიტიური შედეგიც მოიტანა. სტუდენტებმა "თავისი სიტყვა თქვეს" და საკუთარი თავი დაიმკვიდრეს – ხელმძღვანელობამ მათ "ყური ათხოვა" და გარკვეული ვალდებულებები აიღო თავის თავზე. თითქოს სხვათა შორის გადაწყდა ერთი პრობლემა, რომელიც კონფლიქტის ფონს შეადგენდა და მისი საბაბი გახდა – მწეველთა მდგომარეობა. მწეველთათვის ადგილების გამოყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს მოწევაზე დადებული აკრძალვის დარღვევის შესაძლებლობას.

რამდენად სამართლიანია გადაწყვეტილებები, რომლებითაც დასრულდა კონფლიქტი? ამის შესახებ შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა უნდა ფასდებოდეს არა იმის მიხედვით, თუ რამდენად სამართლიანია იგი გარე დამკვირვებლის თვალით, არამედ რამდენად აკმაყოფილებს იგი ორივე მხარეს.

კონფლიქტის გადაწყვეტა წარმატებულია არა მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს რაღაც "უზენაეს სამართლიანობას", არამედ მაშინ, როდესაც კონფლიქტის ორივე მხარე დაკმაყოფილებულია და მზადაა მომავალში ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად.



© Profile


© შალვა ლეჟავა

ჩემი უკეთესი „მე"

შალვა ლეჟავა

"ჩემი უკეთესი მე" — ეს განწყობაა, კონკრეტულიც და კრებითიც, მეგობრობასა და მეგობრებს, მკვდარ-ცოცხალს მისადაგებული, მათი კუთვნილი — ჩემთან საზიარო. ბევრი აღარ არის ამ ქვეყნად: გურამი, ლომიკო, ზაური, ვიქტორი, დათუნა, თამრიკო, დევი, გოგი, მურადი, ირაკლი... ახლა მერაბი და ზალიკო. კარგ ადამიანებს სიკვდილის შემდეგაც სიკეთის ქმნის უნარი მოსდგამთ. ჩემმა მეგობრებმა თავიანთი სულის ნაწილი, საკუთარი სიკეთის მადლი გადმომილოცეს თითქოს. დღესაც გვიგრძელდება ოდესღაც დაწყებული ურთიერთობა, უბრალოდ ისინი იქით არიან, მე — აქეთ.

ბავშვობა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გავატარე და ცხოვრებაც რეალურად გვიან, ოცდერთი წლისამ დავიწყე, როდესაც მთაში სიარული შევიძელი და მეგობრებმა ერთმანეთი ვიპოვეთ. შემდეგაც ჩემთვის ძვირფას ყოველ ადამიანთან მთა მაახლოვებდა სხვა და სხვა გვარად; სიხარულიც და ტკივილიც საკმაოდ მარგუნა, ამიტომაც მიყვარს განსაკუთრებით.

პირველი გუნდი, რომელშიც მეც ვიყავი, 1969 წელს შეიკრა. ჩვენი პირველი ინსტრუქტორი „კროლიკა" — ზურაბ ზურაბიშვილი იყო. ერთ-ერთ პერსპექტულ ჯგუფად ვითვლებოდით მთამსვლელობაში. სხვებზე მეტად მაინც გურამ ლოგუას დავუახლოვდი. რამოდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი, საკმაოდ რთული ადამიანი, როგორ ყველა გამორჩეული პიროვნება, რომელიც რაღაც თამასას სდებს, თუ როგორი უნდა იყო,

რას მიაღწიო. დისიდენტურ ლიტერატურაზე მიუწვდებოდა ხელი და მეც მათხოვებდა როდესაც მოვისურვებდი. მაშინ მსგავსი რამ განსაკუთრებული ნდობის ნიშანი და მეგობრობის დასტური იყო. პირველი უბედურება სამოცდათორმეტში დატრიალდა. გურამ ლოგუა, ლომიკო ჯინჭველაშვილი, ზაურ მიქაძე. არ უნდა დაღუპულიყვნენ. მძიმედ განვიცადე. ერთად ყოფნისთვის მხოლოდ ოთხი წელი გვერგებოდა თურმე.

ირაკლი გელდიაშვილი კიდევ ცალკე მოვლენა იყო — ყველაზე გადაგებული და საკუთართავდავიწყებული. ოჯახარეული და მაინც ოჯახზე შეყვარებული. არქიტექტორობაზე მეოცნებე, ფანტასტიური კლდეზე მცოცავი, მსოფლიო რანგის მთამსვლელი, ვის შესახებაც მსოფლიომ ვერა გაიგო რა. მხოლოდ ერთ მწვერ-ვალზე ვიყავით ერთად, წყვილში, ერთ თოკში ჩაბმულები. სხვა დროს ვეღარ მოვახერხეთ სამწუხაროდ. დიდი სადარდებელი გაყვა იმ ქვეყნად, თავისი ერთად-ერთ გოგონაზე — მაკუნაზე ფიქრი, რომელსაც პატარაობიდანვე დიაბეტის დაავადება დაჰყვა. და აქაც არ გაუმართლა — მამის სახელზე შვილის გასაჩენად ფეხმძიმობას გადაყვა ახალგაზრდა ქალი.

მურად ჭიჭინაძე — მაგონდება, მიყვებოდა როგორ შეესწრო ტიანშანზე ედელვეისების თიბვას. თვალზე ცრემლი მომადგა, კინაღამ ცელები დავუმტვრიე მთიბველებსო.

დევი თარხნიშვილი — ფიზიკოსი, იმდენად უცნაურად მოწყობილი აზროვნების სტილით, რომ შეეძლო სრულიად უცხო სპეციალობებში გარკვეულიყო და პროფესიონალისთვის შესაშური დასკვნებიც გამოეტანა. დევის და ირაკლის მთაში სერიოზულ ასვლებზე, ოთხმოცდასამ წლამდე ერთად არ მიუღიათ მონაწილეობა. როდესაც ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ და წყვილში გაერთიანდნენ, შვებით ამოვისუნთქე, მიხაროდა, აწი საფრთხე აღარ ემუქრებათ-მეთქი, იმდენად ავსებდნენ ერთმანეთს. არ ეწერა ჩემს იმედს გამართლება.

მოსაგონარი უხვად მაქვს, ცუდია თარიღები რომ არ მახსოვს, და კიდევ ერთი რამ: ზალიკო და მე, ერთ საღამოს, რაღაცას ვიხსენებდით, ჩვენდა გასაოცრად ისეთ მომენტებზეც კი ვერ შევთანხმდით, სადაც ერთად ვიყავით ნამყოფი და მაშინ ვთქვი: "იცი რა? შესაძლოა დროთა განმავლობაში, უნებურად, ქვეცნობიერად, რაღაცას ვცვლით იმ ამბებში, რისი მომსწრეებიც ვიყავით". გულიანად გაიცინა, და — *მართალი ხარ, ხო იცით* — მითხრა; *ამასწინათ ჩემს დღიურებს ვკითხულობდი და სხვანაირად წერია, ახლა კი ზოგი რამ სულ განსხვავებულად მახსენდებაო.* ამას ასე იოლად მისეული ხალასი ბუნება ათქმევინებდა, მე კი მხოლოდ ვეცდები, ყველაფერი შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით გავიხსენო.

ჩვენი პირველი შეხვედრა კარგად მახსოვს: 1969 წელს, წავკისის ხევში კლდეზე ცოცვაში ტარდებოდა შეჯიბრი; ამ დროს კარნახი დასაშვებია, რომ მიდიხარ და ვიღაც გეძახის: აქეთ წადი, იქით წადი! არ მსიამოვნებდა და გავაფრთხილე სუყველა: "მარშრუტზე რომ გავალ, კარნახი არ დამიწყოთ!" ამ დროს ლამაზ წყვილს მოვკარი თვალი, ზალიკო და მარინა იყვნენ, უხდებოდნენ ერთმანეთს. მოვიდა, ვიღაცას გაეხუმრა, რაღაც ერთი-ორი სიტყვა თქვა და მარშრუტზე გასვლის წინ მაშინ ჩემთვის ამ სრულიად უცხო კაცს ვთხოვე: "იმ რთულ ადგილთან რომ მივალ, ერთი დამაკვალიანე-მეთქი". ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ზალიკოს ნიჭი უხვად ჰქონდა მომადლებული — ნაირგვარი: დიდი პოტენციის მთამსვლელი იყო, ასევე მეკლდეურიც, მისებრ ლამაზი ცოცვა იშვიათ სანახაობას წარმოდგენდა, დახვეწილი პლასტიურობით გამოირჩეოდა. არაჩვეულებრივი პროფესიონალი, შესანიშნავი ისტორიკოსი, რომელიც ყველაზე საჩოთირო საკითხებზე მსჯელობისასაც კი ახერხებდა მიუკერძოებელი ყოფილიყო. მისი პრინციპულობა, პოლიტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ახლობლებისთვისაც კი, ზოგჯერ გაუგებარი იყო. დიდ ცოდნას ფლობდა და ანალიტიკური მსჯელობის შესაშური უნარიც ჰქონდა.. სამოცდაათიან წლებში ზალიკომ, ჯერ კიდევ ახლგაზრდა არქეოლოგმა, გამოთქვა ვარაუდი დმანისში შესაძლო აღმოჩენების თაობაზე, რასაც მაშინ არ მიექცა სათანადო ყურადღება და მხოლოდ ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს დადასტურდა მისი პროგნოზი. ზალიკოს დაღუპვის შემდეგ მარინამ მითხრა: „კარგა ხნის წინათ შევნიშნე, რომ ეს კაცი აგროვებდა ისეთ ცოდნას, რომელსაც სხვა არავინ ითავისებდა. ჰქონდა უწყვეტი ურთიერთობა ამ ცოდნის სამყაროსთან და შეეძლო უშურველად საუბარში გაეცა ეს ცოდნა, იმიტომ რომ აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი იყო". მათი მეგობრობა უცხო თვალისთვისაც კი არ რჩებოდა შეუმჩნეველი, ერთმანეთს თავისთავადობის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ. იშვიათად შემხვედრია მსგავსად შეხმატკბილებული ოჯახი.

მერე გაგრძელდა ჩვენი შეხვედრები, მასთან სახლში, ვიქტორ რიბინსკისთან, თარხნიშვილ — თარხან-მოურავებში... საერთო ტკივილიც გვაახლოვებდა — ბევრი ახლობელი დაგვირჩა მთაში. სამაშველო სამუშაოებშიც ერთად ვმონაწილეობდით.

1984 წელს უშბაზე ექვსი მეგობარი დაგვეღუპა. ოთხნი მალევე ვიპოვნეთ. დევი და ირაკლი არ სჩანდნენ, ცოცხლები ვეღარ უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ იმედს მაინც არ ვიწურავდით. მათი ძებნისას, უშბის კულუარში ზვავში მოვყევი ფასო როსტომაშვილთან ერთად, უცნაურად გადავრჩით, თითქმის უვნებლად. მაშინ ძებნა შეწყდა, მეორე დღეს შალიკო ქირიკაშვილმა მიაკვლია ორივეს.

1987 წელს სვანეთში დიდთოვლობისას ზვავებმა რამოდენიმე სახლი დაანგრია, მსხვერპლიც იყო. ნიშანდობლივია, რომ ყველა დაზიანებული შენობა შედარებით ახალი იყო. არც ერთ ძველ ნაგებობას, არც ეკლესიას, არც კოშკს ზვავები არ შეხებია, ეტყობა უფრო გონივრულად არჩევდნენ მათთვის ადგილს. მთავრობამ *"ღონისძიების"* ჩატარება გადაწყვიტა და დახმარებისთვის მთამსვლელებს მიმართა.

მოხალისეები ალპიურ კლუბში შევიკრიბეთ, სვანეთში გადავფრინდით. ჩვეული გულითადობით დაგვხვდნენ ადგილობრივები, თუმცა არ ეცალათ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ გასაჭირში. ერთ-ორ კაცს წყენანარევი გაკვირვებაც შევამჩნიეთ, ზოგიერთი ბარელი ჩინოვნიკი ვითომ საქმეს რომ ასწავლიდა. ზალიკომ მითხრა, მერიდება ამ ხალხის, ვაცდენთ მგონიაო. მსგავს სიტუაციაში მთავრობისგან მათ მხოლოდ საწვავი, პურის ფქვილი და ცოტაოდენი ფული სჭირდებათ, დანარჩენი თვითონ უკეთ იციან როდის, რა და როგორ აკეთონო.

ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის განხორციელების მოწინააღმდეგე ჯგუფშიც ერთად ვიყავით ზალიკო, გია თარხან-მოურავი, ლევან კალანდარიშვილი, მიშა ჩაჩხუნაშვილი, გოგი მინდიაშვილი, გურამ ქუთელია, სხვებიც.

ოთხმოციანი წლების ბოლოს დრო თითქოს აჩქარდა. იშლებოდა უზარმაზარი იმპერია — საბჭოთა კავშირი, ყველაფერი აირია. ამ დროს ჩამოყალიბდა "სანთელი". საგულისხმო იყო პირველი შეკრება იპოდრომის ტერიტორიაზე. განსხვავებულმა ხალხმა მოიყარა თავი, ზოგმა ნაცნობმა, ზოგმაც უცნობმა. ვსაუბრობდით, რომ უნდა შექმნილიყო რაღაც ჯგუფი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში იმუშავებდა. მაშინ უკვე უკვე ძალიან დიდი დაძაბულობა იყო და ყველა ვიღაცის პოზიციას იზიარებდა. ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც პარტიულ თუ რაღაც სხვა მოძრაობების ზეგავლენას არ განიცდიდა. შეხვედრა დაიწყო იმით, რომ ზალიკომ თქვა: "მოდი, ერთი რამ გადავწყვიტოთ და ერთ რამეზე შევთანხმდეთ, თუ კი ჩვენ ვიქნებით სრულიად დამოუკიდებელი და ყოველ-გვარი იარაღის გარეშე მოქმედი ჯგუფი, მაშინ თქვენს გვერდით მიგულეთ, მაგრამ თუ კი რამე კონტაქტი გვექნება იარაღთან და ძალადობასთან, მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ!" ვერ მივიღებ კი არა, არ მივიღებო. მაინც და მაინც არავინ შეწინააღმდეგებია. შეიძლება ვინმეს ეგონა, რომ რომელიმე ჯგუფთან ყოფნა უფრო გამართლებულიც ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით — არავითარი იარაღი! გადაწყდა: "სანთელი" წითელ ჯვართან არსებულ ჯგუფად ჩამოყალიბებულიყო და ამან ძალიან გაამართლა. მაშინ გამოჩნდა თენგიზ მესხი, როგორც "სანთელის" ოფი-ციალური ხელმძღვანელი, დაგვიახლოვდა, დაგვიმეგობრდა, მხარში გვედგა.

მას შემდეგაც, როდესაც "სანთელი" უკვე მოქმედებდა, კიდევ იყო მცდელობა, რომ ვინმეს შევერთებოდით. შემოთავაზება გვარდიიდანაც მოდიოდა, მხედრიონიდანაც, რაღაც კონფლიქტებიც იყო ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ის პირველი ნათქვამი გავიდა ბოლომდე, თუმცა ბიჭების ნაწილს ქონდა კონტაქტები, ზოგს მხედრიონთან, ზოგს გვარდიასთან, ზოგს ვიღაცასთან, მაგრამ ეს მათი პირადი საქმე იყო. "სანთელი" დამოუკიდებლად მუშაობდა.

არც ისე ცოტანი ვიყავით: ლექსო უთარაშვილი, თემურ ქუმსიშვილი, კოტე ციხისელი, ვაჟა ჩაგელიშვილი, არჩილ ქიქოძე, ვახტანგ კოლხიდაშვილი, რომა ცაგარელი, ზურა ასტახიშვილი, იურა კვალიაშვილი, ვანო ყვავილაშვილი, გენო გამყრელიძე, დათო ხუციშვილი, არსენ აბრამიშვილი თავის ვაჟებთან ერთად, დათო სუხიაშვილი, გია ქუმსიშვილი, ნათელა მჭედლიშვილი, ნანა ნაზაროვა, პაატა საღირიძე, ბიძინა გუჯაბიძე, ელგუჯა ჯავრიშვილი, საშა სალავიოვი, მორის ქუმსიშვილი... ყველას ვერ ვიხსენებ, მაპატიოს თუ ვინმე გამომრჩა.

"სანთელის" ბაზა სვანეთის უბანში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კუთვნილ შენობაში იყო, სადაც ერთი სართული გვეკავა. გვქონდა სადღეღამისო მორიგეობები, ვმონაწილეობდით ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაში. უცხოური ორგა-ნიზაციები, რომელთაც ეს ტვირთი ჩამოჰქონდათ, უპირობოდ გვენდობოდნენ; იცოდნენ, იქ სადაც "სანთელი" მუშაობდა, ადრესატამდე ყველაფერი უდანაკარგოდ მივიდოდა.

1994 წელს მოხდა რაჭა-იმერეთის მიწისძვრა. მთელი სოფლები დაინ-გრა. იყო მსხვერპლი. რამდენიმე საათში თბილისიდან გავფრინდით. ჯგუფებად დავიყავით, სხვა და სხვა სოფლებში გადავნაწილდით. ვაჟა ჩაგელიშვილი და მე გლოლაში გადმოგვსვეს. ქვითკირით ნაგები სახლები ან დანგრეული იყო, ანდა იმდენად დაზიანებული, პატრონები საკვების და ტანსაცმლის გამოსატანად შესვლას ვერ ბედავდნენ. ფიცრულმა სახლებმა შედარებით უკეთ გაძლეს. მიწა ისე დამსკდარიყო, ზოგიერთი სახლი ნაპრალში იყო ჩაშვებული. პირველი რაც უნდა გაგვეკეთებინა, ამ ნან-გრევებიდან ხალხისთვის იქ დარჩენილი ფული, სანოვაგე და ტანსაცმელი გამოგვეტანა. იქაურებს ეს ყველაფერი სჭირდებოდათ, იმედით შემოგვცქეროდნენ, თანაც ჩვენზეც სწუხდნენ — არაფერი დაგემართოთო. მიწისქვეშა ბიძგები ჯერ კიდევ გრძელდებოდა და როდესაც ძლიერდებოდა, უცნაური ამბის მომსწრენი ვხდებოდით: სოფლის ყველა ძაღლი პატრონს სტოვებდა და კუდამოძუებულნი ვაჟიკოსა და მე გვეკვროდენ ფეხებთან, თითქოს შველას გვთხოვდნენ...

ზალიკო სხვაგან მუშაობდა. მიყვებოდნენ — საბაგირო გზა იყო გაჩერებული და ვაგონეტში ორი კაცი ჩარჩენილიყო. საბაგიროს ამუშავება გამორიცხულია, თვითონ ვერაფერს იზამენ, ვერტმფრენიდან თუ დაეხმარე-

ბა ვინმე. გაფრინდენ. იქ იყო მსოფლიოს სახელის მქონე ვინმე ამერიკელი მაშველი, საქართველოში დასახმარებლად ჩამოსული, კარგად აღჭურვილი. თავისდათავად იგულისხმებოდა, რომ მას უნდა ეხსნა გასაჭირში მყოფნი. რომ მიუახლოვდნენ იმ ადგილს, ეს კაცი გადმოიხარა ზალიკოსკენ და უთხრა: იცი, ვიეტნამის ომში ვიყავიო, ჩემი ვეტმფრენი ააფეთქეს, იმის მერე შიში მაქვსო. ჰოდა, ზალიკო დაეშვა თოკით. ყველაზე ძნელი მისთვის ამ ადამიანების დათანხმება აღმოჩნდა, დაცვის ჩაბმაზე და თითო-თითოდ ვეტმფრენში აყვანაზე. ბოლოს ესეც მოახერხა, თუმცა ერთ-ერთის დასარწმუნებლად მცირედი გალაწუნებაც გახდა საჭირო. ამოიყვანა. ამერიკელმა მთელი ეს პროცესი ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ქიქოძეებთან სახლში თქვა, ეს ფირი და ეს კადრები მილიონი ღირსო. ამაზე ძია ქუჩუკს უხუმრია: "ჩვენ არაფერი გვერგებაო?!" ყველაფერი ამ ოჯახისთვის ჩვეული იუმორით იქნა აღქმული. შემდეგ რაღაც ოფიციალურ შეკრებაზე ეს ფაქტი აღინიშნა. ამის კადრები ზალიკოს ვაჟთან — არჩილთანაა შენახული. იქ, ის ამერიკელი, წითელი ჯვრის მაღალი ხარისხის ოფიცერი, სცენიდან ყვება რაღაც ენით აუწერელი გმირობის შესახებ... ზალიკო ზის დარბაზში თავდახრილი. იქ ზალიკომ მიიღო ჯილდო, წითელი ჯვრის უზარმაზარი დროშა, აბსოლუტურად არანორ-მალური ზომის. ქათქათა, სქელი ნაჭრისგან იყო დამზადებული და ზალიკო ხუმრობდა, ამისგან კარგი საშარვლე გამოვაო. რაღაც ხნის შემდეგ ფოთში, თუ ბათუმში წითელი ჯვრის ეგიდით ტარდებოდა იალქნიანი ნავების შეჯიბრი, რომლის გახსნისთვისაც ზალიკოსგან ითხოვეს ეს დროშა იქ ასაფრიალებლად, ოღონდ აღარ დაუბრუნებიათ...

საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება ძლიერდებოდა. მის კულ-მინაციად საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა და შეიარაღებული კონ-ფლიქტი იქცა. ერთი ბანაკის ცენტრი მთავრობის სახლთან იყო, მეორის — ტელევიზიასთან. "სანთელი"-ს სამაშველო ჯგუფები ორივე მხარეს მორი-გეობდა, ერთმანეთს ვენაცვლებოდით. მაშველებს ერთი ბაზა ტელევიზიასთან, საქ.ნავთის შენობაში გვქონდა ოპოზიციის მხარეს და მეორე — პიონერთა სასახლეში, მთავრობის მომხრეთა ტერიტორიაზე.

"საქართველოს წითელი ჯვრის" ხელმძღვანელობის მხრიდან იყო ერთგვარი დაბნეულობა, იმიტომ რომ, იმის მიხედვით, როგორ იცვლებოდა პოლიტიკური კლიმატი, გვეუბნებოდენ: *იქ რატომ დგახართ?* ან, *აქ რა გინდათ?* "სანთელმა" კი მაინც შეინარჩუნა თავისი პოზიცია — დახმარება ორივე მხარეს სჭირდებოდა...

სიტუაცია მაქსიმალურად იყო დამუხტული და მერყევი წონასწორობა საბოლოოდ დაირღვა კიდეც. ამ დროს თავისდათავად ჩნდება იარაღისკენ ლტოლვა, ეს ადამიანში ჩაბუდებული აგრესიის მომენტია. მაშინაც ასე იყო, რა სახეობის იარაღს არ ნახავდი იქ, მაგრამ არც მისი წესიერად ხმარება იცოდა ბევრმა და არც ის ჰქონდათ გაცნობიერებული, ერთ უჭკუო

გასროლას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. საღად მოაზროვნე ხალხიც იყო საბედნიეროდ, როგორც ყოველთვის არც თუ ისე ბევრი. მახსენდება ტელევიზიასთან მომხდარი რამდენიმე შემთხვევა. მოვიდა ჩემთან ერთი ნაცნობი და მითხრა, აქა დგახარ და იარაღი არა გაქვს? ჩვენ გვაქვს და მოგცემთო. უარი ვუთხარი, აქ ისედაც ზედმეტი იარაღი ტრიალებს-მეთქი. ამ საუბარს რამდენიმე ახალგაზრდა შეესწრო: აგი აბაშიძის ვაჟი (სამწუხაროდ, შემდეგ დაიღუპა), ცოტნე ჯავახიშვილი, კიდევ სამიოდ ბიჭი, რომლებმაც მითხრეს, რამე მოვიმოქმედოთ, იქნებ სისხლისღვრა ავიცილოთ როგორმე თავიდანო. ზვიად გამსახურდიას მომხრეების მხრიდან ელოდნენ წამოსვლას და მზად იყვნენ უიარაღოდ შეგებებოდნენ და ეცადათ შეეჩერებიათ. თუ გაგვლახავენ და გადაგვივლიან, არაუშავს, ჩვენ ხომ ჩვენსას ვეცდებითო. ამ მცდელობამაც ვერ გაამართლა მაშინ.

სამოქალაქო დაპირისპირება საშინელებაა, თითქოს ხაზია გავლებული, მის ორივე მხარეს კი გაუცხოებული ადამიანები დგანან, ოდესღაც მეგობრები, ზოგჯერ ერთი ოჯახის წევრებიც, მტრებად ქცეულნი. მათი უმრავლესობა, რომელ მხარესაც არ უნდა ყოფილიყო, მაქსიმალურად ეგზალტირებული, უაღრესად აგრესიული და იმავ დროს გულწრფელი იყო. ორივე მხარეს მყოფთ სჯეროდათ, რომ მხოლოდ თავად არიან მართალნი, მხოლოდ მათ უყვართ სამშობლო და მხოლოდ მათ იციან როგორ უნდა გადაარჩინონ საქართველო. ამ დროს იოლია ადამიანების მასით მანიპულირება, ისეთი ცნებებით სპეკულირება, როგორიცაა ეროვნული ღირსება, სარწმუნოებრივი მესიანიზმი, და ეს ყოველივე საუცხოოდ იქნა გათამაშებული.

რაც შეეხება ზალიკოს, ყველას უნდოდა, რომ ის მათ მხარეს ყოფილიყო. ყოველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოძრაობას თუ პარტიას ჰქონდა ამის მცდელობა. ყოველი მთავრობის დროს სთავაზობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებს, არც ერთ წინადადებას არ დათანხმებია. ადამიანთა იმ უმრავლესობისაგან განსხვავებით, ვინც ძალაუფლებას ესწრაფვის, ზალიკომ ნამდვილად იცოდა, რომ უფლებები მოვალეობების გარეშე არ არსებობს. ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა — პრინციპების დაცვა. შეეძლო უაღრესად მიუკერძოებელი ყოფილიყო. კარგად მახსოვს რომ იტყოდა ხოლმე:

მე თუ გინდათ, თავი მომჭრან,
ტანი დარჩეს გასაბერად,
ვინც არ არის კახაბერი,
მას ვერ ვიტყვი, კახაბერად!

სამოქალაქო ომი დაიწყო და თეორიულ მსჯელობებს თუ გვერდს ავუვლით, სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი. კონფლიქტები კავკასიაში წარმოიშვა და გამძაფრდა რუსეთთან ურთიერთობის შედეგად. ამისთვის

იმპერიის სპეცსამსახურები ორასი წლის განმავლობაში მიზანდასახულად და როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ წარმატებით მუშაობდენ. საკმარისია იმის თქმა, რომ ყველა კავკასიური ომი: ყარაბახში, ჩეჩნეთში, ოსეთში, აფხაზეთში – რუსეთის პროვოცირებული იყო. ყველგან მხოლოდ რუსული იარაღი ჩანდა, რომელზეც დიდ ფულს აკეთებდნენ და ურიგებდნენ ყოველ მხარეს. სამწუხაროდ არც ჩვენ, არც აფხაზებს, არც ოსებს არ გვეყო გონიერება, საერთო ინტერესები დაგვეცვა.

არ მინდა პოლიტიკურმა ანალიზმა გამიტაცოს, მაგრამ სანამ სხვა რამეს მოვყვები, ერთი რამ მინდა ვთქვა – მთელი ის პერიოდი ამაზრზენ, აბსურდულ წარმოდგენად დამამახსოვრდა. ქვეყანაში სამოქალაქო ომი და ინტერვენცია ერთმანეთში იყო აღრეული, ამ დროს კი ტელევიზიით მსურველებს გასართობ ტურებზე ეპატიჟებოდენ, სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებები ერთმანეთს ებრძოდენ. ნამდვილად ვაჟკაცურად მეომარი რაზმები, რომლებმაც რუსული დესანტების მოგერიებაც კი შესძლეს, ვიღაც-ვიღაცეების რაღაც გაურკვეველი ბრძანებების გამო სისხლით მოპოვებულ პოზიციებს ტოვებდენ. ვიდრე სოხუმი დაეცემოდა და ყველაფერი ასე განვითარდებოდა, იყო რაღაც უცნაური ეიფორია დიდი გამარჯვების მოლოდინის. თბილისში იკრიბებოდა ხალხი, რომელიც ომის ფინიშზე აფხაზეთში საომრად უნდა ჩასულიყო. იყო მონადირეების დაძახება სანადირო თოფებით, იმის მტკიცება, რომ პლანტაციაში საომრად სანადირო თოფი უკეთესი იარაღია ვიდრე ავტომატი. მაშინაც და ახლა უფრო მექმნება შთაბეჭდილება რომ, მაპატიოს ყველამ ვისაც ეს არ ეხება, მაგრამ ხალხის გარკვეული ნაწილი იქ სამომავლოდ ქულების დასაწერად, თითქოს გარანტირებულ გამარჯვებაში თავისი მონაწილეობის დასაფიქსირებლად მიდიოდა. ანეკდოტური სანახავი იყო თოფ-იარაღ ასხმული ღიპიანი ძიების საკრებულო, ორი ნაბიჯის გადადგმა რომ არ შეეძლოთ და ვითომ საომრად კი მიდიოდენ...

„სანთელი'' კონფლიქტურ ზონებში მუშაობდა. ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. გალში, ოჩამჩირეში, სოხუმში, გაგრაში, ვარიგებდით ჰუმანიტარულ დახმარებას, გამოგვყავდა ლტოლვილები. შემდეგ სოხუმი დაეცა. ლტოლვილების ნაკადი მასიურად მოდინებოდა. მოდიოდნენ ძირითადად ორი მიმართულებით, სამეგრელოს და სვანეთის გავლით.

თბილისიდან დავიძარით ავტობუსებით. ჩვენი ჯგუფის წევრებმა – ზალიკომ, ლექსო უთარაშვილმა, მორის ქუმსიშვილმა, კოტე ციხისელმა, შალვა სამსონაძემ გაგვასწრეს – იქ ვერტმფრენით ჩაფრინდნენ. ჩავედით ქუთაისში, სადაც ავტობუსები ტვირთით დაიტვირთა და ქუთაისიდან გამოგვაყოლეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაცვა. უშგულის გავლით უნდა ჩავსულიყავით მესტიაში, იმიტომ რომ მეორე გზა შეიძლება პრობლემატური ყოფილიყო და მაშინვე მიგვაჩნდა, რომ ამხელა დაცვა საჭირო არ იყო. ასე თუ ისე, ეს დაცვა ჩვენ გამოგვყვა. ეს იყო შეიარაღებული

ხალხი, რომელიც გზაში ძალიან ბევრს ყვებოდა იმის შესახებ, თუ რა მაგარი მეომრები არიან, მაგრამ მერე რაღაცეები შეიცვალა. ჩემთვის საინტერესო მანდ ერთი მომენტი იყო — სვანეთში ძმადნაფიცები მყავს და ერთ-ერთს, თემო ჯაფარიძეს, პირველი სამი გოგონას მერე მეოთხე ბიჭი შეეძინა. მისთვის დავაწერინე წმინდა გიორგის ხატი და ის მიმქონდა სვანეთში. როდესაც მესტიაში ჩავედით, ღამე იყო. გადმოვედით, ნაწილი ხალხი მესტიის ყოფილი რაიკომის შენობაში შევიდა, მსჯელობდნენ იმავე დღეს ჯობდა წასვლა, თუ უთენია, მაგრამ ვჩქარობდით და გადაწყდა, იმავ ღამით გაგვეგრძელებინა გზა. მოკლედ, მესტიაში შევხვდი ამ ჩემს ძმადნაფიცს, რომელმაც მითხრა, ამაღამ ალბათ დარჩებითო და რამდენი კაციც გინდა, ჩემთან შემოიყვანეო. დარჩენით ვერ დავრჩებოდით, მაგრამ ცოტა ხნით მაინც შევედი ამ ჩემს საყვარელ ოჯახში, ხატი მივართვი. მისი მეუღლე ინგა ისევ ფეხმძიმედ იყო. უცებ გაიშალა პატარა სუფრა, რამოდენიმე ჭიქა შევსვით, დავლოცე ოჯახი, ახალშობილი და ავიჩქარე წამოსვლა. თემურმა რაღაც ჩაილაპარაკა სვანურად, ინგა ადგა, ტახტი გაწია, ამოიღო დექტიაროვის ტყვიამფრქვევი და დაიწყო დატენვა. თემურს ვეკითხები, რას შვრება-მეთქი და, აბა მარტო ხომ არ გაგიშვებო. ატყდა ცხარე კამათი, ვამბობდი რომ აქეთ ოთხი შვილი, ქალი მეხუთეზეა ორსულად და როგორ შეიძლება ოჯახის უკაცოდ დატოვება. მაშინ იარაღს გაგატანო. იარაღს ვერ წავიღებდი, იმიტომ რომ წითელი ჯვრის ეგიდით მივდიოდით, მგონია დავარწმუნე, გამოვდივართ და ვემშვიდობები. წამსვლელები ავტობუსებში ვსხდებით. ამ დროს ქუთაისიდან გამოყოლებული დაცვის ნაწილი მოდის ჩვენთან და გვეუბნებიან: "ბატონო, იქით ჩვენ აღარ გვინდა წამოსვლა, იქ სროლა იქნება უკვე, ოჯახები გვყავს და, თუ შეიძლება დავრჩებით". მოკლედ ეს დაცვა, ოცდაათამდე კაცი გაბრუნდა უკან. თუმცა ერთი მათგანი, რომელიც ქუთაისიდან გამოგვყვა და მთელი გზა ჩუმად იყო, დარჩა და შემდეგ თავისით გააგრძელა გზა. მისი სახელი არ ვიცი, როგორც მერე გავიგე, მეტსახელად "მარტოხელა მგელს" ეძახდნენ, კარგი მეომარი ყოფილა. დაიძრა ეს ჩვენი კოლონა და ლენჯერთან არმისული (ეს ლამის მესტიაზე გადაბმული სოფელია) გაჩერდა. ვიღაც მოდის და მკითხულობს მე — "უოქვენოდ არ გვიშვებენო!" გამიკვირდა, გადავედი, გავედი კოლონის თავში, "კოლხოზნიკი" დგას და ეს ჩემი ძმადნაფიცი თავის მეგობრებთან ერთად მელოდება. ვკითხე: "რას შვები?" — "ხომ გითხარი, უჩვენოდ ვერ გაგიშვებო." ჩავჯექით და ეს მანქანა კოლონას გაუძღვა წინ.

ვიდრე ჭუბერში ჩავიდოდით, გზაში შემოგვხვდა შეიარაღებული რაზმი — კიტოვანის ნაწილები, რომლებსაც უღელტეხილი გადმოევლოთ და ასევე სვანეთის გავლით მოდიოდნენ, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით, თბილისში. უცნაური სანახავი იყო საკმაოდ კარგად შეიარაღებული სამხედრო ნაწილი: იმის ნაცვლად, ლტოლვილების უსაფრთხოება უზრუნველეყო უღელტეხილზე გადმოსასვლელად, მათ წინ უსწრებდა.

ერთმანეთს გვერდი ავუარეთ, ანუ მათ გააგრძელეს თავიანთი გზა უშგულის გავლით თბილისში, სანთელმა თავისი გზა – ჭუბერის მიმართულებით. გვიანი ღამით ჩავედით როგორც იქნა. იქ დამხვდა ნოდარ ნათაძე და მითხრა, რომ ზალიკო, ლექსო, კოტე და კიდევ ვიღაც ბიჭები აფეთქდნენო ვერტმფრენში. გაოგნებული ვიყავი. ეს ჩემი სვანი მეგობრები გვერდში დამიდგნენ, ცდილობდენ გავემხნევებინე, მომიტანეს სასმელი, მაგრამ არ მომინდა ალკოჰოლით გაბრუება, საქმე იყო საკეთებელი. იქ, ჭუბერში რაღაც პატარა ბაზასავით გაიმართა, გადმოიტვირთა პროდუქტი, დაიწყო საველე სამზარეულოს მოწყობა. გავიდა რაღაც პერიოდი და თვალებს ვერ დავუჯერე – მოვიდნენ ის ჩემი აფეთქებული მეგობრები. ოღონდ იმ ვეტმფრენში, სამწუხაროდ, სხვა მგზავრებთან ერთად „სანთელი''-ს წევრი, დათო ხუციშვილი დაღუპულიყო.

გადაწყდა, რამოდენიმე ბანაკი უნდა გაკეთებულიყო. ერთი უღელტეხილის იქით უნდა დამდგარიყო, ერთი ზედ უღელტეხილზე, ერთიც შუალედური ბანაკი და ერთი კიდევ ქვემოთ. ამ ბანაკებში გადანაწილდა ჩვენი ხალხი. ყველას სახელი არ მახსოვს. იყო ლოვა სარქისოვი, გელა გამყრელიძე, ვანო ყვავილაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი... დავიძარით და მანქანებით წავედით ჭუბერის უღელტეხილის მიმართულებით. ეს იყო პროდუქტით დატვირთული საბარგო მანქანები და მთელი ის ხალხი, რომელიც ვნაწილდებოდით ამ ბანაკებში. აქ ერთი რამე მახსოვს – გზაში რომ მივდივართ, იქიდან მომავალი ხალხი უკვე გვხვდება, მაგრამ ეს კანტი-კუნტად მომავალი ჯგუფებია. დაქანცულები, ცივა, თოვს, საკმაოდ მძიმე გზა აქვთ გამოვლილი და უცებ ვხედავ, ვიღაც ახალგაზრდა ქალი ყვავილებს აგროვებს. მოიხედა და "შალვაო!'' – დაიძახა. ჩემი ნაცნობი, სოხუმის მაცხოვრებელი ლეილა ნაროუშვილი აღმოჩნდა. ისეთი სიტუაციაა, რომ მანქანის გაჩერებაც არ შეიძლება – ძრავას უჭირს და რაღაც პროდუქტები, რაც მოვახერხეთ, გადავუყარეთ და აი ეს უცნაური ხატი დამრჩა მეხსიერებაში – როგორ აგროვებდა მთის ყვავილებს... მერე ამბობდა, იმ ყვავილებმა გადამარჩინესო.

მანქანები გავაჩერეთ იქ, სადაც ამის საშუალება იყო. პროდუქტების გარკვეული ნაწილი და კარვები ჩამოვტვირთეთ. ამ ბანაკში ზალიკო და მე დავრჩით. აქ მთავრდებოდა ტყე, შემდეგ უკვე ალპური ზონა იწყებოდა. დავდგით ერთი დიდი სამხედრო კარავი, დაახლოებით 25-30 კაცზე გათვლილი, მოვაწყეთ ადგილი კოცონისათვის, დავაწყვეთ თბილისიდან წამოღებული და ქუთაისში შევსებული პროდუქტი (სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებული საკვები) და დაიწყო რამოდენიმე ხნის განმავლობაში ეს ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი სამუშაო – როდესაც მოდის შემციენული, გათოშილი, აკანკალებული ხალხი, რომელიც უნდა დააწყნარო, მოასვენო, პირველი დახმარება გაუწიო, გააცილო და ვერასდროს ვეღარ ნახო. ჩაის გამუდმებით ვადუღებდით, რომ ცხელი წყალი ყოფილიყო. მოსულები მოდიოდნენ კოცონთან, ვაპურებდით პირველ რიგში

ქალებს და ბავშვებს, შეგვყავდა კარავში, ათენებდნენ ღამეს და მეორე დღეს აგრძელებდნენ გზას.

მოდიოდნენ განუწყვეტლივ. დღისით ხალხის ნაკადი იზრდებოდა, საღამოს მცირდებოდა, სადღაც შუაღამისთვის წყდებოდა. დილით ისევ იწყებდა მოძრაობას. კარავში ჩვენი ადგილი არ იყო. იქვე, გადატეხილი ხის ფესვებში საკმაოდ კომფორტული ფუღურო აღმოვაჩინეთ. ჩვენ ორნი თავისუფლად ვთავსდებოდით და ხანდახან 4-5 კაციც კი ვყოფილვართ ერთდროულად. იქ, თუკი კაცს სიცილის თავი ექნებოდა, ხანდახან სასაცილო რაღაცეებიც ხდებოდა. რომ ვთქვი, პირველ რიგში ქალებსა და ბავშვებს ვაპურებდით-მეთქი, მერე რაც რჩებოდა, პირობითად განაწილებულ რაციონს ვაძლევდით კაცებს. ერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, ერთი ქალბატონი ძალიან გვეჩხუბა, საკვები ეცოტავა: "ჩემ მგელივით კაცებს ეს ეყოფაო?!"

იყო შემთხვევები, როდესაც მოდიოდა შეიარაღებული ხალხი და თხოულობდნენ საჭმელს. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ საკვები გვაქვს, მაგრამ სანამ ეს ნაკადი არ მორჩება, პირველი რიგი ქალების და ბავშვების დაპურებაა, ვერაფრით დაგეხმარებით, მერე რამდენსაც მოგცემთ, იმით უნდა დაკმაყოფილდეთო და, სხვათაშორის, ასე პირდაპირი ნათქვამი სჭრიდა, ყველა გაგებით ეკიდებოდა ამას. თავიდან შეიძლება უფრო აგრესიული იყო ეს განწყობა, მაგრამ ზალიკოს ქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი ადამიანებთან ურთიერთობის — შეეძლო გაღიმებულს ეთქვა საკმაოდ მჭახე სათქმელი, ეს მოქმედებდა...

ზალიკოს ფოტოაპარატი წამოეღო. ყოველთვის მაქსიმალურად იყო მობილიზებული და, ჩემგან განსხვავებით, რაღაც ჩანაწერების გაკეთებასაც ახერხებდა, მაგრამ აპარატი თითქმის არ გამოუყენებია — იმ ხალხისთვის ფოტოს გადაღება ერიდებოდა.

ყველაფერი ცუდი და კარგი ერთმანეთში იყო ალუფხული. ცოტა ხანში ამოვიდა ქუთაისელების ჯგუფი. ეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯგუფი იყო, რომელსაც ერთი ხანდაზმული კაცი ახლდა — ექიმი (თავდიშვილი თუ თავდიდიშვილი იყო გვარად). ჩვენს ქვემოთ, დაახლოებით ას მეტრში იყვნენ დაბანაკებულები. ნელ-ნელა ეს დამხმარე ხალხი რაღაცნაირად შემოგვიერთდა. იქ იყო ამოსული და გავიცანით ცოტნე ნაკაშიძე და გია აბესალაშვილი. სამუშაოდ და მართლა საშველად იყვნენ ამოსულები. იყო ერთი ხანდაზმული ქალბატონი, საკმაოდ მძიმე წონის (არც ვიცი როგორ გადმოვიდა) და კიდევ ერთი მისივე ასაკის ქალბატონი, რომლებმაც გზაში გაიცნეს ერთმანეთი, მაგრამ იმ მძიმე წონის ქალს ფეხები ტკიოდა — სიარული აღარ შეეძლო და ეს მეორე ვერ ტოვებდა, იმიტომ რომ მის მეტი ამ ქალს მომვლელი არ ყავდა. ეს ქალბატონი მერე ჩვენც გვეხმარებოდა სხვების დაპურებაში.

მთელი იქ ყოფნის შესახებ სულ გვესმოდა, რომ გზაში მიდიოდა ძარცვა, რომ იყო ძარცვის ძალიან ბევრი შემთხვევა და ცალსახად იყო ნათქვამი, რომ ძარცვავენ სვანები. თბილისში რომ ჩამოვედი, აქაც ეგ ამბავი დამხვდა, რომ ლტოლვილებს ძარცვავენ სვანები. შემდეგ მომეცა საშუალება, ტელევიზიით მეთქვა ერთი-ორი სიტყვა – სვანები ძარცვავდნენ, თბილისელები ძარცვავდნენ, "ნაკოლს" – მინიშნებას, თუ ვინ უნდა გაეძარცვათ, აძლევდნენ იქიდან წამოსული სოხუმელები, ანუ, ესეც ორგანიზებული რაღაცა იყო. ყველა თავის საქმეს აკეთებდა, რისკენაც იყო მიდრეკილი. იყო ნადირობა იარაღზე, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რამე კი უნდა ითქვას, რომ მეტ წილად ამ იარაღს ართმევდნენ მათ, ვისაც არც მოხმარების და არც ტარების თავი არ ქონდა. ამაზე მნიშვნელოვანია და კარგად მახსოვს, რაც გააკეთა ჭუბერის მოსახლეობამ. მთელი წლის სარჩო ქონდათ გამოტანილი, ლტოლვილებს უმასპინძლდებოდნენ; ვთქვი, როდესაც ვამბობთ, რომ სვანები იქ ძარცვავდნენ, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ ჭუბერის მოსახლეობამ მთელი წლის სარჩო გამოიტანა და ლამის თვითონ დარჩა ულუკმაპუროდ.

იყო ერთი სრულიად არანორმალური შემთხვევა: როდესაც ღამდებოდა და ხალხის ნაკადი მცირდებოდა, მე და ზალიკო რიგ-რიგობით ვიძინებდით ფუღუროში – ერთმანეთს ვენაცვლებოდით, რომ ცოტა დაგვესვენა, მაგრამ იმ ღამეს ორივე კოცონთან ვიყავით, ნაშუაღამევი იყო. დავინახეთ, რაღაც პატარა ჯგუფი მოდის და შევეგებეთ. ეს იყო ხანდაზმული ქალბატონი, ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი და პატარა ბავშვი. რძალ-დედამთილი და შვილი. დავსვით კოცონთან, ვუმასპინძლეთ, მერე ვუთხარით, რომ ახლა კარავში უნდა შეგიყვანოთ და მოგასვენოთ-თქო. რაღაც შეიშმუშნენ და მერე ამ ახალგაზრდა ქალმა თქვა, რომ თუ შეიძლება, ბატონო, კოცონთან დავრჩეთო. კი, ბატონო, როგორ არა, მაგრამ კარავში თბილა და ამხელა გზა გაქვთ გამოვლილი-მეთქი. "კი, მაგრამ, იქ ხალხი შეწუხდება და შეიძლება თქვენ გითხრან საყვედური." ამაზე გადავირიეთ. შევიყვანეთ კარავში, მერე ზალიკომ მითხრა: "შალვა, მოდი ახლა ცოტა დავლიოთ, თორემ შეიძლება გავაფრინო – ამ ხალხს თუ კიდევ ჩვენზე ფიქრის თავი ქონდა, ჩვენ არ აღმოვჩენილიყავით უხერხულ მდგომარეობაშიო!"

მახსენდება კიდევ ერთი შემთხვევა – ჩემი ძილის დრო იყო და მითვლემილი ვიყავი. ზალიკომ დამიძახა: "არიქა, გამოდიო!" ორი ქალი – დედა-შვილი იყო ამოსული, კოცონი დაენთოთ, ქვეშ ვაზნა ყოფილა, გამ-სკდარა და ნამსხვრევი ამ გოგონას მოხვედრია საფეთქელში. მოსდიოდა სისხლი... ზალიკომ მითხრა: "რამენაირად სისხლი გაუჩერე და მე ექიმს ამოვიყვანო." ვენაზე დავაჭირე ხელი, სისხლი შევუჩერე – მთელი სახე ქონდა მოსვრილი. ზალიკო გავარდა, ცოტა ხანში მოიყვანა ის ქუთაისელი ექიმი – თავდიშვილი, ამ კაცმა ნახა, ძვალი არ იყო დაზიანებული, დაადო სახვევი. ამათი გვარი ბუნდოვნად მახსოვს, შეიძლება, ხოჭოლავები ყოფილიყვნენ. გოგონას მგონი ნათია ერქვა, დედას ციცო. მერე დავჯექით

ზალიკო და მე და სახე მოვბანეთ სპირტით, მაგრამ როგორც კი რეალურ-მა საფრთხემ გადაიარა ამ გოგონას დაეწყო ნერვული შოკი, საიდანაც ვერაფრით გამოგვყავდა და ხან შევუძახეთ, ხან მოვეფერეთ — არ შველის არაფერი. ორივე დედა-შვილი ძალიან მძიმედ არიან. უცებ ამ ქალბატონს მოვუბრუნდი და ვუთხარი: "კი, თქვენც გიჭირთ და ჩვენც გვიჭირს, მაგრამ სიტუაცია ისეთია, უბრალოდ არაფერი არ კეთდება". მახსოვს ზალიკომ როგორ გაოცებულმა შემომხედა და გოგო კი ხელში შემაცივდა. ეს ქალ-ბატონი მეუბნება: "კი ბატონო, რაც კი გვაბადიაო." "არა, მასე სად არი. შვილო, გათხოვილი ხარ?" — ამ გოგოს ვეუბნები. არაო. "ნიშანი მოტანილი გაქვს?" — "კი". ქორწილი რომ გექნება, არ გამოგვაპარო-მეთქი და ამ რაღაც სულელურმა ფრაზებმა გამოიღო შედეგი და მერე რომ მოეშვნენ და დაწყნარდნენ, ზალიკომ მითხრა: "ეგენი კი არა, მე ჩავვარდი შოკში, ეგ რამ მოგაფიქრაო."

ასეთი მომენტიც იყო, ჩვენ შეგვენაცვალა ჯგუფი — საღამო ხანი იყო, უკვე მათ გადაიბარეს ეს ყველაფერი, დაიწყეს ლტოლვილებთან მუშაობა და ვიღაცამ დაიწყო გინება, ლტოლვილებს აგინებს, "წესიერად თუ არ მოიქცევით, არავის არაფერს არ მოგცემთ!" ზალიკო ჩაერთო: "ამათ ახლა გინება კი არა, მოფერება უნდათო" და დააწყნარა კიდეც სიტუაცია.

* * * * *

ერთი ის მინდა გავიხსენო, მანო ყვებოდა, როგორ დაეწვა ზალიკოს ბუხარში 200 დოლარი. მე და ზალიკო ვართ სახლში, ცივა. ბუხარში ცეცხლი არ ენთო, მაგრამ რატომღაც ამოიღო ზალიკომ ჯიბეებიდან სიგარეტის ცარიელი კოლოფი, რაღაც კიდევ და შეაგდო, და მაშინვე ამოიღო ასანთი და ცეცხლი წაუკიდა. და უცბად მესმის კივილი: ვაიმე, მგონი 200 დოლარი მედო ჯიბეში და ხო არ გადავაყოლეო! თავით შევვარდი ბუხარში და რას ვხედავ? ჩაფერფლილს ვხედავ, ესევეა ეს კუპიურა — მოჩანს. ვაიმე, ზალიკო, დაგიწვია-მეთქი და იტაკა შუბლზე ხელი: ვინმესთვის მაინც მიმეცაო! — პირველად ეს თქვა, ვინმესთვის მიცე-მა მომესწროო...

* * * * *

პირველში მანანამ დაგვირეკა, ახალი წელი მოგვილოცა და დაგვლო-ცა და მითხრა ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცა: ჩანაწერი რომ მოგაწოდეთ, იქ ერთი აბზაცია, ასე დავარქმევდი, ბოღმის აბზაცი — აფხაზებმა რა გვიქნეს, და შურისძიება და ესეთი რაღაცეები. მერე იმგვარი თხრობა მიდის, რაც მე მანანასგან მინდოდა. ძალიან მოკლედ, მაგრამ ემოციურად. ჰოდა, დარეკა მანანამ და მითხრა: აი, რომ გადმოგიგზავნეთ და პირველ აბზაცში რომ წერია, ეს შურისძიება და რაღაცეებიო, ზალიკოს წიგნში ეს არ უნდა იყოსო. სიტყვა *შურისძიება* ზალიკოს წიგნში არ უნდა იყოსო.

ვუთხარი დიდი მადლობა, ამაზე მეც ვფიქრობდი, მაგრამ ვერ გაგიბედე, ისევე როგორც ჩემ კლასელებს, აფხაზეთიდან დევნილებს, როდესაც მათთან ვარ – ძირითადად კი მაშინ, როდესაც ჩვენი კლასელი კვდება და ვარ ძირითადად ქელეხზე, ხმის ამომღები არა ვარ ჰუმანიზმზე და ასეთ რაღაცეებზე, იმიტომ რომ ძალიან დიდი ტკივილია, იმათთან ვერ ვლაპარაკობ ესეთ რამეებს, რასაც სხვებთან ვამბობ. ასევე მანანასთვის არ ვაპირებდი შენიშვნის მიცემას, მაგრამ თვითონ თქვა, რომ ზალიკოს წიგნში სიტყვა "შურისძიება" და "სიძულვილი" არ უნდა არსებობდეს, ამიტომ ამოიღეთ ჩემი ჩანაწერიდან ეს სიტყვებიო. ძალიან დიდი მადლობა მას ამისთვის.

ის რომ დანაშაულის მიმართ ყველას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, დღემდე არ არსებობს ადამიანთა ცნობიერებაში.

ბევრი ამბობდა, რა დროს მაგის მთაში წასვლა იყოო... მე კი ერთ რამეს გავიხსენებ მხოლოდ:

მთელი ჩემი ცხოვრება მარტოკაცის ცხოვრებით ვცხოვრობდი და ამისთანა კაცის გვერდში დგომა და ოჯახის შექმნა ქალისთვის, ეტყობა, ძალიან მძიმე ტვირთია. ასმათი არაჩვეულებრივი დედაა და არაჩვეულებრივი მეგობარი. მისგან ბევრი საჩუქარი მაქვს მიღებული და ერთი უმნიშვნელოვანესი – ივივე აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით, როცა ოჯახს მართლა აკლდა სარჩო და მე მაგის ნიჭი და უნარი ნაკლებად მქონდა, ამის უზრუნველყოფა მომეხერხებინა... მოვუბოდიშე, რომ აი, ამდენი პრობლემაა და მე კიდე წასვლა მიწევს. მითხრა: შალვა, შენ კაცი ხარ და როგორც სწორად ჩათვლი, ისე უნდა გააკეთო; მართალი ხარ და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. ამაზე დიდი საჩუქარი ცხოვრებაში არ მიმიღია. და ძალიან კარგად მახსოვს მისი რეაქცია – მარიამი იყო მაშინ ძალიან პატარა და მითხრა: "მამა, არ გაგიშვებ, მაგიდის ფეხზე მოგაბამო!" ვუპასუხე: "შვილო, ჯერ პატარა ხარ და იქნებ დაიხსომო და მერე გაიხსენო – მაგიდის ფეხზე მიბმული მამისგანაც ჯვარი გწერია და მერე ქმრისგანაც." ასმათმა თავზე ხელი გადაუსვა და: "მამა მართალიაო." – უთხრა. ცხოვრებისადმი მსგავს მიდგომას მეგობრები ერმანეთისგან ვსწავლობდით. ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი.

© ზაალა ფოფხაძე

© გიგა ჩიხლაძე

სადაურსა სად წაიყვან...

გიგა ჩიხლაძე

ბოლო წლებში საქართველოს "ცხელ წერტილებს" შორის სამცხე-ჯავახეთის მხარესაც ხშირად ახსენებენ ხოლმე. რუსული და სომხური პრესის ყურადღებას განსაკუთრებით მისი ერთი რაიონი — წალკა იპყრობს.

საბჭოთა პერიოდში აქ მოსახლეობის უმეტესობას სომხები და ბერძნები შეადგენდნენ, მერე ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი თავის ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა, რასაც, უნდა ითქვას, საბერძნეთის მთავრობამაც შეუწყო ხელი. მიტოვებულ თუ დაცარიელებულ სოფლებს ე.წ. ეკოლტოლვილები დაეპატრონენ — ძირითადად, აჭარლები და სვანები. მათთვის სახლებს ხელისუფლება ყიდულობს და შენობებიცა და მიწაც მხოლოდ 5 წლის შემდეგ ხდება მოსახლის საკუთრება. ასე რომ, ყოველგვარი ინსინუაციები მიწების დატაცებისა და თვითნებური შესახლებების თაობაზე უსაფუძვლოა.

ამ რამოდენიმე წლის წინ სიტუაცია წალკაში განსაკუთრებით დაიძაბა — ყოფით ნიადაგზე მომხდარი უთანხმოებანი წალკელ სომხებსა და ეკოლტოლვილებს შორის კი რუსულსომხური მას-მედიის მიერ ლამის ახალ ეთნოკონფლიქტად იქნა წარმოდგენილი. თუმცა იქ ჩასახლებული აჭარლები და სვანები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარის ნაწილების შესვლასა და სომხური მოსახლეობისათვის იარაღის ჩამორთმევას მართლაც ითხოვდნენ. საბოლოოდ, ჯარის ნაწილები მართლაც შეიყვანეს, იარაღი

განურჩევლად ეროვნებისა, ყველას ჩამოართვეს და ცხოვრებაც წალკაში ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

საზოგადოდ, "ადგილობრივებსა" და "ჩამოსულებს" შორის კონ-ფლიქტები ეროვნული ნიშნით არ იწყება ხოლმე; ეს უბრალოდ, კიდევ ერთი დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორია. მთავარი კი აქ ზოგადი ფრაზაა – *ჩამოეთესლნენ ვიღაც-ვიღაცეები და...*

უძირო ქართულ ენას პარადოქსებამდე მივყავართ: სამშობლომამული ძნიად განიყოფა ერთმანეთისაგან და ამიტომაც, წალკაში ჩასახლებულ აჭარელთა თუ სვანთათვის ეს – მათი მიწა არაა. ძნელადაც ეგუება. არ უსროლია აქ ისარი და რა ქნას. რამდენიმე მათგანს მოვუსმინოთ:

ასლანი *(მთიანი აჭარიდან):*

– ყოველღამ ის მესიზმრება რო ჩემ სახში ვარ, მთებში... თითქო ავდ-ექი სისხამზე და სანადიროთ წავე... მერე გორაზე გადმოვდექი და სახს გადმოვხედე მაღლიდანა, მთელ სოფელს, ხელისგულივით მოჩანდა. გარეშემო კი სუ თეთრი მთები იყო და ტყე და კლეები. და კიდე ცა იყო ფერლურჯი. და უცებ ზვავი მოდის, ვეებერთელა, მთელ სოფელს ფარავს ერთბაშად. ვყვირი და ქვეით ჩავრბივარ, მარა ვიცი, უაზროა უკვე და ამ დროს მეღვიძება. მეღვიძება და აზრზე მოვდივარ რო ეს ყველა უკვე იყო, გადავრჩით, გვეშველა და ახლა აქა ვართ, წალკაში, ვაკეზე... მარა წამში ისევ ის მაგონდება, რა კაი იყო იქ, სახში, და აღარც ვიცი რა ჯობია – იქ შიში თუ აქ წყნარად ცხოვრება... არ ვიცი.

ოთარი *(ზემო სვანეთიდან):*

– პირველი ჩამოვედ აქა. ან რა უნდა მექნა. სოფლიდან ნასოფლარიღა დარჩა. აქა ყველაფერი სხვანაირია, მეგონა, შევეჩვეოდი, კაცი ყველაფერს ეჩვევა... ჩემი ძმა კიდე ჩამოვიდა, მიხედ-მოიხედა და უკან ავიდა, სვანეთში. ვერ გავძლებო. მთა აქ არ არი და არაფერიო. ის კიდე მონადირეა, კლდეე-ბზე ცოცავს ყოველდღე. გაუჭირდებოდა, მა რა. ცოლიც იმიტო არ მოყავს, სუ მთაშია. იქვე მოკვდება ალბათ.

გიორგი *(მთიანი აჭარიდან):*

– შენ თითონ დაუფიქრდი, აბა: აჭარაში სულ ვნადირობდი ხოლმე – ირემიო, დათვიო, მგელიო, მელაო, ტახიო, კურდღელიო... ხორცი სუ გვქონდა ოჯახში. კიდე სოკოს ვკრეფდით და კენკრას. ცოტა საქიონელიც გვყანდა. ბოსტანიც გვქონდა პატარა. მერე კიდე ვთიბავდით და თან ხეზე ვებმებოდით – თავქვე არ ჩაგორებულიყავი კაცი. აქ კიდე – კარტოფილი და მორჩა, მეტი არაფერი. ჩაყარე, ამოიღე და ყიდე. არაა ეს ჩემი საქმე. აქ მიწასაც სხვანაირად უნდა მოვლა და ერთი გაქუცული მგელი რო ნახო, მაგრა უნდა გაგიმართლოს... ვისაც მართლა უნდა დაბრუნება, ბევრი კი არაა, მარა დავბრუნდებით მაინც. ახალ სოფელს ავაშენებთ. სოფლის შენებას რა უნდაო, არ გაგიგია?.

ისე, ან სვანეთის, ან მთიანი აჭარის თუნდაც ერთხელ მნახველს არ გაუკვირდება, ამ უსახურ, მტვრიან დაბლობზე გადმოსახლება არავისთვის რომ არ აღმოჩნდა იოლი. აჭარაში ახლაც გაიგონებთ, წალკას წასვლას აქ სიკვდილი მირჩევნიაო... ვინც გადასახლდა, იმათგანაც ბევრს ან უკან დაბრუნებაზე, ან ქართლსა თუ კახეთზე უჭირავს თვალი.

პრობლემები წალკაში მართლაც თავზესაყრელადაა — არა ექიმი, არა წამალი (ფული და ცენტრში წასვლის თავი რომც გქონდეს, შეიძლება უგზოობა-უამინდობამ არ მოგცეს საშუალება), ბავშებს სოფლად 3-4 კლასს თუ დაამთავრებინებ, მერე ინტერნატში უნდა გააგზავნო... უწყლობა კი თითქმის ყველგან იგრძნობა. ეკოლტოლვილების ბავშვებზე საკვები რაციონის მკვეთრი ცლილებაც უარყოფითად მოქმედებს. ჩვეული მხოლოდ უსინათლობა, უგაზობა, კანალიზაციისა და ტელეფონის უქონლობაა.

აი, სახელმწიფო რომ ცოტა მეტ დაინტერესებას იჩენდეს — ფულად შეწევნებს არ ვგულისხმობ, უბრალოდ, გრძელვადიანი უპროცენტო სესხების სისტემა მცირე ბიზნესის წამოსაწყებად, ინსტრუქტაჟი მთელ რიგ საკითხებზე... ბოლო-ბოლო, რაღაც მხარდაჭერა თუ იგრძნეს, ფსიქოლოგიურად უფრო გაუადვილდებათ ადაპტაცია. სხვათა შორის, წალკაში მიწაზე მეტი — ქარია. ქარის ენერგიის დამგროვებელი მარტივი სისტემების გაწყობა განათების პრობლემას საერთოდ მოსპობდა. ოღონდ ეს კერძო ინიციატივით ვერ მოხერხდება.

ბევრმა არც ის იცის, რა საქმეს მოკიდოს ხელი. იქნება და იყავი კიდეც რაღაცაში გაწაფული, ოღონდ აქ ეს არარენტაბელურია, უჩვევ საქმეს კი მთიელები, მოგეხსენებათ... მაინც კონსერვატიული ხალხია, სვანი იქნება ეს თუ შოტლანდიელი. მოკლედ, ერთის მხრივ ცხოვრების პირობები გაუუარესდათ, მეორეს მხრივ კი — ზვავისა თუ მეწყერის შიში მაინც აღარა აქვთ.

— არასოდეს გიფიქრია, პრობლემების უმეტესობას რომ ადამიანი თავად უქმნის საკუთარ თავს? — არ მასვენებს გამჩენი და ასლანს ვახსენებ, რომ მისი სოფლის ზედ თავზე მთელი ტყე გაჩეხეს მოსახლეებმა, შემდეგ წელს კი სოფელი მეწყერმა წაიღო, სასწაულად გადარჩა ხალხი. ასე დაუდევრად არ ექნიათ ნაჯახები და აღარც სასწაული გახდებოდა საჭირო...

— ეგ რა შუაშია?! — ალალად უკვირს, — ცოდვებმა გვიწია, ეტყობა...

© გიგა ჩიხლაძე

© გიგა ჩიხლაძე

ნეფის ეკეკლიანები...

გიგა ჩიხლაძე

რა ხანია, აზერბაიჯანის საზღვართან მოქცეულ, კახეთის ერთი პატარა სოფლის მკვიდრთ აღარც თავიანთი ნათესები ადარდებთ და აღარც ბაღჩა-ბაგებისაკენ გაურბით თვალი: დიდიან-პატარიანად, არქეოლოგიურ ციებ-ცხელებას შეუპყრია ყველა. თავის დროზე, როცა ამ უძველესი სამარხე-ბის არსებობის თაობაზე შეიტყვეს, თბილისიდან არქოლოგიური ცენტრის მუშაკები კი ჩამოვიდნენ, ოღონდ ნათხარი ადგილები მოათვალიერეს მხოლოდ და თავები გადააქნიეს დანანებით — სრულფასოვანი გათხრების ჩასატარებელი ფული მათ არ ჰქონდათ, დონორ-სპონსორთა მოსაძიებლად კი მარიფათი არ ეყოთ.

მაგიორში, ამ უკანონო გათხრებს მოყოლებულ უკანონო ბიზნესს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე მიხედა და ისტორიულ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები ლამის იყო, შოკში ჩავარდნენ, ზემოხსენებული "არქეოლოგებისაგან" ამოღებულ ნივთების სიას რომ გადახედეს. ოღონდ ეგაა, აღნუსხული უკვე გაყიდულგანადგურებულის მხოლოდ მცირე ნაწილიღა იყო: ბოლო წლებში გადამყიდველთა მთელი ჯგუფი შექმნილა და სწორედ ისინი იძლეოდნენ შეკვეთებს ორლესულ მახვილებზე, მუზარადებზე, ათას სხვა ნივთებზე, რასაც ჩალის ფასად იძენდნენ და მერე თბილისში ყიდნენ, ნაწილი კიდე სულაც უცხოეთში გაჰქონდათ.

"ასე ჩანს, მაგათ ახლა აქეთ გავუკეთეთ რეკლამა" – შემოგვჩივლა ადგილობრივი ხელისუფლების ერთმა წარმომადგენელმა: საქმე ისაა, რომ ჟურნალისტების თანდასწრებით მოსახლეობიდან ამ ისტორიული ნივთების ამოღების სულ რამოდენიმე დღის მერე, დიპნომრებიანი ავტომანქანა შემოსრიალებულა სოფლის ორღობეში და უცხოელებს 15 ათასი დოლარის ნივთები კიდევ შეუსყიდიათ ადგილობრივებისაგან!

ძიების ამათი მეთოდები კი პირდაპირ უნიკალურია: აიღებენ რკინის წვრილ, გრძელ, წაწვეტებულ ჩხირს და ასობენ მიწაში – აქაურ ნიადაგში ქვა საერთოდ არ გვხვდება და თუ რაიმე წინააღმდეგობას წააწყდი, ე.ი. გიპოვნია კიდეც რაღაცა. ოღონდ ასე უამრავი თიხის ნაკეთობა ზიანდება და გაბზარულ თუ პირმოტეხილ ნახელავს ვინღა დაგიდევთ – იქვე მიაგდებენ ხოლმე. ასე რომ, რამდენიმე ჰექტარის (sic!) ფართობი ერთიანად ნატეხებითაა მოფენილი. რა მერე, მათი ასაკი თუ 2100-2200 წელია – მაგეებში ფულს მაინც არავინ იძლევა... აი, ვინც ნაჯახები ამოთხარა, ყველა თავისთვის დაიტოვეს – ამბობენ, გალესავ და ახლან-დელებზე უკეთესიაო! აზრზე მოდით, ქრისტეშობამდელი საბრძოლო ჩუგლუგებით ხალხი კუნძებს აპობს – შეშას იმარაგებს ზამთრისთვის...

ერთ ეზოში აშკარად რიტუალური დანიშნულების უძველესი ქოთნები დავალივერე – რაღაც ბალახ-ბულახი გამოყავდათ შიგ. დიასახლისმა რომ შემამჩნია, წამსვე დაავლო ხელი და სახლში შეზიდა. მერე მეუბნება – ეს ისე, ჩვენებური ქოთნებია, უბრალოდ, ჭუჭყიანებია და იმიტო გამოიყურება სხვანაირადო. აშკარად მაბოლებდა: შანსი არაა, ვინმე იქაური მეთუნეს ხელიდან გამოსულიყო ამგვარი რამ.

ვიღაცა ჭკვიანს თავში ისიც მოსვლია – მივცეთ ხალხს გათხრების ნება, ოღონდაც იმ პირობით, ნაპოვნს მარტო სახელმწიფოს თუ მიყიდიანო. აგაშენათ ღმერთმა, ვინაა წინააღმდეგი? ოღონდ სადა აქვთ ჩვენს მაღალჩინოსნებს მაგდენი ფული, ისედაც თურმე სოროსი უხდით ხელფასს,,,

"ამ უძველეს საფლავებს რომ თხრი, წინაპართა სულების არ გეშინია?" – ვეკითხები ერთს.

"ა-რა-აა! ჩვენები დასავლეთიდან ჩამოსახლებულან აქა, ერეკლეს დროს..."

თუმცა, მას მერე რაც ის მოხუცი გლეხი დაბრმავდა, ვინაც სულ პირველად დაიწყო იქაურობის გათხრა, სოფლელებმა მაინც ღვთის რისხ-ვად მიიჩნიეს ეს ამბავი და ახლა ნაპოვნ თავის ქალებს უკანვე ფლავენ მიწაში, ნივთებს კიდე ეკლესიაში აკურთხებინებენ ხოლმე...

© გიგა ჩიხლაძე

© Profile

სტატიები გენდერულ კვლევებზე იბეჭდება Network of East-West Women-ის მხარდაჭერით

„მზეთუნახავი“ და „ურჩხული“

ქალი და მამაკაცი: არქეტიპული კოდის ტრანს-ფორმაცია და პერსპექტივები

ელენე გოქსაძე

უსიერ ტყეში განმარტოებით ცხოვრობს ყველასაგან მოძულებული და მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული ურჩხული. ოდესღაც იგი უფლისწული იყო და უწინდელ სახეს მხოლოდ მშვენიერი ქალის სიყვარული დაუბრუნებს. შანსი პრაქტიკულად არ არსებობს; მაგრამ მოხდა სასწაული — გამოჩნდა მზეთუნახავი, რომელიც არ შეუშინდა მის საზარელ იერს და...მონსტრი უფლისწულად გარდაიქმნა!..

ამ სიუჟეტის სხვადასხვა ვერსიებს მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში ჭარბადშეხვდებით. ყოველთვის და ყველგან შენარჩუნებულია მთავარი ხაზი — ურჩხულის (იგი წარმოდგენილია ფანტასტიკური მონსტრით, მტაცებელი ცხოველით, რეპტილიით) მშვენიერ ჭაბუკად გარდასახვა ქალის წყალობით.ალბათ, არსებობს მითური პირველწყაროც, რომლის დღემდე შემორჩენილ ნიმუშად გილგამეშის ეპოსის ერთ-ერთი სიუჟეტური დეტალი გვესახება. მზეთუნახავი შამხათი ესტუმრება სასტიკ ენქიდუს, რომელიც ზემოხსენებული ურჩხულისა არ იყოს, უსიერ ტყეში განმარტოებით ცხოვრობს და თავს შეაყვარებს. აქამდე უცნობი განცდები კარდინალურად ცვლიან მის ულმობელ ბუნებას და... გილგამეშის დაუძინებელი მტერი მის უერთგულეს მეგობრად გარდაიქმნება.

ამ ორ სიუჟეტს, სულ ცოტა, ძირითად მოტივთა ზუსტი თანხვედრა ახასიათებს — ზნეობრივი ზეაღსვლა მშვენიერი ქალის წყალობით. რა

არის ეს – შემთხვევითობა, თუ არქეტიპულ კოდად გარდაქმნილი ეზოთერული იგავი, რომელიც ხალხური ფანტაზიის წიაღში ორგანულად ჩამოიქნა ფერადოვან ზღაპრებად, ლეგენდებად და რომლის უკან ***დიდ განდობილთა*** ჭეშმარიტი ცოდნა იმალება?..

‹მზეთუნახავი’ მასკულინური შოვინიზმის მრუდე სარკეში

ყოველგვარი მითი არაცნობიერის უკუნ წყვდიადში ჩამარხული არქეტიპული ინფორმაციის ტრანსფორმირებული და ლიტერატურულად გაფორმებული „პროდუქტია”. რაც უფრო ძველია მითი, მით უფრო „შეურყვნელია” გვიანდელი კორექტივებით მისი სტრუქტურა და მით უფრო ინფორმაციულია იგი არაცნობიერის არქაული შრეების კვლევის თვალსაზრისით.

შამხათისა ენქიდუს დუეტში კოდირებულია უძველესი წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის ბუნებაზე, აგრეთვე სქესთა ინტერპერსონალურ ურთიერთობაში როლების გადანაწილებაზე. ქალური საწყისი შუმერთა თვალსაზრისით სრულებითაც არ არის პასიური, მაგრამ მისი აქტიურობა პრინციპულად განსხვავდება მამაკაცური საწყისის აქტიურობისაგან. მამაკაცის დანიშნულებაა სამყაროზე უშუალო ზემოქმედება და პროცესების მართვა, ანუ „აქტიური” აქტიურობა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც კონსტრუქციული (გილგამეში), ისე დესტრუქციული (ენქიდუ). ქალის დანიშნულება კი საჭიროების დროს მამაკაცში სულიერ-ზნეობრივი მუხტის გამოღვიძებით აგრესიის ჩაქრობაა. სწორედ შამხათზეა დამოკიდებული პირუტყვად დარჩება ენქიდუ, თუ თავის კოლოსალურ ძალას ადამიანთა სამსახურში ჩააყენებს, ანუ ქალურ საწყისს შუმერთა იდეოლოგიის მიხედვით ძალზედ ამაღლებული მისია ეკისრება. სწორედ ამან განაპირობა ქალთა საპატიო ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურაში.

საინტერესო დეტალი: შუმერთა მსოფლმხედველობაში სქესთა ურთიერთობის პატრიარქალური “ჩონჩხი” ორგანულად ერწყმის მატრიარქალურ “კუნთოვან სისტემას”. ეს არის პატრიარქატი (მასკულინური საწყისის დომინირება) მასკულინური შოვინიზმის (ფემინური საწყისის დისკრეტიზაციის) გარეშე – სამყაროს მართავს ქალის მიერ გაკეთილშობილებული მამაკაცი; “მზეთუნახავის” სახე-სიმბოლო აშკარად კონსტრუქციული შინაარსის მატარებელია. აქედან გამომდინარე, გილგამეშის ეპოსი ადრეული – “რბილი” პატრიარქატის იდეოლოგიურ “პროდუქტად” მიგვაჩნია. მით უფრო საინტერესო იქნებოდა “მზეთუნახავის” სახე-სიმბოლოს უფრო ადრეული, წმინდა მატრიარქალური ვერსიის მოძიება, რის გაკეთებასაც მომავალში შევეცდებით.

მოგვიანებით, პატრიარქატის წიაღში მძლავრობს მასკულინური შოვინიზმი. ქალური საწყისი ნეგატიური შინაარსით იტვირთება; შესაბამისად, ტრანსფორმაციას განიცდის "მზეთუნახავის" სახე-სიმბოლო, მაგრამ ამაზე მოგვიანებით — თავდაპირველად განვიხილოთ პროცესის ეკონომიკური საფუძვლები. ყველაფერი კერძო-მესაკუთრული წყობის ჩასახვა-განვითარებას უკავშირდება. მამაკაცი-მესაკუთრე დაინტერესებული იყო ქონების სისხლისმიერი მემკვიდრეებისადმი გადაცემით, მაგრამ ამას ართულებდა პოლიგამიური სქესობრივი ურთიერთობები, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ქვესახეობა — ჰეტერიზმი. მატრიარქალური ინერციიდან გამომდინარე, ქალს არ მოეთხოვებოდა არც ქორწინებამდე ქალწულობის შენარჩუნება, არც ქმრის ინტიმური ერთგულება; უფრო მეტიც, წარმართული კულტი კიდეც ავალდებულებდა ტაძარში უცხო მამაკაცების სექსუალურ მომსახურებას, რაც ღვთაების მსახურებაში ეთვლებოდა (მაგ. ფალოსის, ანაისის, კიბელეს და სხვ. კულტები). აქედან გამომდინარე, მამკაცმა ხეირიანად არც კი იცოდა ცოლის მიერ გაჩენილი შვილებიდან რომელი იყო მისი სისხლი და ხორცი. კერძო-მესაკუთრული მენტალიტეტი სულ უფრო გაჭირვებით ეგუებოდა ამ ფაქტს. ნელ-ნელა დაიწყო ქალთა პოლიგამიის შეზღუდვა. თავდაპირველად აკრძალვა მხოლოდ გათხოვილ ქალებს შეეხო; მოგვიანებით ქალიშვილებზეც გავრცელდა. ყოველივე ეს განხორციელდა მშვენიერი სქესის პოლიტიკური და სოციალური უფლებების შეკვეცის ფონზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალს აეკრძალა "ზედმეტი" გადაადგილება. შაკუთარი ეზო, უბანი, სოფელი — ეს გახდა მისი ერთადერთი სამყარო; საბოლოო ჯამში იგი გადაიქცა საკუთრების ერთ-ერთ სახედ, ინკუბატორად, რომელსაც საქონელივით ყიდულობდნენ, ხოლო საქალწულე აპკი — "ლუქად", რომლის ახსნის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ მომავალ მესაკუთრეს — ქმარს.

პარალელურად, განხორციელდა ქალთა სოციალურ-პოლიტიკური "კასტრაციის" იდეოლოგიური დასაბუთება. იმას, რაც ამისთვის გაკეთდა, პირობითად შეიძლება "დორიან გრეის სინდრომი" ვუწოდოთ — "მზეთუნახავის" სახე-სიმბოლო თანდათან დაიტვირთა ნეგატიური შინაარსით და "ურჩხულის" შემზარავ ხატებად გარდაისახა. პროცესი ჯერ კიდევ წარმართობის წიაღში დაიწყო; განსაკუთრებით ელინებმა "ივაჟკაცეს": "ხმელეთსა და ზღვაში მობინადრე უცნაურ ცხოველთა შორის ქალი ყველაზე ამაზრზენი პირუტყვია!" — ასე გამოხატა კომედიოგრაფმა მენეაგრემ მათი ***საერთო პოზიცია.***

მაგრამ ეკლესიის მამათა ანტიფემინიზმმა ყველა რეკორდი მოხსნა: "ქალი მეგობრობის მტერია, საბედისწერო სასჯელია, მუდმივი ცდუნებაა, უბედურებაა, რომელიც სახლშიც თან გდევთ!" — ასე დაშანთა იოანე ოქროპირმა ევას ასულნი.

ეკლესიურმა-ორთოდოქსულმა იდეოლოგიამ მშვენიერი სქესი ბოროტების სინონიმად აქცია. ქალის ცოდვილი ბუნების დამადასტურებელ

არგუმენტად მიიჩნეოდა ევას ისტორია — ადამიანთა მოდგმა სამოთხის მიღმა სწორედ მისი საბედისწერო შეცდომის გამო დარჩა, ხოლო ეს შეცდომა მისმა იმანენტურმა სისუსტემ განაპირობა. შემთხვევითი როდია, რომ სატანამ საცდუნებლად, ადამის გვერდის ავლით, სწორედ იგი აირჩია!

“ქალი — ჯოჯოხეთის კარიბჭეა!” — დაასკვნეს საბოლოოდ ეკლესიის მამებმა. 208 წელს ქალებს აეკრძალათ წერა-კითხვის შესწავლა; 364 წელს — საკურთხეველში გამოჩენა; 585 წელს მთელი სერიოზულობით იმსჯელეს საკითხზე, ჩაეთვალათ თუ არა ქალი ადამიანად და იყო თუ არა იგი ღვთიური სულის მატარებელი არსება. საბოლოოდ, *პირუტყვად* აღიარებას ქალი ერთმა (!) ხმამ გადაარჩინა. სამაგიეროდ, იგი პოტენციურ კუდიანად მიიჩნიეს, თუმცა ამ შემზარავი ვერდიქტის გამოტანას კიდევ 7-8 საუკუნე დასჭირდა. წმ. თომა აქვინელი ბევრს წერდა სატანის მიერ მომხრეების გადმობირების მიზნით ადამიანური სისუსტეების გამოყენებაზე, რაც, ფაქტობრივად, სხვა არაფერი იყო, თუ არა კოლექტიური ფობიების თეოლოგიური არგუმენტირება. შედეგმაც არ დააყოვნა: 1274 წელს ლანგედოკში (სამრეთ საფრანგეთი) ეკლესიისაგან ნაკურთხმა საჯარო სასამართლომ დაწვა რამდენიმე კუდიანი. აქედან იღებს დასაბამს საეკლესიო პოლიტიკის რანგში აყვანილი კამპანია — “კუდიანებზე ნადირობა”. ოგვიანებით განხორციელდა მისი თეორიული ბაზისის დამუშავება:

“ქალური ბიწიერება რომ არა, სამყარო უამრავ ფათერაკს აიცილებდა. ქალები განუზომლად აღემატებიან მამაკაცებს ცრუმორწმუნეობით, შურისმაძიებლობით, ამპარტავნობით, სიყალბითა და ავხორცობით. ქალი, მისი მანკიერებიდან გამომდინარე, რწმენაში მოისუსტებს და ადვილად ცდუნდება; სწორედ ამაზეა დაფუძნებული კუდიანთა სექტა”.

“კუდიანთა ურო” — შპრენგერი, ინსისტორისი (XV საუკ.)

მოკლედ, ნებისმიერი ქალი პოტენციურ კუდიანად იქნა შერაცხული. ამით დასაბუთდა პროფილაქტიკურ ღოსისძიებათა აუცილებლობა, ანუ უმკაცრესი რეპრესიული პოლიტიკა მშვენიერი სქესის მიმართ. “კუდიანებზე ნადირობამ” თითქმის ოთხას წელს გასტანა და **მილიონობით** ქალის სიცოცხლე შეიწირა. გინოფობთა შედარებითი შემწყნარებლობით მხოლოდ ***მიამიტი გოგონები და სათნო, თავშეკავებული ქალბატონები სარგებლობდნენ.*** ოდესღაც პატივდებულ შამხათს შუა საუკუნეებში კუდიანად გამოაცხადებდნენ და ინკვიზიციის კოცონი არ აცდებოდა.

მოგვიანებით ქალის სულიერი, გონებრივი და ზნეობრივი არასრულფასოვნება “მეცნიერულად” იქნა “არგუმენტირებული”: “ქალს არ ძალუძს ავისა და კარგის გარჩევა, ინსტინქტი აიძულებს იყოს დამოკიდებული, საკუთარ თავში დაურწმუნებელი და უზრუნველი და მხიარული. ახალგაზრდა ქალში გათხოვების შემდეგ კნინდება სულიერი შესაძლებლობები

და იგი პრიმიტიული ხდება...” — წერდა სახელგანთქმული ნევროპათოლოგი პოლ იულიუს მიობიუსი.

ამრიგად, საბოლოოდ, ქალური საწყისის მასკულინურ-შოვინისტური შეფასება განთავსდა ორ პოლუსს შორის: 1. რადიკალურ-ნეგატიური — “ჯოჯოხეთის კარიბჭე” (კუდიანიურჩხული); 2. ლიბერალურ-ნეგატიური — “სულიერი ინვალიდი” (გონებასუსტიცერცეტი). პირველ შემთხვევაში ქალი სძულთ; უფრო მეტიც, მისი ეშინიათ. მეორეში — ზიზღნარევ სიბრალულს მიაგებენ. “მზეთუნახავობაზე”, ანუ გამაკეთილშობილებელ მისიაზე, ორივე შემთხვევაში, ლაპარაკიც ზედმეტია — ქალღმერთიდან იგი დემონამდე, ხოლო “მზეთუნახავიდან” — “ურჩხულამდე” ჩამოაქვეთეს. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს განხორციელებულ “ოპერაციას” *დორიან გრეის სინდრომი* ვუწოდოთ. შესაბამისად შეიცვალა “მზეთუნახავი და ურჩხულის” სახე-სიმბოლო, ანუ წამოდგენები სქესთა ინტერპერსონალურ ურთიერთობაზე. მოხდა გენდერული როლების საფუძვლიანი “გადასინჯვა”, რაც თვალსაჩინოდ აისახა მითოლოგიაში, ფოლკლორსა და ხელოვნებაში.

“ტკბილი წყვილის” რედაქტირებული ვერსია.

კულტურის მთელ ისტორიას ეტყობა მასკულინურ-შოვინისტური “ცენზურის” მკაფიო ხელწერა. ქალთმოძულე ელინთა მითოლოგიაში, მაგალითად, ყოფილ “მზეთუნახავს” აშკარად გამოხატული დესტრუქციული ფუნქცია ენიჭება: კირკე ღორებად აქცევს მამაკაცებს; არტემიდე ირმად გადააქცევს აქტეონს და უბედურ ჭაბუკს საკუთარი ნაგაზები დაფლეთენ. ლედას ზევსი გედის სახით დაეუფლება *და ქალიც სულ არ თაკილობს ფრინველთან ალერსს.* ამ უკუღმართი კავშირის შედეგად იბადება ელენე, რომელიც გლობალური უბედურების მიზეზი ხდება. მინოსის ავხორცი მეუღლე — პასიფაე ხარს გაუმიჯნურდება და მისგან ნახევრად პირუტყვ მინოტავრს გააჩენს. ამ ფონზე *მენეაგრეს დასკვნა* სავსებით ლოგიკურია.

მუსლიმები ფემინურ საწყისს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებენ. ქალთა ეშმაკობისა და ვერაგობის თემას უამრავი აღმოსავლური ნოველა და ანეკდოტი ეძღვნება. “ათას ერთ ღამეში” შესულია ნოველები: “ქალი და დათვი”, “ქალიშვილი და მაიმუნი”, რომელიც, პრაქტიკულად, სხვა არაფერია თუ არა **შავი სატირა** თემაზე “მზეთუნახავი და ურჩხული”. უძველესი არქეტიპული კოდი უკუღმაა “გაშიფრული”. ქალი ავხორცი ურჩხულია, ხოლო კაცი, ერთ შემთხვევაში, მისი ზნეობრივი მხსნელი, ხოლო მეორეში — დამსჯელი, თანაც, თავდაპირვრლად, სწორ გზაზე დადგომის შანსს აძლევს. ერთი სიტყვით, მამაკაცი ორივე შემთხვევაში, a priori, “უფლისწულის” ამპლუაში გვევლინება.

ქალის წინაშე ფობიად ქცეული შიში იკითხება მწერალ მაზოხის შემოქმედებაში. ქალი-მონსტრი სიცოცხლეს გამოასალმებს უმწეო (!) დათვს, ან მგელს (ქვეტექსტურად იგრძნობა მწერლის მიერ მამაკაცური საწყისის, აგრეთვე საკუთარი თავის ამ ცხოველებთან იდენტიფიცირება) და მათი ტყავით შეიმოსება. მერიმეს ნოველაში "ლოკისი" დავის მიერ შეშინებული (გაუპატიურებული? – მწერალი ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ეს სტრიქონებს შორის იკითხება) შობს ვაჟს, რომელშიც პირუტყვი იღვიძებს და ამას დიდად შეუწყობს ხელს ქარაფშუტა გოგოს გამომწვევი კეკლუცობა. აქაც სახეზეა შამხათისა და ენქიდუს იგავის საპირისპირო მოტივი, ანუ არაცნობიერში ფიქსირებული კოდის უკუღმა წაკითხვის კიდევ ერთი ვერსია – ქალი სულიერად აუკუღმართებს და სპობს მამაკაცს. საგულისხმო დეტალი: კარმენისა და ხოსეს ტრაგიკული ისტორიაც იგივე მოტივის "გადათამაშებაა".

მერიმეს ხსენებულ ნოველებში და მაზოხის შემოქმედებასი არსებული მინიშნებები სრულადაა გამომზეურებული-დამუშავებული ფილმში "დათვი", რომელიც ამ ოციოდე წლის წინ გადიოდა თბილისის კინოეკრამებზე. მასკულინურ-შოვინისტური "ოპერაციის" შედეგად ამ ფილმში "მზეთუნახავის" ნაცვლად ხელში შეგვრჩება ორი ანგელოზისსახიანი "ურჩხული", ანუ "ფსევდომზეთუნახავი", რომელიც ნელ-ნელა სრულადგამოავლენს თავის ჭეშმარიტ ბუნებას. "უფლისწულს" მათ საუფლოში არაფერი ესაქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი "გაურჩხულება" გარდაუვალია. ფემინური საწყისის დესტრუქციული ძალის წინაშე "ურჩხულიც" კი საფრთხეშია; საბოლოოდ, მამაკაცური საწყისი ფილმში წარმოგვიდგება როგორც ამ მონსტრის პოტენციური საკბილო; რომელსაც გადარჩენის მცირედი შანსიც არ გაჩნია. საბოლოოდ, ქალური საწყისის დესტრუქციული ენერგეტიკა მისტიკურ ძალას იძენს და ***დისტანციურად ამოხდის სულს*** უმწეო მამაკაცს, რომელსაც "უფლისწულობას" ვინ ჩივის, "ურჩხულობის" თავიც აღარა აქვს. ამ ფილმში გინიფობია აბსურდამდეა აყვანილი, რაც მასკულინურ-შოვინისტური იდეოლოგიის ისტერიულ "დაგვირგვინებად" გვესახება.

უბიწო ქალწულის კულტი – "ზეციური მზეთუნახავი", ანუ "რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ფტკბები..."

დორიან გრეის სინდრომის "ხორცსაკეპმა" საფუძვლიანად გადაამუშავა "მზეთუნახავის" ხატი, მაგრამ კაცობრიობის სულში დაისადგურა კეთილი ქალური საწყისის დაუძლეველმა ნოსტალგიამ. მასკულინისტურ-შოვინისტური ცენზურა არქეტიპულ იმპულსებთან ჭიდილში დიდი ანგარშით დამარცხდა. მტკივნეული სიცარიელის ამოვსება იკისრა "დუბლიორმა", რომლის ფუნქცია "ზეციურ მზეთუნახავს", ანუ უბიწო ქალწულს დაეკისრა.

ეკლესიურ-ორთოდოქსულმა ცენზურამ ამაღლებულ ქალურობას — "მზეთუნახავის" სახე-სიმბოლოს მოჰკვეთა სექსუალური ატრიბუტიკა და მიწიერი "ბიწიერი" პირველსახე "ზეციური", "უბიწო" ვერსიით ჩაანაცვლა. ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა, რამეთუ ფიზიკურ უმანკოების აპოლოგიას, ანუ ქალწულობის ინსტიტუტს უკვე წარმარტულ პერიოდში შეუმზადდა საფუძველი. ქრისტიანულ-ეკლესიურმა იდეოლოგიამ კერძო-მესაკუთრული მენტალიტეტის ყალიბში "გამომცხვარი" მოდელი საკრალურ-რელიგიური არგუმენტაციით განწმინდა და აამაღლა, წარმართული დედა-ღვთაების მიწიერი, ეროტიკულ-სექსუალური ატრიბუტიკით გაჯერებული კულტი ადამიანთა რელიგიურ ცნობიერებაში ჩაანაცვლა ღვთისმშობლის **ზეციური კულტით** ("ადიდებს ჩემი სული უფალსა... ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა..." ლუკა; 1-47, 48). ***წმიდა მარიამს ცოდვილ მიწასთან საერთო არაფერი აქვს — სიკვდილის შემდეგ იგი ზეცაში ხორციელი სახით მაღლდება, ანუ მისი ფიზიკური სხეულიც კი სულიერ ხარისხს შეიძენს და უზენაეს ასტრალში გადაინაცვლებს.*** სწორედ უბიწო ქალწულს, ანუ "ზეციურ მზეთუნახავს" დაეკისრა გზაბნეული "კოლექტიური ურჩხულის", ანუ ცოდვებში ყურებამდე ჩაძირული კაცობრიობის მხსნელის — მაცხოვრის მუცლით ტარების და აღზრდის პატივი. აქაც შეიმჩნევა ტრანსფორმირებული გინოფობური სკეპსისი — ქალი, თუნდაც ყველაზე უბიწო, უშუალოდ ვერ იხსნის კაცობრიობას; მას მხოლოდ წმინდა ჭურჭლის ფუნქციის შესრულება ხელეწიფება.

უბიწო ქალწულის კულტმა დაამკვიდრა შესაბამისი მორალური, ეთიკური და ესთეტიკური ორიენტირები, როგორც ყოფაში, ისე მსოფლმხედველობაში და ხელოვნებაში. ამ კუთხით ძალზედ ნიშანდობლივია მარტორქას სახე-სიმბოლო, აგრეთვე გრაალის კულტი.

მარტორქა (единорог) ეზოთერიკაში მოიხსენიება როგორც ბოროტი ურჩხული, რომელიც უბიწო ქალწულს უხდის ქედს. ტრუბადურების პოეზიასა და შუა საუკუნეების ფერწერაშიც მისი მოთვინიერება მხოლოდ ქალწულს ხელეწიფება. დასავლურ ქრისტიანობაში ეს სახე-სიმბოლო სულიერ სისუფთავესთან და ქალურ უმანკოებასთან გაიგივდა. საკმაოდ ხშირად გამოსახავდნენ ქალწულ მარიამს მის ფერხთით მოწიწებით გაწოლილ მარტორქასთან ერთად. ზოგადად, ის ქალური საწყისის ეზოთერული სიმბოლოა და ძალზედ ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ასე მყარად დაუკავშირდა უბიწო ქალწულობის კულტს.

გრაალი, ანუ წმინდა თასი — სასმისი, რომლიდანაც ქრისტემ საიდუმლო სერობაზე ღვინო შესვა, პირდაპირ კავშირშია წმინდა ქალწულის და უბიწო ქალწულობის აპოლოგიასთან. გრაალის მსახურების პატივი სწორედ ქლწულს ეკისრება. თავად თასიც ფემინური სახე-სიმბოლოა; მისი შეხების უფლება მოკვდავს არა აქვს. მხოლოდ სულიერად ყველაზე წმინდა რაინდს ენიჭება მასთან მიახლოების პატივი და იგი უდიდეს ზალას

იძენს. ასეთი რაინდი პარსიფალი გახლდათ. მან იხილა გრაალი და ამის შემდეგ წმინდა თასი ზეცად ამაღლდა. აქ ჩნდება პარალელი ღვთისმშობელთან და ზეციური ქალწულის გამაკეთილშობილებელ მისიასთან. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს უძველესი არქეტიპული კოდის "ტრანსფორმაციის" მორიგ ვერსიასთან.

გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურასი ჩნდება იგივე კოდის უფრო "დამიწებული" ვერსიები. დადებით გმირად ამ პერიოდში გვევლინება ან მიამიტი გოგონა, ან სათნო, მიუწვდომელი ქალბატონი. პირველის მაგალითია მორცხვი ვირჟინია, რომელმაც საქვეყნოდ გაშიშვლებას ზღვის ტალღებში სიკვდილი არჩია (ბ. დე სენ-პიერის "პოლი და ვირჟინი"), ხოლო მეორის – რეალური პიროვნება, მონა ლაურა, პეტრარკას პლატონური სიყვარული და მისი მშვენიერი მუზა. დამკვიდრდა მკაცრი მაქსიმალიზმი: "ან – ან": დაცემულ ქალს პატიების შანსი, რეალურად, არც ეძლევა – ქალი ან უბიწოა (ცხადია, დაცემის დიდი შანსით – იმანენტური მანკიერება!) ან ბიწიერი.

აღორძინების წიაღში ლიბერალიზმის წინამძღვრები შემზადდა. აბატ პრევოს "მანონ ლესკო" "გამყინვარების" დასასრულის მომასწავებელია. მასში აშკარად იკითხება ქალური ბუნების ორობითობისა და ცოდვათგამოსყიდვის კონცეფცია. ავტორის აზრით, ნებისმიერ ქალში არსებობს როგორც ანგელოზური ("მზეთუნახავი"), ისე დემონური ("ურჩხული") საწყისი, რომლებიც მუდმივ კონფლიქტშია. სწორედ ამიტომ ჩანს მანონის საქციელი ერთი შეხედვით ალოგიკური. იგი თითქოს "კუდიანთა ეროს" განსხეულებული პერსონაჟია და გაკუდიანებას არც არაფერი უკლია. კეთილშობილ დე გრიეს უანგარო სიყვარული ძლევს მასში ჩაბუდებულ დემონს. აბატი პრევოც, ფაქტობრივად, ახდენს არქეტიპული კოდის "უკუღმა" წაკითხვას. "ქალ-ურჩხულს" აქვს "გამზეთუნახავების" შანსი და ეს მისია "უფლისწულს" – მამაკაცს ეკისრება.

"მზეთუნახავი" ქართულად; დედის კულტი ეროვნულ ცნობიერებაში

"მზეთუნახავის" ხატის ტრანსფორმაცია ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში, ზოგადად იგივე თავისებურებებით ხასიათდება; მასკულინურ-შოვინისტური ცენზურა მას თანდათანობით მტრის ხატად გარდაქმნის, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც – "დუბლიორად" დედის კულტი გვევლინება, თანაც ეს არის მიწიერი დედის კულტი. შესაძლოა, ეს ქართული ისტორიული სპეციფიკითაა განპირობებული – ქვეყანას მეომრები სჭირდებოდა, თანაც გამუდმებით ედგა გენოფონდის განადგურებისსაშიშროება. სწორედ ამიტომ "მზეთუნახავი", ანუ ნათელი საწყისი ეროვნულ; ცნობიერებაში ყოველთვის დედასთან იყო გაიგივებული. საინტერესოა, რომ უზენაესი "მზეთუნახავი" ნებისმიერი ქვეყნის

მითოლოგიაში პერმანენტულად თუ არა, იმანენტურად არის დედა-ღვთაება — ღმერთებისა და სამყაროს დედა, რომელიც მოგვიანებით ცენტრალურ ადგილს მამაკაც-ღვთაებებს უთმობს.

ბერძნულ მითოლოგიაში ეს დიალექტიკა გამოკვეთილად ჩანს: ჯერ სამყაროს დედა გეა, შემდეგ ღმერთების მშობელი რეა და ბოლოს ოლიმპოს ტახტზე ვხედავთ ზევსს. გეა ოლიმპოზე არც ფიგურირებს, ხოლო რეა ჩრდილშია. სამწუხაროდ, ქართული მითოლოგია არ არის იმ დონეზე შესწავლილი და სისტემატიზირებული, რომ ეს კანონზომიერება ასე თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს, მაგრამ გარკვეული მრავალმნიშვნელოვანი დეტალები მაინც იკითხება. ამ თვალსაზრისით უაღრესად ინფორმაციულია ნადირობის ქალღმერთის — დალის სახე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის უძველესი მატრიარქალური ღვთაების შეკვეცილი ვერსიაა. მისი კულტი, ადრე, ალბათ, მთელ ქართულ ტომებში იყო გავრცელებული და, **აკაკი გელოვანის აზრით**, ოჯახის მფარველი ღვთაება უნდა ყოფილიყო. პატრიარქატის განვითარებისა და მასკულინური შოვინიზმის მომძლავრების პარალელურად მოხდა მისი სახის ნეგატიური ტრანსფორმაცია. იგივე სვანეთში დალი საკმაოდ სახიფათო პერსონაჟია, ხოლო საქართველოს მასშტაბით მასში ბოროტმა შტრიხებმა იმძლავრა — იგი ბოროტ მაქციად, ზოგან კი ვერაგ ტყის ქალად იქცა. მასთან შეხვედრა მოკვდავს ერტმნიშვნელოვნად დაღუპვას უქადის. დალის სახის ტრანსფორმაცია იდეალურად იმეორებს "მზეთუნახავის" დესტრუქციული "რედაქტირების" მოდელს — ნათელი ქალური საწყისის ბოროტ ძალად, "ურჩხულად" გარდასახვას.

მითოლოგიური ნიმუშების გარდა უაღესად ინფორმაციულია მითური ზღაპრები და ნოველები. სწორედ ამ წიაღშია მოსაძიებელი „მზეთუნახავის" ეროვნული „დუბლიორის" — „დედის ხატის" ატრიბუტიკა და კულტის ელემენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზღაპარი „წიქარა". მასში ძალზედ საინტერესოდ პროეცირდა ქართველი დედის ორობითი ბუნება — მასკულინური და ფემინური საწყისების შეთავსება. ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, ქალს ხშირად უხდებოდა უკაცოდ ყოფნა, ვინაიდან ან ომში წასულ ქმარს ელოდა, ან უკვე დაქვრივებული მარტო ეწეოდა ოჯახის ჭაპანს. ფრთოსანი ფრაზა — „აბა, შენ იცი, ქალიც შენ ხარ და კაციც!" — ქალური ყოფის ერთგვარ კრედოდ იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი ქალის განზოგადებულ სიმბოლოდ იქცა თავსაფრიანი დედაკაცი. „წიქარაში" დედით დაობლებულ ბიჭს ქომაგად ევლინება ერთგული ხარი — წიქარა. ხარი მიწის სტიქიის განსახიერებაა, ანუ წიქარა, ფაქტობრივად, მასკულინიზირებული დედობრივი საწყისია. სავსებით ლოგიკურია, რომ იგი ბიჭს საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩენს. სწორედ ასე იშიფრება წიქარას კოდი — მამისგან დევნილ ბავშვს პატრონობს წიქარაში მისტიკურად განსხეულებული მასკულინიზირებული დედობრივი საწყისი.

არანაკლებ საინტერესოა მითური ნოველა „დედის გული”. სატრფომ ყმაწვილს ცოლობაზე თანხმობის სანაცვლოდ მამის ნაქონი ბეჭედი და დედის გული მოსთხოვა. ვაჟის მოთხოვნაზე დედამ მას ბეჭედი გამოუტანა, მერე უსიტყვოდ გადაიხსნა გულმკერდი, გული საკუთარი ხელით ამოიგლიჯა და შვილს გადასცა. ყმაწვილმა გული ცხვირსახოცში გაახვია უბეში შეინახა და ქალისკენ გასწია. გზაში წაიბორძიკა და კინაღამ არ დაეცა.

— ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედაშენი, ხომ არაფერი იტკინეო? — გამოსძახა დედის გულმა.

ყმაწვილმა ყური მოიყრუა და გზა განაგრძო. იგი სატრფოსთან მივიდა და ჯერ ბეჭედი მიართვა.

— უი, რამხელა ყოფილა, ჩემს ჩამოქნილ თითებს ეს ეკადრებაო? — გაიცინა მზეთუნახავმა, ბეჭედი ფეხის ცერზე წამოიცვა და ვაჟს საკოცნელად ტერფი გაუწოდა. სიყვარულით დაბრმავებული ჭაბუკი დაიხარა და..

— ამას რას ვხედავ, ხალხო, ჩემს შვილს როგორ ამცირებენ, უშველეთ, გადაარჩინეთო! — დაიკვნესა დედის გულმა.

ყმაწვილი გამოერკვა, წამოხტა და გამოიქცა. მივარდა დედასთან, გული საგულეში ჩაუდო და მუხლებზე დაემხო:

— დედავ, მაპატიე, მე, რეგვენმა ვერ დაგაფასეო!

— მადლობა ღმერთს, რომ გადაგარჩინეო.. — გაჭირვებით ამობგერა მომაკვდავმა და გარდაიცვალა.

ამ შემზარავ და, ამასთან, მშვენიერ სიუჟეტში კოდირებული კონცეფციის გაშიფვრა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მისი მიხედვით, ქალური საწყისი მხოლოდ დედობრივ გამოვლინებაშია კეთილი და ნათელი; იგი მხოლოდ თავის სისხლსა და ხორცს თუ უერთგულებს. სხვა პარამეტრებშიმასთან სიფრთხილეა საჭირო, რამეთუ, მანკიერი ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად ამპარტავნება-ანგარების ტყვეობაშია. ხორციელი ჟინი, რომელსაც ქალი მამაკაცში აღძრავს, მისი ყველაზე საიმედო იარაღია მსხვერპლის დასაღუპად/„გასაურჩხულებლად”. მამის ბეჭედში გვარის სტატუსი და ფასეულობები მოიაზრება, ხოლო დედის გულში — სულიერ-პიროვნული ***სივრცეები***. ვერაგმა ქალმა ყველაფერი ეს, პირდაპირი მნიშვნელობით, ფეხზე დაიკიდა და ვაჟსაც აქეთკენ უბიძგა. ნიშანდობლივია, რომ მხსნელის ფუნქცია მთლიანად დედას ეკისრება და მამა სიუჟეტში არც ფიგურირებს („წიქარაში,” საერთოდაც დესტრუქციული ფუნქცია აკისრია).

დასკვნა: დედა – მხსნელი და ქომაგია; უბრალოდ ქალი – მაცდური და ვერაგი. კონცეფციის ავტორებს უხერხულობას არ უქმნის ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ქალი შვილისთვის თუ დედაა, ქმრისთვის – ცოლი, ამიტომ ერთდროულად მხსნელიც („მზეთუნახავიც") გამოდის და მაცდურიც („ურჩხულიც"). ქალის ფენომენის ასეთი „გახლეჩა" უამრავი მტანჯველი კომპლექსის და დამანგრეველი სინდრომის წყარო შეიქნა, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

და ბოლოს: არქეტიპული კოდის – „მზეთუნახავი და ურჩხულის" ტრანსფორმაცია ზუსტად ასახავს გენდერული როლების ტრანსფორმაციას, ამდენად საფუძვლიანი ძიება ამ მიმართულებით მრავლისმომცემია როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფილოსოფიური თვალსაზრისით და უამრავ სიურპრიზს გვპირდება.

© Profile

ჩვენი მაშინდელი ამბავი...

ავა მორჩილაძე

1.

ასე ამბობდნენ, ამ ტყვიებს სიმძიმე არც ცხვირში აქვთ და არც გავაშიო. რაღაცნაირი, სხვანაირი ტყვიები იყო: მთავარი სიმძიმე მუცელში აქვთო, ამბობდნენ — ასეთი ტყვიებით ომი მთელს მსოფლიოში აკრძალულია, იმიტომ, რომ გინდაც ხელში მოგხვდეს, რახან მთავარი სიმძიმე გულ-მუცელში აქვს და არა ცხვირში, ან უკანალში, ციბრუტივით ტრიალი იცის და სხეულში სირბილს იწყებს, ყველაფერსა გლეჯს და თუკი სხვა ტყვიით მხოლოდ დაიჭრები, ამ ტყვიის უბრალო მოხვედრაც კი სასიკვდილოაო.

ასე ამბობდნენ და მართლაც საშინელება იყო ასეთი ტყვიებით ომი. აბა რა გამოდის, — კაცმა ხეირინად ვერ დაგიმიზნა, ტყვია ფეხის რბილოში ძლივს გაგარტყა, ეს ვერაგი მუცელსიმძიმიანი ტყვია კი გაჰყვა ძარღვებს, ან კუნთს მთელ სიგრძეზე და გზად ისე მოსპო და გაანადგურა ყველაფერი, მსროლელს არც კი ეკუთვნოდა ასეთი გამარჯვება.

ასევე ამბობდნენ, ამ ტყვიებმა სულ სხვანაირი ფრენა იციანო, თუკი ჩვეულებრივი ტყვია რომ რაიმეს გაეხახახუნება, სვლა-გეზს დიდად არ

შეიცვლის – რეკოშეტი ძალიან სერიოზული და მძელე უნდა იყოს, ჩვეულებრივმა ტყვიამ გზას გადაუხვიოს – მუცელსიმძიმიანი ტყვია თურმე, გინდ ფოთოლს გაეხახუნოს, სრულიად მოულოდნელად და წარმოუდგენლად იცვლის სავალ გზას და სხვაგან გაუხვევსო.

ახალი წლის საღამოს, ომიდან გამომძვრალი ერთი მოხალისე მოვიდა ჩვენს ქუჩაზე, რახან ჩვენი უბნელების ძველი ხანაგი იყო და ცოტა დალია კიდეც, რის შემდეგაც ომის ამბების თხრობა დაიწყო. თავად იყო ამ ამბების მონაწილე და თუმცა ბოლო ჯერ არავინ იცოდა, საქმის ცოდნით ჰყვებოდა ყველაფერს. განსაკუთრებით, ამ საშინელ ტყვიებზე ჰყვებოდა – ეს რა ვნახეო, ამას წინ როგორ უნდა აღუდგეს კაციო.

სიტყვასიტყვით, ასეთი რამ მოგვითხრო:

ქუჩის პირზე ვიყავი ჩაწოლილი, ცაცხვის ძირასო. ცაცხვის შორიახლოს საგზაო ნიშანი იდგა, თუთიის თხელი დაფით, არგავლის ნიშანი ეხატა ზედო. როგორც არის, რა: სქელი თეთრი ხაზი წითელ წრეზე. ჩვენებურად, "კირპიჩი". ჰოდაო, სიჩუმე იყოო, არავინ ისროდა არც იქედან, არც აქედანო. ჰოდა უცებ გამოვარდა ტყვიაო, ვიღაცამ გამოისროლა იქეთა მხრიდანო. გავხედე და ტყვია პირდაპირ საგზაო ნიშნის დაფას მოხვდა, გახვრიტაო. უცნაურია, მაგრამ ტყვია დავინახეო და მივხვდი, სწორედ ის საშინელი ტყვია იყოო, იმიტომ რომ გახვრიტა თუ არა, არც ძირს ჩამოვარდნილა და არც გზა გაუგრძელებია, რაღაც უცნაურად მოუხვია და ახლა უკანა მხრიდან გახრიტა დაფაო. მერე, ისევ შემოუხვია და ახლა ისევ წინიდან გახვრიტაო. მოკლედ, ერთხანს იარა ასე საზარლად და უცნაურად, ერთი ნასროლით ბარე შვიდ ადგილას გახვრიტა ეს საბრალო საგზაო ნიშანი და მერე კი ჩამოვარდა უღონო და დედაძაღლი, დასუსტებული დაეცა ზუსტად ჩემს გვერდითო.

ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ვხედავდი როგორ გადი-გამოდიოდა ამ თხელ, თუთიის დაფაში და წარმოვიდგინე, კაცის სხეულში რეებს მოიმოქმედებდაო.

ყველაფერთან ერთად, ეს საზიზღარი ტყვია ხილულიც ყოფილიყო.

ერთი შეღავათი ისაა, ღონეს ჩვეულებრივ ტყვიაზე უფრო სწრაფად კარგავს, თუმცა ღონედაკარგულიც ისევ ცხელია და იმგვარი ჯოჯოხეთურობით მოივლის ნაწლავებს, ისე დაფლითავს ყველაფერს: გულს, ფილტვებს, თირკმელებს, რომ ამას ისევ ის ძველი, პირდაპირი და უეშმაკო ტყვია სჯობსო.

მაშინ ვფიქრობდი, ნეტა როგორია, ტყვია რომ გეჯახება-მეთქი.

იმ მოხალისე მებრძოლმა, რომელიც შემდეგ სულ სხვა ომში დაიღუპა, ასე მოგვითხრო და მუცელდამძიმებული ტყვიების ამბავმა მაგრა იმოქმედა ჩვენზე: ეს რა გამოდის, სამოქალაქო ომია, ისედაც ამდენი უბედურება ხდება და ეს ვერაგი ტყვიები ვინღა მიჰყიდა იქეთ-აქეთა მხარეებს, ასეთი საზიზღრობა ვინ ჩაიდინაო.

ამის პასუხი უფრო გამოცდილმა ჯეილებმა თქვეს: რახან ეგ ტყვიები საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია, გამყიდველებს ისინი ზარალში აქვთ და თუკი ვინმე დამთხვეული გამოჩნდა, იმას მიჰყიდიან ხოლმეო. ჰოდა, რუსის სამხედროებმაც, ჩვენს ერთმანეთთან მეომარ გუშინდელ ძმაკაცებს სულ იაფად მიჰყიდეს ჩამოწერილი ტყვიები და ჩვენები თუ გადაირიენ, ტყვიის კი არა, ადამიანის რაობას არად დაგიდევენ, ყოვლად უსირცხვილოდ შეიძინეს და ერთმანეთს დაუწყეს სროლაო. სხვანი ამბობდნენ, ჩვენებურები აზრზეც არ იყვნენ, რუსის გადამყიდველებმა რა შეასაღეს, მაგრამ ახლა რაღა ქნან, სხვა ტყვია არა აქვთ, ამიტომაც ამეებს ესვრიან ერთმანეთსო. ომი იყო და ბევრ ასეთს გაიგონებდი.

მუცელდამძიმებული ტყვიის ამბავი სახლში არ მომიყოლია — დედაჩემს ისედაც გულს ეყრებოდა ყოველ ჩემს სახლიდან გასვლაზე. შეშინებული იყო და ყველანაირად მიკრძალავდა თუნდაც რომ კარში ცხვირის გაყოფას: ტყვია არ მოგხვდესო, ანდა რომელიმე მხარეს არ ჩაეწეროო, ანდა, ამ ომის დროს წამოქაჩულმა, მებრძოლებად გადაცმულმა ყაჩაღებმა, ანდა სულაც, პირდაპირ მებრძოლ-ყაჩაღებმა არ შეგაყენონ და მერე ტყუილ-მართლის გარკვევა გვიანი იქნებაო.

ერთადერთი, ჩვენსავე უბანში ჩავლას და ბიჭებთან ჩამოჯდომას ყაბულდებოდა და ისიც გაჭირვებით. ტელევიზია არ მუშაობდა და ომის ამბავს ისევ მაღაზიასთან, ჩვენს ბირჟაზე თუ შეიტყობდი. უფრო შორს წასვლას აზრი არც ჰქონდა, ტყვიისთვის შუბლის დახვედრა კი თვითონაც არ მინდოდა. ჩვენი უბანი ომში არ მონაწილეობდა, მხოლოდ ზემო ქუჩებიდან ჩაწერილიყო ორი ბიჭი მოხალისე აჯანყებულებში და ერთი ჩვენი მეზობელი კაციც — მთავრობის მომხრეებში.

მამაჩემი მდუმარედ ადევნებდა თვალს ომს. კარგს არაფერს გამოელოდა ამ ამბიდან და ქალაქშიც ჩემზე უფრო ხშირად გადიოდა; მეტიც, სამსახურშიც კი მიდიოდა ხოლმე.

ბაბუაჩემს კი აინტერესებდა ომის ამბები, ოღონდ საიდან უნდა გაეგო, არ იცოდა, ისე კიდე, ვინ რას მოუთხრობდა. ხანდახან უცხოეთის რადიოტალღებს თუ გამოიჭერდა და იმათი ნალაპარაკევიც არ აკმაყოფილებდა.

ბაბუაჩემი ბაბუა კი იყო, მაგრამ სტალინი არ უყვარდა. საერთოდ, ძალიან მაგარი ვინმე იყო და ლურჯი ფეტრის შლაპა სახლშიც ეხურა.

როგორც კი დამიმარტოხელებდა ხოლმე იმ გაქანებული ომის დროს, მეტყოდა: ე ბიჭო, ხო არ გაგიგია რამეო.

რო ვეტყოდი, არა-თქო, სწყინდა – წადი, გეიგე რამეო. ბაბუაჩემი ძველი დროის ინჟინერი გახლდათ, წინა ჯიბეში ყოველთვის სამი კალმისტარი ედო, პორტმანში კი პიტნის კანფეტებს ინახავდა.

2.

ახალი წლის დადგომიდან ორი დღე იყო გასული და ამბობდნენ, ომი დღე-დღეზე დამთავრდება, აჯანყებულებმა ციხეებიდან უამრავი ხალხი გამოუშვეს, ამათ შორის ძველი მოხალისეები და უბრალოდ თავზეხელაღებული ოხრებიც და ისინი უკვე თოფქვეშ ყავთო.

უცებ ტელევიზორიც ჩაირთო, წვერგაუპარსავი გამომცხადებელი გამოჩნდა და ჭრელყდიანი სქელი რვეულიდან ამოიკითხა: ტირანია დამხობილია, ქვეყანა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას ადგასო.

დედაჩემი ბაბუას ეძახდა, – ომი დამთავრდა, მოდი, მოდი, ტელევიზორი ჩაირთოო, – მაგრამ ბაბუა არ მოდიოდა. თუმცა, როგოც მერე გაირკვა, ომის დამთავრებამდე ჯერ შორს იყო.

– ბაბუაშენს გახედე, – მითხრა მამაჩემმა. ავდექი და ბაბუას ოთახში გავედი.

ჩვეულებრივ, იქ ძველი გაზეთების სუნი იდგა, ხოლო რახან ზამთარი იყო და ელექტროღუმელიც ენთო, ძველი გაზეთების სურნელს გაუნიავებელი ტანსაცმლისაც დამატებოდა.

ბაბუაჩემს ესე ყოველი ფეხებზე ეკიდა, გულაღმა იწვა ლოგინზე და გულზევე ძველი გაზეთი ედო. საერთოდ, გაზეთების შენახვა უყვარდა. კომოდის უჯრები სწორედ ძველი გაზეთებით ჰქონდა გამოტენილი.

– ცუდათ ხო არ ხარ? – არ შემშინებია, იმიტომ რომ ბაბუას წესად დაედო ასე მიცვალებულივით წოლა. ამას მიჩვეული ვიყავი. თავისი ხმელი თითი ფანჯრისკენ გაიშვირა და თქვა:

– შემოფრინდა...

ფანჯრის მინა მარცხენა ზედა მხარეს რაღაცნაირად, სუფთად გაეხვრიტათ, თითქოს ალმასით ამოჭრესო. ნატყვიარი იყო.

— როდის? — დავეკითხე.

— წეღან. — თქვა ბაბუამ ისე, რომ არც განძრეულა და თითი ახლა ოთახის მეორე ბოლოსკენ გაიშვირა. კედელს ნატყვიარი ეტყობოდა.

— ა, იქ მივიდა... მერე აგე, იქ. — და კომოდს მიათითა. ტყვია კომოდის ქვედა უჯრაში გაჩხერილიყო. — ღამურასავით შემოფრინდა. ხმა კი არ ქონია და ფარფატობდა ასე, ოთახში. ტრიალობდა ღამურასავით...

სწორედ ისეთი ტყვია უნდა ყოფილიყო, რომ ყვებოდნენ.

— მასპინძელივით იქცეოდა, — ამოახველა ბაბუამ, გაზეთი განზე გადადო და ხვნეშით წამოჯდა.

— ომი დმათავრდა, — ვუთხარი მე, — ტელევიზორში აცხადებენ.

— მეტი საქმე არა აქთ. ომს რაღა დაამთავრებს, ბიჭო? ომი რო დეიწყება, აღარ თავდება ხოლმე, შენ არ მოსწრებიხარ... — ისევ ამოახველა ბაბუამ. — რანაირი ტყვია იყო ახლა ეს?.. არ ამოაძრო მაქიდან, ხელი არ ახლო, მჭირდება.

— რა.. ტყვია?

— ხო უნდა გევიგო საიდან მოფრინდა. ჩვენ ფანჯარაში ტყვია ვერანაირათ ვერ მოხვდებოდა.

— ეგება ქუჩაში ისროდა ვინმე. . .

— ქუჩაში კი არა, იქედანაა მოსული, ომიდან... ჩვენ ქუჩაში არ უსვრიათ. საიდან მოვიდა ნეტაი. ძაან შორიდანაა ნასროლი...

— კაი, რაღა მნიშვნელობა აქ, მთავარია, რო არ მოგხვდა. ქვემოთ კაცი მოუკლავს — ფანჯარაში შეფრენილა.

— ვეღარ მომკლავდა, ისე დადიოდა, გაბურბუსალებული... ძალა კი აღარ ქონდა.

ბაბუა წამოდგა, კომოდის ზედა უჯრა გამოსწია და იქედან თავისი საფარგლე ყუთი ამოიღო. ძველი, მაუდშემოკრული ყუთი იყო. შტანგენ-ფარგალიო, თუ რა ერქვა. ბავშვობიდან ვგიჟდებოდი ამ ყუთზე და შიგ ჩალაგებულ ფარგლებსა და სხვა ნემსიან საზომებზე, მაგრამ მათი გამოყენება არ ვიცოდი. ერთადერთი, რაც შემეძლო, ამ ფარგლებით წრის შემოხაზვა იყო და ისიც მაშინ, როცა მათემატიკის დავალებით მოგვეთხოვებოდა. თანაც,

ბაბუა ყოველთვის თვითონ მომიხაზავდა ხოლმე წრეწირს მათემატიკის რვეულში. ამ ყუთს გადახსნიდა და დიდის აღტაცებით დავყურებდი ხოლმე შავ მაუდზე დასვენებულ, მონიკელებულ, ჩხვლეტია ხელსაწყოებს, რომელთა არსიც, სიმართლე გითხრათ, დღემდე არ ვიცი. გერმანული ხელსაწყოები იყო, ომის შემდეგ ალაფად ჩამოტანილი ჯერ კიდევ სტალინის დროს.

— ეგ რათ გინდა?

ბაბუამ თავი გააქნია.

— ბუსოლიც მინდა, მარა არ მაქ...

— რა გინდა?

— ბუსოლი.

— ეგ რაღაა?

ბაბუამ ხელი აიქნია.

— მეიცა, თუ ძმა ხარ...

მერე თავისი რვეულები და საქაღალდეები ამოალაგა და მაგიდაზე გააწყო.

— სად ხართ? — ოთახში მამაჩემმა შემოიხედა, — ტელევიზია ჩაირთო...

— აქანა, — თქვა ბაბუამ.

მამამ კარი გაიხურა.

ბაბუამ უბიდან ბლოკნოტი ამოიღო და დერეფნისაკენ გახანხალდა.

— ტელეფონი ხო მუშაობს?

— კი.

— ეს ტყვია არ უთხრა მაგენს, თვარა აქით დამაძინებენ, აღარ გამაჩერებენ ამ ოთახში.

— ჩაი? — ჰკითხა დედაჩემმა.

— კი, ჩაი კაია, ოღონდ დავრეკო ერთი ჯერ. — ბაბუა დიდხანს აწვალებდა ტელეფონს და ყურმილში ისე ჩასძახოდა, თითქოს ჩხუბობსო.

— ლეონიდ ერმალაევიჩ, რავა ხარ, რავა... დეიქცა, კი, დეიქცა... დააქციეს და რაღა იქნება... აბა! ვაი, ვაი... რომელს რისი თავი აქვენ, რომელს, ერმალაევიჩ, ვინ ფიქრობს ქვეყანაზე... არევინ... ხო, კი, კი... არ მიშობენ გარეთ... აგერ ჩემ შვილიშვილს ვთხოვ, თუ დამჭირდა რამე. არა, ხო... რა არი ახლა, თუ იცი. ეს გეგმარების ქაღადები და რაცხეები კი მაქ დარჩენილი ძველი და რუკებიც მაქ ერმალაევიჩ, ბუსოლი მჭირდება... ხო არ შეგრჩენია შენ ბუსოლი?... კი, ხო? მახსოვდა, რო გქონდა ერმალაევიჩ, უნდა მათხოვო, ჩევიბარეფ ხელმოწერით და აქტით და დაგიბრუნებ ხელმოწერით.... მე მოვალ კაცო, სროლები არა ის... რა უნდა სროლებს, ტროლეიბუსი დადის და ყველაფერი. ზეიდან მოვალ, შუაზე კი არ გამევივლი... ფრონტის ხაზზე... ფრონტის ხაზი, ვაი, ამათ პატრონს... თამაშობენ ომობანას. თოკი ყოფილა გამბული, ამას იქით ომიაო... მე მოვალ, კაცო, თუ არა, ჩემი შვილიშვილი მოვა...

დედა სამზარეულოს კარში იდგა და შეშფოთებული უსმენდა ბაბუას.

— რა მინდაო? — მკითხა ჩუმათ.

— ბუსოლიო.

— რა ჯანდაბაა?

— რა ვიცი.

3.

ომი არ დამთავრებულა, კიდევ ერთ კვირას გრძელდებოდა, მერე კი ლამის მთელ სიცოცხლეს. მარიკას სახლიდან არ უშვებდნენ, ჩვენ კი ისე არ ვიყავით, რომ წარამარა მევლო მათთან.

სახლიდან დიდად მეც არ მიშვებდნენ, თუმცა რა შედარებაა, გავდიოდი და დედაჩემის ნერვიულობას ყურადებას არ ვაქცევდი, მთავარი იყო, დაბნელებამდე დავბრუნებულიყავი და უბანსაც დიდად არ გავცილებოდი. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და დედაჩემი ვერაფრით წყნარდებოდა, თუ სახლიდან გასული მალევე არ შევეხმიანებოდი, აქა და აქა ვარ, დამშვიდდი-მეთქი.

რა გასაკვირია, ომი იყო და დედას რა მოასვენებდა, მითუმეტეს, რომ თვრამეტი წლის ვიყავი და სულ იოლად გადავეყრებოდი შარს. თან თუ ვახოსთან ერთად მივდიოდი. ვახო ერთი ფრიად ხიფათიანი მოქალაქე გახლდათ. საწყალი ვახო...

მარიკას გვიან ღამით ვურეკავდი ხოლმე, როცა ყველა მიწვებოდა და მიწყნარდებოდა. ჰოლში იატაკზე ჩავჯდებოდი და ხმადაბლა ვლაპარაკობდი. შორიდან სროლის ხმა მოისმოდა, ჩვენ კიდევ ვლაპარაკობდით და

ვლაპარაკობდით. ძალიან მენატრებოდა და ვფიქრობდი, ეგებ როგორმე მოვახერხო და მათთან მივდე-მეთქი.

ჩვენს შუა ომი იყო.

უფრო სწორად, ომი ჩვენს უბანთან უფრო ახლოს იყო, მარიკა კი ქალაქის მეორე კიდეზე, იმ ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც ოდესღაც მხატვრებისთვის სახელოსნოები დაერიგებინათ. მამაც და დედაც მხატვრები იყვნენ. თვითონაც ხომ სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, ჩვენი ბირჟა კი სწორედ აკადემიის დაბლა იყო. მარიკაც იქედან დავინახე პირველად და მერე რა ვქენი და როგორ, ახლა ნამდვილად ვერ მოვყვები.

მარიკა პირველ კურსზე იყო და ეს ომიც სწორედ მაშინ დაიწყო, როცა პირველი სემესტრის გამოცდები უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ქალაქის ეს მხარე გამოცდებისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ქვემოთ, მთელს პროსპექტზე, მთავრობის სასახლეს აჯანყებულები შემოწყობოდნენ და რაღა გამოცდები ჩატარდებოდა. ამიტომაც მარიკა იმ თავიანთ სახელოსნოში ყავდათ გამოკეტილი.

საერთოდ, საქმე ისე იყო, რომ მარიკას მოულოდნელად კი გადავეყარე, მაგრამ მას მთელი ქალაქი იცნობდა. მთელი ქალაქი კი არა, მთელი ქვეყანა. ჯერ ჩვიდმეტი წლის იყო, მისი სახელი კი ბავშვობიდან ყველას პირზე ეკერა. იმის შემდეგ, აბა, რამდენი დრო გავიდა, მთელი თექვსმეტი წელიწადი და ახლა მარიკას პოვნა ასჯერ უფრო ძნელია, ვიდრე მაშინ, თუნდაც იმ ომის დროს იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ მარიკა ვუნდერკინდი გახლდათ და ქვეყნის ერთ-ერთ თითით საჩვენებელ ადამიანად ითვლებოდა, ჯერ კიდევ ხუთი თუ ექვსი წლის ასაკიდან...

ხატვის სრულიად არაადამიანური ნიჭი ჰქონდა. სამი წლისა, ისე ხატავდა, როგორც აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტები. ხატვის წესებისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ამბობდნენ, ეს ბავშვი გენოსიაო. ისევე როგორც ყველას, ბავშვობიდანვე გამეგონა მისი სახელი და ტელევიზორში სიუჟეტებიც მენახა მისი გამოფენებიდან, რომლებმაც, მარიკა რომ ათისა შესრულდა, პარიზსა და ნიუ იორკსაც კი უწიეს, მაგრამ ის ზებუნებრივი ნიჭის ბავშვი და ჩვენი აღმართით აკადემიაში მოარული გოგო ერთმანეთს ვერაფრით დავუკავშირე. აზრადაც არ მიაზრია, მარიკა სწორედ ის ბავშვი იყო, სამშობლო რომ საკუთარი ნიჭიერებისა და გამორჩეულობის ერთ-ერთ მაგალითად მოიხმობდა ხოლმე, შიგადაშიგ. ვერც ჩვენს ბირჟაზე წარმოედგინათ, რომ გოგო, რომელიც გულში ჩამივარდა, ამგვარი ვინმე გამოდგებოდა.

გამოდგა და რაღას ვიზამდი.

ამან საქმე კი გამირთულა, მაგრამ რაღაც მაგარიც შემმატა. მაშინ ვერ ვხვდებოდი — რა, მაგრამ, რაღაც ისეთი იყო, კმაყოფილებას გავდა. გავიფიქრებდი ხოლმე, ეს რა უცნაური რამე მოვარტყი-მეთქი. და თანაც ვფიქრობდი, ესე იგი, სწორი და კარგი ადამიანი ვარ, რახან მარიკა ისე შემიყვარდა, მისი გენიოსობის ამბავი უზურშიც არ გამივლია-მეთქი.

სინამდვილეში კიდე, მარიკას გენიოსობისა არაფერი ეტყობოდა. ძალიან ფრთხილი იყო, გვარიანად ჩუმი და შეიძლება ითქვას, ცოტა მშიშარაც. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მაინც ძალიან ეშინოდა. თავიდან, რა თქმა უნდა. ახლა ვფიქრობ, წინააღმდეგობის უნარი არ ჰქონდა და რაღაც სხვა უფრო ნესტრიანიც აკლდა, მაგრამ მართლა ჭკვიანი და მიხვედრილი კი იყო.

არასდროს მენახა, როგორ ხატავდა, ოღონდ ერთხელ პატარა ბარათზე დახატული, წარმოუდგენლად ჩახლართული და მოულოდნელი რამე მომიტანა. დიდხანს ვუყურებდი იმ ერთიბეწო ნახატს. ბიჭები დამცინოდნენ კიდეც. იმათ რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეცინათ, მე კი სწორედ ამ ნახატით მივხვდი, რომ სწორედ ამისნაირთან თუ შემეძლო ერთად მესეირნა და ათას რაღაცეებზე ლაპარაკით ამექაფებინა ენა.

მარიკა კიდე სულ ნახატებით მელაპარაკებოდა. მერე, როცა ამ ნახატების ოდენობამ ოცდაორს მიაღწია, დედაჩემმაც იგუმანა, რაღაც ფარცაგი ხდება ჩემი ერთას თავზეო, რადგან ოცდაორივე ჩემს საწოლთან მეკიდა კედელზე — არა, არც კი მეკიდა, ჭიკარტებით მქონდა მიკრული, რადგან ამ ბარათებს ჩარჩოებს ნამდვილად ვერ მოარგებდი — ღია ბარათებივით იყო და მათ ცქერაში ჩამეძინებოდა ხოლმე, და როცა ვიღვიძებდი, მათვე ვხედავდი, რაღაცნაირად ისე, ყველას ერთად.

პირველი ბარათი მაშინ მაჩუქა, მესამედ რომ ავეკიდე ძუნძულით, თანაც ძალიან ეშმაკურად, ჩვენი ბირჟის ბიჭებს რომ არ დაენახათ, რადგან პირველად ცოტა არ იყოს და ისე გამომივიდა, ბავშვობაში რომ მენახა ლაღიძის წყლების მაღაზიის წინ, ორ რუს ტურისტ გოგოს, ორი ქუდჩამოფხატული და გამხდარი ტურა მისდევდა: ის გოგოები უკანმოუხედავი, ჩქარი ნაბიჯით მიშლიგინებდნენ, ტურები კი წინ გადმოუხტებოდნენ და მოკლე-მოკლეებს ეუბნებოდნენ... აი, რაღაც ამის მსგავსი გამომივიდა, რადგან ყველას დასანახად გადავირბინე ქუჩა და ავედევნე. შეცდომას იმწამსვე მივხვდი, როგორც კი მოიხედა და მასში სახელგანთქმული ვუნდერკინდის მთელი თვის მსუბუქმოწონებიან მანძილზე ვერამოვიცნობის მიუხედევად, მაინც გვარინად შევწუხდი, რადგან ჩემს შეკითხვაზე, რა გქვია-მეთქი, არაფერი მომიგო, მხოლოდ შემომხედა. შემომხედა და ესეც საკმარისი იყო, თავი სრულ არარაობად მეგრძნო.

შემოხედვა, ახლა რომ იტყვიან, ელიტარული სრულიადაც არ გახლდათ.

ეჰ, ახლა იოლია ლაპარაკი, ამდენი წელი გავიდა, თმაც ძველებური სიხშირისა აღარ მაქვს და საერთოდ, სხვა გამოცდილების ჰომო ვარ.

შემომხედა და გაირა.

რატომ მომეწონა, ვერ ვიტყვი. უფრო სწორად, შემოხედვამდე რატომ მომეწონა. შორიდან მის თვალებს ვერც ვხედავდი, მაგრამ რომ შემომხედა, მივხვდი, სხვანაირობა დამემართა: ვინ გდიხარო, კი არ შემომხედა და ჩემი ძმის ძმაკაცები დაგასახიჩრებენ სკვერშიო, არამედ: მე ხომ ასეთი სიფრიფანა და არაჩვეულებრი ვარ და კბილების ღრჭიალისაც მეშინია, მაგრამ უკან ვერ დავიხევო.

ხო. ხო და მეორე ადევნება უფრო მოხერხებული გამომივიდა: ჩვენს მაღაზიასთან კი უნდა ჩამოევლო, მაგრამ ბირჟაზე აღარ დავხვედრივარ, პირდაპირ აკადემიასთან ჩამოვდექი. მაშინ მისი განრიგი უკვე ზეპირად ვიცოდი, ოღონდ გულს ის მიკლავდა, გოგოს სახელი ვერ დამედგინა. არც ლამაზი იყო, არც განუმეორებელი, არც მოდური, არც კანჭებზე ვფიქრობ-დი, არც წვივებზე, არც თმებზე, არც მკერდზე, და არც ტუჩებზე. საერთოდ, პირველი ადევნებისთანავე შევამჩნიე, ცხვირიც არცთუ სანიმუშო ჰქონდა. არაფერზე არ ვფიქრობდი, უბრალოდ, როცა ქუჩის მეორე მხარეს გაივლი-და, კარგად ვხდებოდი. ჰოდა, ალბათ მინდოდა კიდევ უფრო კარგად ვყოფილიყავი და ასე ბნელურად იმიტომ ავედევნე.

მე მაშინ უნივერსიტეტში არც დავდიოდი. ხანდახან თუ შევივლიდი და მთელს დღეებს უბნელებთან ერთად ვატარებდი. უნივერსიტეტიდან იმ დროს აღარავის რიცხავდნენ, ყველაფერი მიშვებული იყო. თანაც, ქვეყანაში არეულ პოლიტიკური ვითარებას დესადგურებინა და კიდევ, მამაჩემის იმედი მქონდა, გვარიანდ კი დამცხებდა გაცდენების გამო, მაგრამ გამოცდებს როგორმე ჩავაბარებდი — წამეცადინებით, თუ მისი შვილობის წყალობით, რადგან უნივერსიტეტში ყველა იცნობდა და ხომ იცით, როგორც იყო: თუ შვილი მთლად იდიოტი არ გყავდა, მეცნიერების ტაძრიდან არავინ გამოგიგდებდა გარეთ.

ეს იქით იყოს და მეორე შეხვედრისას, მოვუბოდიშე: ვუთხარი, სახელ-საც კი არ გკითხავ, უბრალოდ უნდა მოგიბოდიშო-მეთქი. ნამდვილი, ალალი, გულწრფელი ბოდიში იყო. შეიძელბა სხვა გოგოზე ამას არც ემოქმედა, მაგრამ მარიკა ხომ გენიოსი იყო და ალბათ მიხვდა, მართლა რომ ვწუხდი. მგონი სულ მწვანე ვიყავი. ვგრძნობ, როცა ვმწვანდები, დღემდე. ან როცა ძალიან გადავთვრები, ანდა როცა ძალიან ვნერვიულობ. იმ ფერს მთლად მწვანე არ ქვია, მაგრამ კაცს მგონი დამპალი კომბოსტოს იერს გადაატარებს ხოლმე.

არაუშავსო, მითხრა და მიაწვა იმ მძიმე კარს.

მესამე შეხვედრაც იქავე მოვაწყვე. მხოლოდ ერთი დღე გავძელი. პარასკევი იყო და რომ წარმოვიდგინე, უქმეებზე ვერ ვნახავ და ორშაბათს უნდა დავუდარაჯდე-მეთქი, კინაღამ ჩემი დამემართა. იმ შაბათ-კვირას რა გაატანდა, მინდოდა როგორმე ხელით შევხებოდი, ან მკლავზე, ან მაჯაზე ან კიდევ, სულაც ჩანთაზე. მგონია, ამგვარი სიყვარულის უკანასკნელი ეგზემპლარი ვიყავი. ახლაც წარმოუდგენლად ვამაყობ იმით, თუ როგორ მიყვარდა. შეიძლება ვტრაბახობ, მაგრამ არ მგონია, ვინმეს ასე ყვარებოდეს. თავიდან მაინც, თორემ ჩამშვიდებული სიყვარული საერთოდ არაფერია, მგონი სექსიც არ არის.

ის მესამე შეხვედრა უსიტყვო გამოდგა: არ ვიცოდი რა მეთქვა. ის ალბათ ყოვლდღე ელოდა ჩემს გამოჩენას, თუმცა ჩემზე ფიქრი ნაღდად რომ არ შეეძლო, რადგან მის ფიქრებში ხეირიანი ადგილის შოვნას ნამდვილად ვერ მოვახერხებდი, ვერც ჩემი პირველი, პოლუძველბიჭური და უხამსი მიჭრით და ვერც მეორე, წრფელი სიმწვანით...

ეჰ, სხვანაირი ენით უნდა ვყვებოდე ჩემი უნამდვილესი სიყვარულის ამბავს, მაგრამ ის ენა უკვე მოკვდა ჩემში. თექვსმეტი წელიწადი გავიდა. სულ სხვაგან ვარ, სულ სხვა ენაზე ვმეტყველებ და სადღა შემიძლია ისე ვილაპარაკო, როგორც მაშინ, როცა მარიკას დავდევდი ისე, რომ მისი სახელიც კი არ ვიცოდი.

საერთოდაც, მგონია რომ უცხო ენაზე ვყვები ამ ამბავს, იმიტომ რომ, როგორღაც, მშვიდად გამომდის. საზოგადოდ, უცხო ენები ხომ ასეთი მშვიდია ქართულთან შედარებით.

გადავუხვევ ხოლმე: არ ვიცი, რატომ. სევდის ბრალი თუა.

მესამე შეხვედრა მთლად უცნაური გამოდგა.

ჩემსკენ წამოვიდა, მომიახლოვდა.

კინაღამ მაჯაზე წავავლე ხელი.

ჩანთაში ქექვას მოჰყვა.

ბარათი გამომიწოდა. გაიღიმასავით, გატრიალდა და წავიდა.

ბარათზე ვეხატე მე.

რაღაც გაუგებარი, დახლართული ფიგურა, აქა-იქ ტუშის ლაქებით

მოთხვრილი, ძროხის თვალებით, სრულიად არავაჟკაცური წამწამებით, გავდა ცხენს, უფრო ალბათ ჯორს, რომლის არსებობის შესახებაც ბაბუაჩემისგან ვიცოდი; ასევე გავდა გემს და კიდევ რაღაც ასეთს, ზარბაზანსაც კი, ოღონდაც იყო ძალიან ნაზი, დარცხვენილი, მაგრამ მაინც მძიმე, მოუხეშავი და უტეხი.

ტუშით იყო ნახატი. უფრო სწორად, ტუშით ვიყავი ნახატი. ვერავინ გადამარწმუნებდა, რომ ეს მე არ ვიყავი. ბარათის მარჯვენა ქვედა კუთხეში ეწერა: *მარიკა. მ.*

მაშინ ვერ მივხვდი, რომ მარიკა მ. იყო ის ვუნდერკინდი, რომელსაც პატარაობიდანვე ვუყურებდი ტელევიზორში და ვხედავდი გაზეთებში, ვითარცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისა და აყვავებულობის, მისი უსაზღვრო ნიჭიერების კიდევ ერთ დასტურს და მომავლის იმედს. მაგრამ ახლა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღარ არსებობდა. იყო ნამდვილი ომი შუა ქალაქში და მე ვკვდებოდი ისე მენატრებოდა მარიკა, დედაჩემს კი ლამის გულყრა ემართებოდა ყოველ ჩემს სახლიდან გასვლაზე, ხოლო მამაჩემი, როგრც ჩანს, ჩუმჩუმად დამყვებოდა ხოლმე უკან.

ომის დაწყებიდან ორი დღე არ იყო გასული, იმაზე დავიწყე ფიქრი ჩვენი უბნიდან ისე როგორ გამეღწია, საომარი ადგილებისთვის შემომევლო და ქალაქის მეორე ბოლოში, საკუთარი სახლის ჭიშკართან შევხვედროდი მარიკას. სწორედ ჭიშკართან, რადგან თავად სახლში, ჯერჯერობით, ვერ შევბედავდი.

ჰოდა სწორედ იმ საღამოს, როცა ტელევიზია ჩაირთო, მოვიფიქრე. თუმცა, მე რა მოვიფიქრე, ბაბუაჩემმა მოიფიქრა.

აბა სხვა ვინ?

ბაბუაჩემი კი ალბათ ყველაზე საზრიანი კაცია დედამიწის ზურგზე. ბაბუის მოფიქრებული რომ იმ ღამეს მარიკას ვუამბე ტელეფონში, თქვა:

– როდის გამაცნობ ბაბუაშენს?.

– როცა შენ გამაცნობ ბაბუაშენს, – გავეხუმრესავით.

4.

აზრზეც არ ვიყავი-მეთქი, როგორი იყო ბუსოლი.

ვიციოდი, როგორ უნდა გაყვე მაღლა ქუჩებს, ფრთხილად იარო, თუ ქვემოდან ისვრიან, სად შეყოვნდე, სად გადაირბინო და როგორ ჩააღწიო იქამდე, სადაც ფრონტის უკანა ხაზი მთავრდება და მერე იქედან, თუკი რაიმე ბორბლიანი შეგხვდა, გაჰყვე გვარიანად შორს, თუ არა და ფეხით დააწვე შედარებით მშვიდ უბნებში, ჩაიარო ერთი დიდი და ფართო დაღმართი, სადაც ალბათ შემოგხვდებიან თუ წამოგეწევიან კანტიკუნტი და მამაცი მანქანები და არცერთი მათგანი არ დააამუხრუჭებს, რათა იმ აღმართისკენ გაგიყოლიოს, რომლის ბოლოშიც ერთი გრძელი ქუჩაა გაფენილი, და იმ ქუჩის ბოლოს, შავადშეღებილი ჭიშკრიდან გამოვა მარიკა, დავილაპარაკებთ სულ ცოტა ხანს და მერე კი უკან უნდა წამოხვიდე.

ეს მოგზაურობა, ფეხით სიარულის შემთხვევაში, დაიჭერს ნახევარ დღეს, იღბალა მანქანებით სვლისას კი, ცხადია, ბევრად ნაკლებს.

ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ დედაჩემი მეცოდებოდა. იმიტომ რომ, თუ ერთ საათში შინ არ მოვიდოდი, დედაჩემი შეიშლებოდა, მამაჩემი კი არაფერს იტყოდა, მაგრამ იქნებოდა მწვანე და ერთი თვის მერე, მთვრალი, ხმადაბლა, ერთგვარი აღფრთოვანებით დაიწყებდა ახსნას:

— შენც გეყოლება შვილები და შენც გადაირევი ხოლმე. არ ვიცი მე, სხვაგან როგორაა... ეს საქართველოა და ჩვენ თქვენთვის ვცხოვრობთ. აბა, მე რათ მინდა სიცოცხლე, მე ყველაფერი ნანახი მაქ. ყველაფერი მოთავებული მაქ... სიკვდილი არაფერი არ არი. უბედურება შენი შვილის სიკვდილია, შენი სიკვდილი კი არა...

ხო, ეგრეა. ამის ახლაც მჯერა. ჩვენ შეიძლება არ ვსწავლობდით, ბირჟებზე ვეყარეთ, არაყსაც ვსვამდით, ბლანსაც ვეწეოდით, დანებსაც ვატრიალებდით მეტ-ნაკლები გამბედაობით, მაგრამ დედების გადარევისა გვეშინოდა. ალბათ არც გვეშინოდა, უფრო ვერიდებოდით დედების გადარევას, იმიტომ რომ ჩვენ ბიჭები ვიყავით და დედაზე მეტი და დედაზე საიმედო არავინ გვყავდა. დედაზე უფრო არავინ იყო ჩვენთვის ბოლომდე, სულ ბოლომდე ჩვენი და დედის იქეთაც აღარაფერი იყო.

მგონი სწორად ავხსენი.

ყველაფერი დედით იწყებოდა: შუაში დიდი დომხალი და არეულობა ტრიალებდა, არცთუ მართალი და არცთუ მოსაწონი, მაგრამ ყველაფერი დედით მთავრდებოდა. ისედაც ასე იყო, ხილულადაც: დღე დედით იწყებოდა და დედით მთავრდებოდა. რომ დაწვებოდი, ოთახის კარს დედა შემოაღებდა ხოლმე. გიყურებდა იქედან სიბნელეში და დედას სძულდა ყველა ის ტყვია, ჩვენს გარშემო რომ დაფრინავდა. რატომღაც, ყველა ტყვია ჩემთვის ნასროლი ეგონა და თუ არ მხვდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მიფრთხილდებოდა და ჩვენი ქუჩის იქეთ ჩემს გასვლას არაადამიანური ძალისხმევით ეწინააღმდეგებოდა.

ბაბუა გამოჯეკილი კაცი გახლდათ. ტყვიის ამბავი არ გაუმხელია, პირიქით, ფარდაც საგულდაგულოდ ჩამოაფარა ნატყვიარ მინას. კედელზე ნატყვიარი მთლად გამოსაჩენ ადგილას არ იყო, კამოდის ქვედა უჯრას კი თვალიერებას არავინ დაუწყებდა: დედა არასდროს ეკარებოდა ბაბუას პირად ნივთებს და სართოდ, მის ოთახსაც კვირაში ერთხელ, ფრთხილზე-ფრთხილად ალაგებდა.

— ხოოო, — თქვა ბაბუამ, — ლეონიდ ერმალაევიჩთან უნდა წევიდე.

მამამ ბაბუას გადმოხედა როგორც პრობლემას და თქვა:

— სად უნდა წახვიდე კაცო, ისედაც ძლივს დადიხარ. ვერ ხედავ, ომია?

— საცა მე მივდივარ, იქ ომი არაა, — თქვა ბაბუამ, — ვერის ბაზართან მივდივარ.

— რა გინდა, მე წავალ, — თქვა მამამ.

— ხო, გია წავა, — გაეხარდა დედას, — დააბარეთ და...

— რა დავაბარო ქალო, ბუსოლი? ბუსოლი მჭირდება. — თქვა ბაბუამ მტკიცედ, — ბოლოს ორმოცდასამ წელში ვიხმარე, არც მახსოვს ხეირიანად. ერმალაევიჩს ახსოვს, მასწავლის და წამოვალ და წამევიღეფ.

— რა არი ეს ბუსოლი... — თვალები გადაატრიალა მამამ.

— ბუსოლი არი ადგილმდებარეობის გამოსარკვევი, — ამოახველა ბაბუამ, — მარა ვერ გამეითვლი, მაგნიტური მერიდიანის მიხედვით. ასე მახსოვს. ბუსოლით უნდა გაზომო კუთხეები, თუ ძაან სეკუნდიანი სიზუსტე არ გინდა. აზიმუტის გამზომია..

— აზიმუტი კი, მახსოვს! — გაეპასუხა მამა. — ოღონდ ისა... მთლად გარგათ...

ბაბუამ ხელი აიქნია:

— ახლა რაღათ მინდა აზიმუტი, ბუსოლი მინდა...

— რა ჯანდაბათ გინდა ეს ბუსოლი?

— უნდა ავზომო, რაღაცა.

დედა უნდოდ შესცქეროდა ბაბუას.

ბაბუამ უცბათ გადმომხედა — როგორც იცოდა ხოლმე. გადმოგხედავდა უცბათ და თავშეუკავებლად და მერე უცბადვე, თითქოს ზედმეტი მოუვიდაო, წამოკრეფდა თავის განცდებს და უცაბედობებს და მიმალავდა სადღაც, პორტმანის შიდა ჯიბეში, ვითომ არაფერიო; მაგრამ იმხელა კი ვიყავი რომ ვხვდებოდი, ასეთ დროს რაღაც გაუელვებდა ხოლმე, მხოლოდ თავისი, ახირებული და რისკიანი. ასევე ამომხედა, ტყვიას რომ მაჩვენებდა გულაღმა მწოლარე.

— აგერ, ბიჭს გევიძღვანიებ, — თქვა მოულოდნელად.

— მე წამოგყვები, კაცო!

— ბიჭს გევიძღვანიებ, შენ კიდე ის... შენ წადი შენ საქმეზე.

დედა ძალიან ჩამძიმდა.

— ნუ გეშინია შენ... რაც გიწერია არ აგცდება. — შენიშნა ბაბუამ თამამად და თითქოს უდარდელად, — აგერაა ა, ვერის ბაზართან. ზემელისკენ ტყვიები არ მოდის, ჩავალთ და ამოვალთ წყნარათ... მარტოც კი წავალ, მარა არ გამიშვებთ და...

დედამ სამზარეულოში დაიხია, წინასწარ გამზადებულ პოზიციებზე. — გიჟია, ნამდვილი გიჟი. — ბუტბუტებდა თავისთვის.

— ჩავყვები დ ამოვყვები, რა იყო, რა გეტაკათ? მთელი ქალაქი ქუჩაშია... რო იცოდე, ამ სახლში უფრო საშიშია, ვიდრე ზემელზე! — უკან გავეკიდე მე.

ბაბუას დედის სისინი არ გაუგონია. გაფრატუნდა თავის ოთახში.

— რა აიტეხა? — წაილაპარაკა მამამ.

მე დედას დავდევდი კუდში, ფინიასავით.

— წავყვები რა!

— გაათავეთ ახლა, — თქვა მამამ. — წაყვები, მიხვალთ იმ ლეოსთან თუ ვინ ჯანდაბაა და დაურეკავთ დედაშენს...

დედამ თავი გააქნია.

— მე ბოლო ვარ... ბოლო ვარ ამ სახლში... რა სისულელეა ოთხმოცი წლის კაცის ბოდიალი.

– დაამთავრე ახლა, – წაიბურტყუნა მამამ. – რა უჭირს? წაყვება... გზაში მაინც არ წაიქცევა. ყოველდღე დავდივარ და არ გიჟდები... ესეც წავიდეს, ახლოა, იქ ხო არ არი, ნუცუბიძეზე.

დედამ თავი გააქნია და ძალიან გაბრაზებული გავიდა ოთახიდან.

მამამ ჩაიცინა და ტელევიზორი ჩართო.

ჯერ გადაცემა არ იყო, ეკრანი ციმციმებდა და გარეთ ისევ ისროდნენ. რაღაცნაირად მოისმოდა, თითქოს სხვაგან იყო და თან გვერდით. თვალებს რომ დახუჭავდი, შეგეძლო მთელი ორთაბრძოლები წარმოგედგინა – ვინ ვის ესროდა, საიდან და როგორ. რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი არ იქნებოდა, მაგრამ რახან სროლა ისეთი იყო, რომ ერთდროულად სამი-ოთხი კაცი თუ უშვებდა ჯერს და არა ათასი. ამიტომაც შეგეძლო გეფიქრა, რომ ვთქვათ და ერთი მეომარი ქაშვეთის ჩასახვევში ხის ძირას ჩაწოლილა, მეორე კი მთავრობის სახლთან მაღლა ქუჩაზე ეფარება კედელს, ერთმანეთს ესვრიან. გაისვრიან, ოდნავ შეინაცვლებენ ადგილს და ისევ დააყრიან ერთმანეთს. ამიტომაც ვამბობ, წარმოდგენა შეიძლებოდა-მეთქი. ღამეში, სიცივეში, მთვარის შუქზე: გადამრბენ-გადმომრბენი მებრძოლები, რომლებიც სინამდვილეში მებრძოლები არც არიან... ვიღაცას თუ ნერვები უმტყუნებდა, რომელიღაც ფანჯრიდან ახლა ტყვიამფრქვევს აამუშავებდა.

მერე და მერე სულ ვფიქრობდი, რას გავდა ეს ომი – არც მანამდე, არც მერე მსგავსი არ მინახავს. მანამდე უბრალოდ სროლები იყო, მერე კი იმდენი ომი გამოვიდა, ვერც დაითვლი, თუმცა ასეთი აღარცერთი არ ყოფილა. ყველაზე მეტად ეს ომი საკვირაო აბზრობას ჰგავდა, ვთქვათ, რომელიმე გერმანულ ქალაქში, პატარა მოედანზე, სადაც გლეხებს ბოსტნეული და ხილი ჩამოუტანიათ, მოედნიდან ჩამავალ ქუჩებზე კი სუვენირებისა და სხვა წვრილმანების გამყიდვლები ჩამწკრივებულან.

პირველად რომ ვნახე ასეთი ბაზრობა, ზუსტად ჩვენი ომი გამხსენდა. გარეგნულად მაინც ზუსტად ასეთი იყო: ერთ ფართო გამზირსა და მისგან ჩამავალ წვრილ ქუჩებზე მიმდინარეობდა. იმათ იქეთ კი ომი ნამდვილად არ იყო, თუ ვიღაცეებს რამე არ მოუხდებოდათ ერთმანეთში. ზუსტდად ისე, როგორც იმ საკვირაო ბაზრობაზე: სხვაგანაც ხომ იყიდი კომბოსტოს? მაგრამ მოედანზე ყველაზე მეტი იყიდება. თანაც, ეს ისეთი ომი იყო, რომ მგონი მოსეირე მეტი ჰყავდა, ვიდრე მონაწილე. აკი მოსეირეები ბაზრობაზეც უამრავია ხოლმე.

გამზირის ერთ ბოლოს სქელი თოკი იყო გაბმული: ჩვენი ქუჩიდან დაბლა რომ დაუყვებოდი, ზუსტად იქ. მგონი ეს ერთადერთი ომი იყო ასე, თოკით დასაზღვრული. თოკთან კი ადამიანები გამწკრივებულიყვნენ და მსჯელობდნენ. თუ ძალიან გაინტერესებდა, თოკსიქეთ გადახვიდოდი და გამზირს

შეუყვებოდი, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა, ტყვია მოგხვედროდა. ტყვია ალბათ თოკსაქეთაც არ კარგავდა ძალას, მაგრამ თოკსაქეთ თითქოს მშვიდობა იყო. იმ ომში ოთხმოცზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ჰოდა, რაღა ბაზრობა, ადამიანები იხოცებოდნენ. მაშინ მიჩვეულები არ ვიყავით ტყვიით სიკვდილს, უფრო სწორად, გადავიწყებული გვქონდა და ტყვიებისა დიდადაც არ გვეშინოდა, ამ ომის შემდეგ კი სიკვდილის შიში დაბრუნდა. მე დამიბრუნდა და სხვების კი არ ვიცი.

სიკვდილის ბავშვობაში მეშინოდა და მერე კი ეს შიში სადღაც გაიპარა. მგონი, თოთხმეტი წლის რომ ხდები, ანდა თხუთმეტის, ახლა ზუსტად აღარ ვიცი, სიკვდილის შიში მიიპარება, ამას ბრაზი ამარცხებს, რადგან გგონია, რომ თუ რამე მოხდა, იქეთ მოკლავ ვიღაცას. მანამდე კიდევ, სანამ ბავშვი ხარ და პირველ სიკვდილს შეეყრები, გგონია, რომ სიკვდილი მტკივნეულია.

ომი რომ დამთავრდა და მთელი ქალაქი გამზირზე დააბოტებდა ნანგრევების და ნატყვიარების სანახავად, სასტუმროს ბოძზე სულ ერთიბეწო ქაღალდი ვნახე. იმ ბოძზე ყველგან ნატყვიარები იყო და სწორედ იმ ნატყვიარებს შორის ვიღაცას ქაღალდი მიეწებებინა: ამ ადგილას დაიღუპა ცხრამეტი წლის გვარდიელი დათო მაისურაძე. ზუსტად ასე ეწერა. საშინელი წარწერა იყო და ვერც ამოიცნობდი, ქალს დაეწერა თუ კაცს. მგონი ომის დროს ქალს და კაცს ვეღარც არჩევ. ძველათ არჩევდნენ, ახლა კიდევ ვეღარ. ძველათ ერთი ამბავი იყო, ტროაში, ელენეს გულისთვის, ახლა კიდევ, ის ელენე რომ იყოს, მგონი თვითონ დაიწყებდა სროლას. სნაიპერი იქნებოდა. ამბობენ, ქალები კარგი სნაიპერები არიანო.

ნაომარ გამზირზე რომ დავბოდიალობდით, გადამწვარ შენობებს შორის ხალხი სულ ნატყვიარებზე ლაპარაკობდა. ვიღაც ჭკვიანები იმასაც კი ზომავდნენ, საიდან საით მოფრინავდა ტყვიები, თუმცა ეს ნამდვილად აღარ მიკვირდა, რაკი თავადაც მსგავს გამოკვლევაში გახლდით ჩაფლული. ოღონდაც ეს მერე იყო, ნატყვიარების ცქერა კი მართლა შემაძრწუნებელი გახლდათ, თუმცა ისიც კი ვიფიქრე, რომ ნატყვიარები ის პატიოსნად გარდაცლილი ტყვიებია, ადამიანებს რომ ასცდნენ და საშიშნი სულაც არ არიან. საბრალო გვარდიელი კი ალბათ ამ ბოძთან თუ იყო ჩასაფრებული და ის უნამუსო ტყვია მოხვდა, სიმძიმე არც თავში რომ აქვს და არც ბოლოში. ოტელ მარიოტის მესამე ბოძი: წლებია იმ ადგილას არ გამივლია. მესამე მარცხნიდან. მაგრამ ეს იმ დილას იყო, როცა ომი დამთავრდა და გამზირის კიდეზე გაბმული თოკი ჩაჭრეს.

მანამდე, კიდევ რამდენიმე დღე რჩებოდა.

© ალექსანდრე ფლიერი

МАРШРУТ #347

Они стояли на остановке и ждали нерасторопную маршрутку номер 347. Впрочем, нет, не так. Не было “их”. Был он, обычный молодой оболтус, заканчивавший университет. И была она, учившаяся в частном колледже и уже не мечтавшая о карьере. Он ехал к другу, она домой. Обычные молодые люди. Даже имена у них были обычные. Сами знаете – обычнее не бывает.

Она махнула рукой внезапно появившейся маршрутке. Он сделал то же самое. Старый, желтый от старости “мерседес”, заскрипев колодками и нарушив сразу три правила дорожного движения, остановился. Она вошла первой. Затем он. Мест было мало и они, не глядя друг на друга, сели рядом, спиной к водителю.

Оба хмурились. Погода, слякоть, запах гниющей палой листвы, нудно моросившие облака, конец хлопотной осени – конец года, список несбывшихся надежд. И надо же было Нугзару Микеладзе сесть в эту же маршрутку несколькими кварталами раньше? Кто вселился в него – радостный дьявол или озлобленный и циничный амур без стандартного лука с колчаном? Но так или иначе все трое оказались в одной машине. Он и она сидели рядом, максимально отодвинувшись друг от друга, равнодушно глядя в разные стороны. А Нугзар Микеладзе, 76-летний пенсионер, профессиональный

тамада и игрок в нарды посмотрел на них, потом в окно, на пробегавшие в разных направлениях машины, прохожих и обрубки деревьев. Осенняя слякоть почему-то напомнила ему пахучую весну его молодости. Он резко вдохнул спертый воздух маршрутки своим распухшим носом цвета старого “саперави”, снова повернулся к “достойным представителям молодежи” (чуть не добавил, “присутствующим за нашим столом”) и, совершенно внезапно для самого себя, мягко, но громко сказал:

– Ну нельзя же так!

Несколько пассажирова удивленно на него посмотрели. Парень и девушка тоже. Он явно обращался к ним обоим. Оба моргнули, девушка поспешно отвернулась, а парень продолжал глазеть на пенсионера-тамаду-игрока.

– Так нельзя! – уже более уверенно и все так же укоризненно повторил Нугзар Микеладзе.

– Извините… – удивленно сказал парень.

– Сидите тут, напротив старика и даже не смотрите друг на друга. Как будто чужие!

– Кто?..

– Тоже мне, “кто”! – передразнил парня Нугзар (или озлобленный амур в его облике), – Ты и эта красавица! Вместе остановили маршрутку, вместе зашли, вместе сели, отодвинулись друг от друга и сидите как незнакомые.

– Я тоже обратила на это внимание! – радостно пискнула очень полная женщина в коричневом нафталиновом плаще и с места в карьер принялась рассказывать соседке о том, как ее дочка поссорилась с зятем и что из этого вышло.

– Мы незнакомы, батоно! – впервые подала голос девушка. Бархатный такой голос, чуть низковатый. Парень обернулся и впервые посмотрел на нее. Она покраснела и снова повернулась к окну.

– Дочка, ты из такой приличной семьи, даже лгать не умеешь – покраснела вся, – мягко укорил ее Нугзар.

Она набрала воздух для достойного ответа, но Нугзар ее опередил:

– Поссорились из-за какой-то глупости и теперь дуетесь друг на друга. – и он огляделся вокруг в поисках поддержки.

Солидный молодой человек в строгом костюме кашлянул и демонстративно отвернулся в сторону. “Психи”, – подумал он. – “Вокруг одни психи”. Но большинство пассажиров активно поддержали Нугзара:

– Да, так оно и бывает, ссорятся из-за глупостей…

– Молодежь такая пошла, даже врать не умеет – краснеет.

– Ну и хорошо, что краснеет. Мой сын и этого не может.

– А правда, какая красивая пара.

– Вся жизнь впереди, еще помирятся.

– …И пожалеют об этом – цинично добавил кто-то.

Глас божий был гласом вопиющего в пустыне – тип лет сорока с небольшим штофом вина в руках сказал:

– А может, они и правда незнакомы?

Но сказал он это так тихо, что его никто не услышал.

Парень с девушкой ошеломленно молчали.

– Ну скажите, из-за чего вы поссорились? Молчите? Да вы уже и не помните – все так же мягко продолжал он. – Возьмитесь за руки и скажите старику “спасибо”.

Парень осторожно и послушно, словно зомби, протянул девушке руку, но она резко повернулась к водителю:

– Остановите! Что здесь происходит?!

Она снова ошиблась. Ей не надо было доставать кошелек. Потому что тут даже водитель – здоровяк-мегрел с красным носом, подключился к дискуссии:

– Ти что? Пуст он платит, ва!

Девушка изумленно оглянулась и беспомощно умолкла. Затем повернулась к двери и легко выскочила в холодную слякоть из остановившейся уже маршрутки.

–Иди за ней! Бистро! –приказал мегрел парню. –Вавачкимицодва, ти что, рачинец?

Нугзар, ласково улыбаясь, повторил:

–Ну иди за ней, чего ты ждешь? Не бросишь же ее тут одну?

Наконец-то парень понял, что лучше не спорить. “На другой маршрутке поеду”, подумал он и тоже вышел. Развалюха медленно тронулась с места. Лица большинства пассажиров были повернуты в их сторону.

Улица пуста. Ни людей, ни машин. Они стояли в нескольких метрах друг от друга. Откуда взялся ветер? Почему ее шарф сорвался и полетел на парня? Почему он, такой неуклюжий и молчаливый в жизни, вдруг нашел, что сказать? Единственное, что их могло рассмешить и сблизить..

–Твой шарф тоже в сговоре с ними?

Через пару минут они уже болтали без остановки, вспоминая старика, полную женщину, водителя, всю эту нелепую ситуацию. Хохотали они даже больше, чем ситуация того заслуживала – чтобы избавиться от неловкости. Они еще ничего не знали друг о друге. Не дождавшись маршрутки, пошли пешком. И говорили, говорили, говорили. Сами знаете, как это бывает.

Через год они поженились.

Через пять лет парень встретил на улице Нугзара Микеладзе. Он не хотел убивать тамаду. Просто старик был слишком слаб и не выдержал последнего удара пивной кружкой по голове. Нугзару не повезло. А парню повезло лишь отчасти: его адвокат смог найти свидетелей знакомства шестилетней давности и судья, изучивший все обстоятельства и мотивы преступления, вынес очень мягкий приговор: всего три года тюремного заключения. Условно.

Дело о разводе слушалось параллельно.



© ალექსანდრე კლიმჩუკი

© Profile

ჭიქა ღვინო

ალან ე. მილნი*

...კარგ დღეში კი ჩავვარდი, ღმერთმანი! ახლა რა გინდა რო ქნა?..

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

— ერთი იმ უმთავრეს პრინციპთაგანი, მე რომ სკოტლენდ-იარდში შევითვისე, — გულდინჯად წარმოთქვა პოლიციის უფროსმა ინსპექტორმა, — მეტად მარტივია: დანაშაულის გარეგანი მხარე სავალდებულო არაა ყოველთვის მხოლოდ მაცდური იყოს — ანუ, ბოროტმოქმედება შესაძლოა მართლაც ისე მომხდარიყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, ხოლო პირ-დაპირი, თუნდაც რომ მეტისმეტად პირდაპირი სამხილი უცილობელ ინსცენირებად არ უნდა მივიჩნიოთ... მიმიხვდით?

ღვინო დაისხა და ბოთლი აქეთ გადმომაწოდა.

— რაღაც ეჭვი მაქვს, რომ მთლად კარგად და ბოლომდე ვერა, — მივუგე იმ იმედით, იქნებ და რაიმე ამბის მოსაყოლად წავაქეზო-მეთქი.

საქმე ისაა, მე დეტექტიურ მოთხრობებს ვაცხობ და თუ ჩემი სახელი არ გეცნაურებათ, ეტყობა ამ სახის ლიტერატურას საერთოდ არ სწყალობთ. ყველა სხვას რომ თავი დავანებოთ, მოვიხსენიებ თუნდაც ჩემს

* იქნებ ქართველმა მკითხველმა არც კი იცოდეს, რომ დეტექტიური მოთხრობების პოპულარული ავტორი, ელიგზანდერ ა. მილნი ივივე ყველა უცხოელი ბავშვისათვის უსაყვარლესი წიგნის — "ვინი პუჰის" შემქმნელი — ალან ე. მილნია...

ორ, განსაკუთრებით გახმაურებულ ნაწარმოებს: "მკვლელობა შავბნელ ხიდზე" და "გადამხმარი ასკილის საიდუმლო"...

სწორედ ამით თუ აიხსნება პოლიციის უფროსი ინსპექტორის, ფრედრიკ მორტიმერის დიდად გულისხმიერი დამოკიდებულება ჩემს მიმართ და ასევე, ჩემი – მისდამი. თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს და ბოლოს წესად დავდეთ, თვეში ერთი-ორჯერ მაინც გვესადილა ერთად. სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე სხვადასხვა შემთხვევას საკუთარი საგამომძიებლო საქმიანობიდან, ჩემისთანა გულისყურიანი და ამასთანავე, საკითხით დაინტერესებული მოსაუბრე კი ალბათ, არც არასოდეს ჰყოლია.

ოღონდ დღეს მაინც მეტისმეტი მოგვივიდა...

– რაღაც მთლად კარგად ვერ გაგიგეთ-მეთქი, გავუმეორე ისევ.

– მე თუ მკითხავთ, ხშირად ბოროტმოქმედისათვის დანაშაულის ჩადენის სწორედ უმარტივესი გზაა ყველაზე ხელსაყრელი. იმას არ ვამბობ, თითქოსდა ამ შემთხვევაში დამნაშავეს უცილობლად პრიმიტიული აზროვნება უნდა ჰქონდეს – პირიქით, სწორედ მახვილგონიერი თუ მიხვდება, რომ ამგვარი გადაწყვეტა სწორედ თავისი სიმარტივის გამოა დაუჯერებელი.

მოსაზრება თავისთავად წინააღმდეგობრივი მეჩვენა და ვთხოვე, იქნებ მაგალითი დამისახელოთ-მეთქი.

– აი, ლორდ ჰედინგემს რომ ბოთლი ღვინო მიართვეს დაბადების დღეზე – ეს ამბავი რა, ჯერაც არ მიამბნია თქვენთვის?

– არასოდეს, – მივუგე მე, ღვინო ჩამოვისხი და ბოთლი ინსპექტორს დავუბრუნე; მან კიდე ჭიქა შეივსო და წუთით ჩაფიქრდა.

– ერთხელაც საღამოხანს დაგვირეკეს და გვაცნობეს, ბრუკ-სტრიტზე, ლორდ ჰედინგემის სახლში მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ბრწყინვალების ლაქია – სავარაუდოდ, მოწამლესო. საქმე ინსპექტორ ტოტმენს მიანდეს, სწორედ მისი ხელქვეითი გახლდით მაშინ, პოლიციის ახალბედა სერჟანტი.

ეს ტოტმენი ერთი ენერგიული, მაგრამ ხეპრე ვინმე კი იყო და დიდის თავმოწონებით ატარებდა მოკლედ შეკრეჭილ, წითურა ულვაშს. სიმართლე ითქვას, გამოძიებას სხვებზე ნაკლებ არ უძღვებოდა ხოლმე, თუმცა მეტისმეტად ჯიქურ იცოდა მიდგომა და არათუ სხვის, საკუთარ შეცდომებზეც კი არ სწავლობდა რაიმეს. თანაც ყველაფერს მუდამ ერთი კუთხით აფასებდა: რას გამორჩებოდა ამა თუ იმ საქმიდან ინსპექტორი ტოტმენი საკუთარი კარიერისათვის.

რაღა დაგიმალოთ, გულზე სულაც არ მეხატებოდა ეს ჩემი უფროსი, მაგრამ მისი კეთილგანწყობის შენარჩუნებას ყოველთვის ვცდილობდი;

არც გამჭირვებია — იმდენად დიდი წარმოდგენისა ბრძანდებოდა საკუთარ თავზე, ფიქრად არ გაივლებდა, თუ მოჯადოებული არ გახლდით მისი პიროვნებით. სამსახურშიც ბევრად იოლად წავიწევდი წინ, მაგრამ ეს მელაძუა ტოტმენი გვერდიდან არ მიცილებდა და ერთთავად იმის ცდაში იყო, ჩემი ჭკუა-გონება თავის სახეიროდ გამოეყენებინა. კარგი, გვეყოფა ამაზე, ან რა გასახსენებელია...

იმას გიყვებოდით, ლაქია იატაკზე დაგვხვდა გართხმული, სამზარეულოში. "ტოკაის" საცობამოცლილმა ბოთლმა და გატეხილ ჭიქაში ჩარჩენილმა სითხემ ყველა სხვა მიზეზის ძებნის საბაბიც კი მოგვისპო — კაცი მოეწამლათ.

დავადგინეთ, რომ ღვინო სულ ორი-სამი საათის წინ მიეღოთ, ბოთლს თან მოყვა სერ უილიამ კელსოს სავიზიტო ბარათი, რომლის მეორე მხარეზეც დაახლოებით ასეთი შინაარსის მილოცვა დაებეჭდათ: "მიიღე ჩემი ლოცვა-კურთხევა, ტომი — და მასთან ერთად ეს მცირედი ძღვენიც". ახლა ზუსტად კი აღარ მახსოვს, რაღაც ამდაგვარი. იმას მივაქციე ოღონდ ყურადღება, რომ მილოცვის ტექსტი, საყოველთაოდ მიღებული ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ხელით არ იყო წარწერილი.

როგორც გამოირკვა, სწორედ იმ საღამოს უფალი ლორდი თურმე საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნად პატარა ვახშმის მოწყობას ეპირებოდა ახლობლების ვიწრო წრეში; სერ უილიამ კელსო, მისი ძირძველი მეგობარი და, იმავდროულად, ჰედინგემთა საგვარეულოსთან დამოყვრებული პირი (ლორდის მეუღლე სერ უილიამის ღვიძლი და გახლდათ) საფიქრებელია, თავადაც დაესწრებოდა ამ საზეიმო თავყრილობას. შუახნის კაცი იყო, უცოლშვილო; ამბობდნენ, მეტად სათნო ძმა და დიდად მოსიყვარულე ბიძა თავის დისწულთა მიმართო. მოკლედ, საათის ექვსზე ლაქიას მისი ბრწყინვალებისათვის მიურთმევია სერ უილიამ კელსოს გამოგზავნილი ბოთლი და ბარათი. ლორდ ჰედინგემს ბარათი აუღია და უთქვამს: "აი, გულისხმიერი მეგობარი! ძალიან კარგი, პერკინს — მაგ ღვინოსაც საღამოს გამოიტანთ სუფრაზე".

"ბატონი ბრძანდებითო" — უპასუხნია ლაქიას და ბოთლი გაუტანია, სავიზიტო ბარათი კი მაგიდაზე დარჩა.

მერე რაც მოხდა, ამის დასადგენად განა რა ტვინის ჭყლეტა იყო საჭირო: პერკინსი, ეტყობა, ჰედინგემთა მონოგრამიან გრაფინში აპირებდა სასმელის გადაღებას, ბოთლიც გახსნა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო, ჭიქა ღვინო დააჭაშნიკა და... იქვე მიაბარა სული უფალს.

— იღბალი ჰქონია, მე და ჩემმა ღმერთმა! — წამოვიძახე, — ლორდ ჰედინგემსა და მის ჯალაბს ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა...

— ნამდვილად, — დამეთანხმა მორტიმერი, თან ცარიელ ჭიქას აწვალებდა ხელში. — ლაბორატორიული ანალიზის შედეგად ღვინოში

ციანიდმჟავის ისეთი დოზა აღმოჩნდა, სტუმარ-მასპინძელს ერთიანად მოუთავებდა ხელს.

როგორც წესია, ინსპექტორმა დაკითხა დიდი თუ პატარა, სერ უილიამისა და ლორდ ჰედინგემის ჩათვლით; მე კი რიგით რობერტსთან ერთად (პერსპექტიული ყმაწვილია, უნდა გითხრათ, ერთი სიამოვნებაა მასთან მუშაობა) ახლო-მახლო მდებარე უკლებლივ ყველა აფთიაქი და ღვინის სავაჭრო დავიარე.

კვირის თავზე თუ რამ შეგვეძლო უეჭვოდ განგვეცხადებინა, სულ ეს იყო: მკვლელს ხელთ ჰქონდა სერ უილიამ კელსოს სავიზიტო ბარათი — ხოლო არისტოკრატია, მოგეხსენებათ, მათ ასე ჰაიჰარად არავის ურიგებს — და იცოდა, რომ ჯონ რიჩარდ მარვინ პლანტაგენეტ კარლოუს, მეათე თაობის მარკიზ ჰედინგემს, ახლობლები რატომღაც "ტომის" ეძახდნენ. ამ საბაბით ტოტმენმა დაასკვნა, მკვლელი უეჭველად კელსო-ჰედინგემთა ახლო ნათესავ-მეგობრების წრიდან იქნებაო. მე კი კრიჭაში ვედექი და საწინააღმდეგოს ვამტკიცებდი, კერძოდ: ა) სავიზიტო ბარათებს სწორედ რომ გარეშე პირთ ურიგებენ და არა ახლობლებს, გარდა ოფიციალური მიწვევებისა და მაშინაც ეს ქაღალდები ან სადმე ლარნაკში იდება, ან ლანგარზე ჰოლში, საიდანაც ნებისმიერს შეუძლია მათი აწაპნა-მეთქი; ბ) ის ამბავი, რომ ლორდ ჰედინგემს შინაურები სწორედ "ტომის" უხმობდნენ, ვისთვის რა საიდუმლო იქნებოდა — მაღალი წრის წარმომადგენელთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ ქრონიკებში ჟურნალ-გაზეთები ხელიდან არ უშვებენ ასეთ დეტალებს. მაგრამ ყველაზე დამაჯერებელ მტკიცებად მაინც ის მიმაჩნდა, რომ მკვლელი ბაიბურში არ იყო, თუ სერ უილიამ კელსო თავად აპირებდა ვახშამზე დასწრებას: ასეთ დროს წარმოუდგენელია ნაბოძები ბოთლი ღვინო არ ეხსენებინათ — სუფრაზე მაინც; ხოლო როცა ის უარზე დადგებოდა — არავითარი ღვინო მე არ გამომიგზავნიაო, მაშინ ყველა იეჭვებდა რაღაცას. სხვათა შორის, სერ უილიამიცა და ლორდ ჰედინგემიც ერთხმად გვიდასტურებდნენ, ერთურთის დაბადების დღეებს მუდამ ერთად აღვნიშნავთ ხოლმე და ეს ამბავი ყველა ჩვენს ახლობელს კარგად მოეხსენებაო.

საბოლოოდ, მკვლელობის ასეთი ვერსია წარვადგინეთ: ვიღაცას საკმარისად სძულდა ლორდ ჰედინგემი, რომ წინასწარ კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი მკვლელობა ჩაედინა; ბოროტმოქმედმა იცოდა — სხვა ახლობლების მსგავსად, სერ უილიამიც ლორდს შინაურულად "ტომის" ეძახდა და იმის უფლებასაც მისცემდა საკუთარ თავს, ერთი ბოთლი იშვიათი ღვინო გაეგზავნა მისთვის დაბადების დღის აღსანიშნავად. არ იცოდა მხოლოდ, რომ სერ უილიამი თავად ესტუმრებოდა ვახშმად მის ბრწყინვალებას — ესე იგი, მკვლელი ლორდ ჰედინგემის სახლეურებში არ უნდა გვეძია; ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მას უნდა შესძლებოდა სერ უილიამის სავიზიტო ბარათი მოეგდო ხელში.

ერთი პიროვნება მართლაც სავსებით ესადაგებოდა ყველა ამ მონაცემს. დაიცა, რა ერქვა? მერიველი... მენტოუნი... თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჰო, მერტონი ერქვა, მერტონი! ექვსი თვე პირისფარეშად ემუშავა ლორდთან, ხელმრუდობაზე მიეტანათ ეჭვი და ისე დაითხოვეს, დახასიათებაც არ მიუციათ.

ბუნებრივია, სწორედ ის ამოვიღეთ მიზანში, ორი კვირა ვეძებდით მის გზა-კვალს და როცა მივაგენით, იმისთანა ალიბი აღმოაჩნდა, უკეთესი ნუ გინდა, ქვას გახეთქავდა... — პოლიციის უფროსმა ინსპექტორმა ისე ასწია ხელი, ძველ დროში ტრანსპორტს რომ აჩერებდნენ ხოლმე, — მეტყვით ალბათ, რაც მეტად საიმედოა ალიბი, მით უფრო საეჭვოათ, ოღონდ აქ ამგვარი რამ გამორიცხული იყო: მერტონი ბოლო ორი თვის მანძილზე ციხეში მჯდარა სამსჯავროს მოლოდინში და რა გგონიათ, რისთვის ასამართლებდნენ?! განზრახ მკვლელობა ედებოდა ბრალად — კაცი მოეწამლა...

— რა არ ხდება ქვეყანაზე! — პათეტიკურად წამოვიძახე და დროით ვისარგებლე, მოსაუბრისათვის ჭიქა შემევსო.

— დიახ, ბატონო ჩემო, — გააგრძელა მან მცირე პაუზის მერე, — წარმოიდგინეთ ერთი, გვეგონა ხელში გვყავდა და იმაზე არც დავფიქრებულვართ, საერთოდ თუ ჰქონდა ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შესაძლებლობა! ჯერ იყო და ვამტკიცეთ, მის მეტი ამ საზარელი საქმის ჩამდენი არავინაა-თქო და გამოირკვა, სწორედ მერტონი რომ ვერ იქნებოდა მკვლელი! ვერ იყო კარგი ამბავი — რაღა დაგიმალოთ, მიკვირს, უფროსობამ თავზე რომ არ გადაგვახია ის ჩვენი პატაკი...

ტოტმენს ვეუბნები — მოდით, ორი-სამი დღე შევიცადოთ, თითოეულმა ჩვენ-ჩვენთვის ავწონ-დავწონოთ შექმნილი მდგომარეობა, თუკი რამ აზრიანი მოგვივა თავში, ერთად განვსაჯოთ და მერე თავიდან დავიწყოთ ძიება-მეთქი. როგორც სჩვეოდა ხოლმე, ეს თავისი ნალოლიავები ულვაშები მოიწიწკნა და გულმოწყალედ გაიღიმა: "რაო, ძლივს საქმე გამიხსნია და ახლა გინდა თავიდან დამაწყებინო ყველაფერი?!"

საერთოდ, ასე იცოდა: თუკი ერთზელ რაიმე მოსაზრებას მომიწონებდა, მერე თავისად ასაღებდა და აღარც იმას დაგიდევდათ, მართალი არმოვჩნდებოდი თუ გუმანი გამიცუდდებოდა — ფეხს ვეღარ მოაცვლევინებდით ამოჩემებული გზიდან.

"მერტონის ამბავი ჩემთვის გარკვეულია — მაგან ლორდ ჰედინგემის მკვლელობა რომ ჩაიფიქრა, ეტყობა ჯერ იმ ვიღაცასთან ჰქონდა ანგარიში გასასწორებელი, და საწამლავი მასზე გამოსცადა; რომ ეგონა, ხახვივით შემრჩაო, მოწამლულღვინიანი ბოთლი გაამზადა, მაგრამ ცოდვებმა უწია და ჩაავლეს. ბოთლი კი ცოლმა ან ვინმე სხვამ..."

"...ჰედინგემებისას მიიტანა წარწერით: საწამლავია – მიირთვით შობადღეს..." – გავაწყვეტინე მე, რადგან ამ ზღვარდაუდებელ თვითკმაყოფილებას უკვე მოთმინებიდან გამოვყავდი.

"ერთს გეტყვით, მორტიმერ, – მშვიდად მითხრა ჩემმა უფროსმა, – ნუ ცდილობთ იმაზე ხისთავა გამოჩნდეთ, ვიდრე სინამდვილეში ხართ და თავსაც ნუ იგდებთ, თორემ სამსახურეობრივი უსიამოვნებები არ აგცდებათ".

რაღა დამრჩენოდა, მორჩილებისა და თავმდაბლობის განსახიერებად ვიქეცი, ბოდიშიც მოვუხადე და ისიც შევაპარე, ჩემთვის დიდი სკოლაა თქვენთან მუშაობა-მეთქი. იქვე მოუბრუნდა გული, მხარზე ხელი მომითათუნა და მეუბნება: "წადით სოფელში, სადაც მერტონი ცხოვრობდა – დამიდგინეთ, ვინ გადაუგზავნა ის ოხერი ბოთლი ჰედინგემებს; მერე ერთი კარგი, აზრიანი ანგარიში წარმომიდგინეთ პარასკევ დილას. მე მანამ ლეიზერჰედს გავემგზავრები, ხუთშაბათს ჩემი დაბადების დღეა და გული მიგრძნობს, როგორღაც გამიმართლებს".

ლეიზერჰედი ის ადგილია, მერტონმა რომ კიდე ვიღაცა მოწამლა; თავის დაბადების დღეს კი ინსპექტორი ტოტმენი უკვე მესამედ მიხსენებდა...

ისე ამეშალა ნერვები, ავტობუსს დავაჯექი და ჰემპსტედში წავედი დასამშვიდებლად. იქაური ტბორეების პირზე დავსეირნობდი და რაც დრო გადიოდა, ტოტმენის საზრისი სულ უფრო სულელური მეჩვენებოდა. ის კი არა და ვრწმუნდებოდი, რომ ბოროტმოქმედმა, ასე ვთქვათ, მის მიერვე წინასწარ გაკვალულ ბილიკზე გვიბიძგა და ახლა გვაიძულებდა, ყოვლად მცდარი, სწორედ მისთვის სახეირო მიმართულებით გვევლო.

მერე მერხზე ჩამოვჯექი პარკში, ჩიბუხი გავაწყვე და გულში ვფიქრობ: "კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ მკვლელს სურდა ის გვერწმუნა, რაც ჩვენ მართლაც ვირწმუნეთ – გამოდის, ისე მარტივად არ მიჰყავდა თამაში, თავიდანვე იოლად ამოგვეცნო ყველა სვლა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი სწორედ ისაა, რაც თავიდანვე საგულისხმოა და არა ის, რისკენაც ბოროტმოქმედი მიგვანიშნებდა. ახლა, ფრედი ჩემო, თავიდან ჩამოყვები და, გივარგა-არგივარგა, მაინც ყველაფერს საკუთარი ჭკუით განსჯი".

მოგეცათ ლხენა – იმწამს ვიაზრე, რომ სწორედაც პერკინსის მოკვლა სურდათ! ისღა მაკვირვებდა, მანამდე როგორ არ მოგვაფიქრდა ასეთი ვერსიის შესაძლებლობა: აბა რომელი ლაქია იტყოდა უარს და ამ გადასხმა-გადმოსხმაში ნაბოძებ ღვინოს არ მოწრუპავდა?! ასე ვთქვათ, მკვლელს შეეძლო იმედიანად ყოფილიყო – ამ ძღვენს პერკინსი ვერ გადაურჩებოდა... ოღონდ ზოგი რამ ჯერ კიდევ დასადგენი მქონდა: ერთიც ვნახოთ, პერკინსი გამონაკლისი ყოფილიყო – ასე ვთქვათ, სულაც არ

გახლდათ ბატონისეული ღვინოების დაჭაშნიკების მოყვარული? თუნდ ყოფილიყო კიდეც, ხომ შეიძლება სწორედ იმ საღამოს რაღაც უქეიფოდ ეგრძნო თავი და ის ავბედითი ჭიქა ღვინოც მერმისისთვის შემოენახა?

ეგეცაა, ცოტა არ იყოს, ალალბედზე შეგდებული საქმე გამოდიოდა: თუ მხოლოდ პერკინსის მოკვლას აპირებდნენ და ლორდ ჰედინგემის ოჯახს არას ერჩოდნენ, ვინ დადებდა თავს, რომ მაინცა და მაინც სწორედ ლაქია გახდებოდა პირველი მსხვერპლი?

...და უცებ თითქოს თავში დამკრა — არაფერი საეჭვო და საორჭოფო აქ არ იქნებოდა, თუკი: ა) მკვლელს დანამდვილებით ეცოდინებოდა, რა ზნეც სჭირდა ცხონებულს; ბ) თუ ჩანაფიქრი გაუცუდდებოდა და გაუხსნელ ბოთლს შემოიტანდნენ სუფრაზე, უცილობლად თვითონაც შეესწრებოდა ამ ამბავს და თანამეინახეებს საკუთარ თავზე ეჭვის მიუტანლად ააცილებდა საფრთხეს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ან თავად ოჯახის წევრი, ანდა მის ბრწყინვალებასთან მეტად დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო.

სწორედ ასეთი ვინმე გახლდათ სერ უილიამ კელსო.ქვეყანაზე მას ერთადერთს შეეძლო ამდგარიყო და ეთქვა: "არ გაეკაროთ ამ ბოთლს — არავითარი ღვინო მე არ გამომიგზავნია! ეს ან უგერგილო ხუმრობაა, ან იქნებ რაიმე უარესიც..."

კაცმა რომ თქვას, რატომ თავიდანვე არ ავიღეთ მასზე ეჭვი? საქმეც ისაა, ცხადზე-ცხადი გვეჩვენებოდა, თითქოს მიზანში ლორდ ჰედინგემი, ან სულაც მთელი მისი ოჯახი ჰყავდათ ამოღებული; ამ შემთხვევაში სერ უილიამი ლამის ოჯახის წევრად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა და მისი რეპუტაცია კეისრის მეუღლეზე მეტად ეჭვმიუტანელი ჩანდა. მაგრამ მთავარი მიზეზი ალბათ მაინც ის იყო, შეუძლებლად მიგვაჩნდა, მკვლელს მოწამლული ძღვენისთვის საკუთარი სავიზიტო ბარათიც ზედ დაერთო. როგორღაც მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ საზრიანი კაცის მხრივ სწორედ ყველაზე უფრო დაუჯერებელი ნაბიჯის გადადგმაა მოსალოდნელი ყოველგვარი წინასწარმოფიქრებული ბოროტების ჩასადენად.

ახლა ერთიღა დამრჩენოდა — მკვლელობის მოტივის დადგენა.

თავს სიამოვნებას როგორ მოვაკლებდი და ლორდ ჰედინგემის სანდომიან მნეს სწორედ ნაშუადღევის ჩაისსმის დროს მივადექი. დამავიწყდა მეთქვა, მე და იმ ქალბატონმა ჯერ კიდევ მაშინ დავადგით ერთმანეთს თვალი, როცა ინსპექტორ ტოტმენთან ერთად პირველად გამოვცხადდი მისი ბრწყინვალების სახლში — ცოდვა გამხელილი ჯობია და ახალგაზრდობაში გვარიანი მექალთანე გახლდით...

მოკლედ, იმ კეთილ ქალბატონს რომ დავცილდი, ორი რამ ვიცოდი დანამდვილებით: პერკინსის მიმართ მაინცა და მაინც არც ზედა სართულზე, სახლის პატრონები ყოფილან კეთილად განწყობილნი, და არც

ქვევით, მსახურები იკლავდნენ მისთვის თავს. "ნეტა საერთოდ როგორ იტანდნენ მაგ მაიმახს! ლედი ჰედინგემი კი, ღმერთმა კეთილად გვიმყოფოს, მთლად გამოიცვალა ამ ბოლო დროს..."

მაინც როგორ-მეთქი, ჩავეკითხე.

"გამოხალისდა. აი, როგორც ქალიშვილობაში მახსოვს, იმას დაემსგავსა – გესმით ალბათ, რისი თქმაც მსურს, მორტიმერ!.."

მესმოდა, როგორ არ მესმოდა – ეს ამბავი სწორედ რომ ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. გუმანმა გამიმართლა, სწორ გზას დავდგომივარ: შანტაჟი.

მერე და რა?

განა რა სარგებელი მქონდა ამ ჩემი "ღრმად ფსიქოლოგიური" დასკვნებიდან? არავითარი. არც ერთი საბუთიანი მტკიცება. აი, სერ უილიამ კელსოს ერთი პირდაპირი სამხილი მაინც რომ დაეტოვებინა ჩემთვის, მაშინ კი ირწმუნებდნენ ნაფიცი მსაჯულები, თორემ ასე მკვლელობის მთელი ეს ვერსია ქვიშაზე ნაგებს გავდა. თუმცა... ერთი სამხილი მაინც მქონდა: სავიზიტო ბარათი; ოღონდ ბედის დაცინვაც ეგ იყო – სწორედ ჩემი ეს ერთადერთი სამხილი იმავე დროს სერ უილიამის სრულ უდანაშაულობაზეც მიანიშნებდა.

რაც მე ინსპექტორ ტოტმენს ვიცნობდი, ყველაფერ ამიდან ქვას-ქვაზე არ დამიტოვებდა.

გვარიანად ცხვირჩამოშვებული, ახლა რიჯენტ-პარკისკენ მიმავალ ავტობუსს დავაჯექი – იქნებ იქ მომსვლოდა თავში რაიმე სასიკეთო. ჰანოვერ-ტერასს რომ გავუყევი, ვხედავ – საპირისპირო მხრიდან ეს ჩვენი რობერტსი მოსეირნობს სტვენა-სტვენით. შენ აქ საიდან-მეთქი, ვეკითხები.

"მოგესალმებით, ჩემო სერჟანტო!" – აშკარად წრეგადასული სერიოზულობით მეპასუხება, თავი კი ისე უჭირავს, ბრალს ვერაფერში დასდებ – უფროს-უმცროსობის არაფერი ეშლება. – "ეს წუთია ჩემს ბავშვობის მეგობარს – პირადად სერ უილიამ კელსოს კამერდინერს ვესაუბრე. ინსპექტორის ღრმა რწმენით, მას მერტონი უნდა სცნობოდა. ასე ვთქვათ, ჩვენში, კამერდინერებში...

ინსპექტორი ტოტმენი თუ ჩამოვიდა-მეთქი, – გავაწყვეტინე ცივად.

რობერტსი წამსვე სმენაზე დადგა და მიცხადებს: "არავითარ შემთხვევაში, სერ! ინსპექტორ ტოტმენის გარდამოსვლა ლეიზერჰედიდან, სარის საგრაფო, მოსალოდნელია არა უადრეს დღესინდელი დღის მიმწუხრისა!"

“ესეც შენი ახალგაზრდა კადრი, — გავიფიქრე. — არავითარი რიდი და პატივისცემა; ეტყვი რამეს ამისთანას და ზურგსუკან სხვასთან გაგამასხრებს...” არადა კარგი ბიჭი იყო, გონებაც უჭრიდა, ყველაფერს ამჩნევდა და თვალმოკრულსაც კი იმახსოვრებდა...

“არ ვიცოდი, სერ უილიამ კელსო სადმე ახლო-მახლოში თუ ცხოვრობდა” — ვეუბნები.

რობერტსმა გზის იქითა მხარეს, გამორჩეული აგებულების შენობაზე მიმითითა: “იმ სახლს ხედავთ? სულ რაღაც ნახევარი საათის წინ იქ სამზარეულოში შეგეძლოთ გენახეთ, ასე ვთქვათ, მოახლეს ვეკურკურებოდი... მისი ჭკუით მერტონი ქალაქია სარის საგრაფოში! ისე, რაც ვერჩი, მართალს კი ამბობს და...”

უცებ ერთი ისეთი გეგმა დავაწყვე, ჭკუათმყოფელი კაცი ახლოსაც არ გაიკარებდა.

“მაშ ასე, ახლა იქ ერთად მივალთ, — ვეუბნები რობერტსს, — სიტყვა მაქვს სახლის პატრონთან სათქმელი; შენს სახელს თუ გაიგონებ, იცოდე, მეორედ დაძახება არ უნდა დამჭირდეს! იქნებადა შენი სტუმრობა როგორმე კიდევ აიტანონ სამზარეულოში, თუ უკვე მეტისმეტად არ მოაბეზრე ყველას თავი”.

“რას ბრძანებთ, ჩემით უდგათ სული! რომ ვემშვიდობებოდი, ლამის იყო, ერთხმად შემომტირეს — ნუ დაგვივიწყებთ, მოგვხედეთ ხოლმეო...”

ჩვენთან, სკოტლენდ-იარდში იტყვიან: ერთხელ მკვლელი სამუდამოდ მკვლელად რჩებაო. იქნებ ამიტომაც გადავწყვიტე, ახალგაზრდა რობერტსი ხმის მიწვდენაზე მყოლოდა — ჩაის სასმელად ხომ არ მივდიოდი სერ უილიამ კელსოს სახლში, პირში უნდა მიმეხალა კაცისთვის, წინასწარგანზრახულ მკვლელობაში გდებთ ბრალს-მეთქი. ეგეცაა, ხომ მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მაგრამ ჩემზე სწორედ იმ კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ვისთვისაც ადამისშვილის მოკვლა უფრო ადვილი მოსანელებელია, ვინემ ტყუილის თქმა.

ჭიშკარს რომ მივადექი, საფულეში დავიწყე ქექვა, სავიზიტო ბარათს ვჩხრეკდი. ბედზე, ერთი ცალი შემომრჩენოდა. ცოტა შელახული კი იყო, მელნის ორი ლაქა აჩნდა ზედ, მაგრამ ახლა მაგას ვინ დაგიდევდათ. ოღონდ რობერტსმა, რომლის თვალსაც არაფერი გამოეპარებოდა, ვითომდა დიდად შეწუხებულმა გადააქნია თავი, აქაოდა არ გეკადრებათო.

მოახლე გოგომ, თითქოს გველოდაო, ზარის ჩამოკვრისთანავე გაგვიღო კარი. ბარათი ხელში მივაჩეჩე და ვუთხარი, სერ უილიამს სთხოვეთ, მიმიღოს-მეთქი. ამ გამოჯეკილმა რობერტსმა კი თვალი უყო და სამზარეულოში ჩამავალ კიბეზე ანიშნა. მოახლემ ჯერ მას გაუღიმა, მერე,

უკარება სახით, მე შემიძღვა მისაღებში. რობერტსი ამ დროს უკვე კიბის თავზე იდგა. ჩემთვისაც ასე ჯობდა, უფრო გულმშვიდად ვიქნებოდი.

სერ უილიამ კელსო დაახლოებით ჩემნაირი აგებულებისა იყო, ცოტა უფრო ჩაფსკვნილი. ერთხანს თითებში ატრიალა ჩემი ბარათი და ბოლოს მკითხა: "მაშ, რით შემიძლია გემსახუროთ? დაბრძანდით, დაბრძანდით". – ზრდილად, კეთილგანწყობითაც კი მელაპარაკებოდა, არავითარი ქედმაღლობა.

"ვგონებ, ჯობია მაინც ფეხზე ვიდგე, სერ უილიამ, – ვეუბნები, – ნებას თუ დამრთავთ, ერთი შეკითხვა მაქვს..."

"ბრძანეთ, ბრძანეთ", – მეუბნება, თუმცა დიდი დაინტერესება არ გამოუჩენია.

"როდის გაიგეთ, პერკინსი რომ ლედი ჰედინგემს ფულს ძალავდა?"

შეკრთა, სავიზიტო ბარათიც თითქოს თითებში ჩაეყინა, მაგრამ ხმა არ გაუღია და ნაკვთიც არ გატოკებია სახეზე.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

"ესაა სულ?" – მეკითხება ცოტა ხნის მერე. გასაკვირი მისი ხმა იყო – ისეთივე მშვიდი, დაბალი.

"და ერთიც კიდევ... საბეჭდი მანქანა თუ გაქვთ სახლში?"

ამოიხრა, ბარათი ნახმარი ქაღალდების კალათში მოისროლა და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ჩემსკენ ზურგშექცევით ფანჯარასთან აისვეტა. ერთხანს იდგა ასე, ჩაფიქრებული, მერე უცებ მოტრიალდა და ჩემდა გასაოცრად, მეტად გულთბილი ღიმილით სავარძელზე მანიშნა:

"მაინც მგონია, დავსხდეთ – ასე აჯობებს".

დავუჯერე.

"როგორ არა, მაქვს საბეჭდი მანქანა და ხანდახან ვბეჭდავ კიდეც ზედ. დარწმუნებული ვარ, სკოტლენდ-იარდში არც თქვენ წერთ ყველაფერს ხელით".

"კი, ასეა". – ვეთანხმები.

"ასევე იქცევა ათასი სხვა და იქნებ ის მკვლელიც, თქვენ რომ დაეძებთ".

"ათასი სხვა, და მათ შორის მკვლელიც", – ისევ ვეთანხმები.

წამსვე დაიჭირა განსხვავება და ისევ გაიღიმა. მე არც იქნებ მითქვამს

და არც ძებნა მიხსენებია. დარწმუნებული გახლდით, მკვლელი უკვე ნაპოვნი მყავდა.

“საქმეც ისაა, — ვეუბნები, — მისალოცი ტექსტი მანქანაზე იყო დაბეჭდილი”.

“ამას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?”

“დიდი არაფერი, თუ არ ჩავთვლით რომ ეზოპესეული ენით გახლდათ შედგენილი”.

“ჩემო კარგო, ეზოპე აქ რაღა შუაშია? როგორც მახსოვს, სრულიად ჩვეულებრივი, ტრაფარეტული მილოცვა იყო, ყველა ასე დაწერდა”.

“ყველა თქვენი წრის წარმომადგენელი, სერ უილიამ, ვინც კი ორივეს გიცნობდათ — სხვა ვერავინ... აი, ხვალ ინსპექტორ ტოტმენის დაბადების დღეა (ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, — გავივლე გუნებაში, — ტვინი წაიღო ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შეხსენებით) და მე რომ ბოთლი ვისკი გავუგზავნო საჩუქრად, რობერტსი — ეს ჩვენი კონსტებლია, ქვევით მელოდება (ხომ მოხერხებულად შევაპარე, მარტო არა ვარ-მეთქი!) — ეს ჩვენი კონსტებლი რობერტსი სულ იოლად გამოიცნობს მილოცვის ტექტს და ასევე ყველა ჩვენიანი იარდში. აი, თქვენ კი, სერ უილიამ, ვერასგზით ვერ გამოიცნობდით!”

ერთხანს მომჩერებოდა, მერე სადღაც ჩემს მიღმა გაექცა მზერა. ერთი გამაგებინა, რა უდევს გუნებაში-მეთქი, გავიფიქრე და უეცრად მესმის: “თქვენ ალბათ, ასე დაწერდით — *დღეგრძელობასა და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, მარად თქვენი ერთგული...*”

არა, მართლა გასაკვირი იყო, ღმერთმანი — თითქოსდა სხვა რამ საზრუნავი არაფერი ჰქონდა, — თურმე მართლა ცდილა გამოეცნო, რა შეიძლებოდა მიმეწერა ჩემი შეფისთვის. არადა, შიგ კაკალ გულში არ მოარტყა?! ეს “მარად თქვენი ერთგული” იმას ნიშნავდა, რომ პირველსავე შეხვედრაზე აუღო ალღო ინსპექტორ ტოტმენისა და მისი უნიათო ხელქვეითის ურთიერთობას...

ეტყობა, სახეზე მეწერა გაოცება და სერ უილიამ კელსომ ჯერ ღიმილი ვერ შეიკავა, მერე აქეთ გადმოვიდა შეტევაზე: “ხედავთ, არც ისე ძნელი ყოფილა! და ის ამბავი, ვიღაცამ ჩემი სავიზიტო ბარათით რომ ისარგებლა, სწორედ ჩემს უდანაშაულობაზე მეტყველებს, ასე არაა?”

“ნაფიც მსაჯულებისათვის შეიძლება ასეც იყოს, — ვეუბნები, — მაგრამ არა ჩემთვის”.

“რას იზამ, იქნებ სხვა დროს დაგარწმუნოთ როგორმე... ახლა რას აპირებთ?”

"რა უნდა ვქნა რა – ხვალ ინსპექტორ ტოტმენს წარვუდგენ ამ ჩემს ვერსიას..."

"სწორედ რომ მოულოდნელი საჩუქარი იქნება დაბადების დღისთვის! ღოგორ ფიქრობთ, გაუხარდება?"

აი, ამაზე კი არაფერი მქონდა პასუხად...

"ისიც საკითხავია, დაგიჯერებთ ვინმე?"

"ე-ე, იცით, სერ უილიამ, აქ ერთი – როგორ გითხრათ – პატარა გარემოებაა გასათვალისწინებელი".

"მაინც?.."

"მოწმედ რომ დაგასახელოთ, ფიცის დადება მოგიწევთ სასამართლოში. არც გამიკვირდება, თუ ასეთ დროს ტყუილის თქმასა და ცრუ ჩვენების მიცემას თქვენისთანა კაცი მკვლელობის აღიარებას არჩევს".

ხმა არ გაუღია.

"საცა სამართალია, ზოგ-ზოგი ცოტა დროზე ადრე რომ გამოეთხოვოს ხოლმე წუთისოფელს, არც ვინაღვლებდი, მაგრამ ეს ისე, ჩვენში ვთქვათ, სერ უილიამ... რა ვქნა, მე ერთი უბირი პოლიციელი ვარ და ჩემს პირად სიმპათია-ანტიპათიებს სათვალავში არავინ ჩააგდებს".

თავი დამიქნია, ისევ ფანჯრისაკენ შებრუნდა და "ნერვული სისტემის სრული გამოფიტვა – ასეთ დასკვნას გააკეთებენო", – წაიბურტყუნა.

როგორ ვთქვა და, მართლაც არ იყო გასაწირი კაცი – გული დამწყდა, მისი სიკვდილი რომ გავიგე: მეორე დილასვე შუბლში უხლია ტყვია...

ფრედ მორტიმერი გაჩუმდა და გამომცდელად შემომაჩერდა.

ვერაფერი დასასრულია-მეთქი, ვეუბნები.

– რის დასასრული, მთელი ამბავი ახლა იწყება: პარასკევ დილით, ჯერ კიდევ სანამ სერ უილიამის სიკვდილის ამბავს შევიტყობდით, ინსპექტორ ტოტმენის კაბინეტში გამოვცხადდი მოხსენებით, ვერ ვნახე და კაციშვილმა არ იცოდა, სად იყო. რა მექნა, კონსტებლი სტაბსი გავიყოლიე და სახლში წავედით მასთან.

ახლა კი მაგრად დადექით, ემანდ სკამიდან არ გადმოვარდეთ... სახლის პატრონმა, რაკი კაკუნზე არავინ გამოეხმაურა, თავისი გასაღებით გააღო ტოტმენის ბინის კარი და ის საცოდავი სამზარეულოში ვნახეთ იატაკზე გაშხლართული – წინა დღის მკვდარი იყო, მაგიდაზე კი ვისკის ერთი

ნაკლული ბოთლი იდგა და ზედ სავიზიტო ბარათი ქონდა შებმული. არა, მაინც ვისი იქნებოდა, როგორ ფიქრობთ? ჩემი, რაღა თქმა უნდა! ზედ კიდე ეს ეწერა: "დღეგრძელობასა და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, მარად თქვენი ერთგული..." და ასე შემდეგ, ხელმოწერითურთ.

ბედი ჩემი, სერ უილიამ კელსოსთან ვიზიტის დროს ის ახალგაზრდა რობერტსიც რომ თან მახლდა; ბედი ჩემი, იმ ბიჭის თვალს რომ არაფერი გამოეპარება ხოლმე და დამიდასტურა კიდეც, სწორედ ეს დათხაპნილი სავიზიტო ბარათი გაატანა მოახლეს სერჟანტმა მორტიმერმა სერ უილიამისათვის გადასაცემადო; და კიდევ ბედი, რომ საერთოდ ირწმუნეს სერ უილიამ კელსოსთან მისვლის მიზეზთა თაობაზე ჩემი მონათხრობი! რა თქმა უნდა, უფროსობამ სამსახურეობრივი უფლებების გადაჭარბება დამდო ბრალად, ამის გამო ოფიციალურად მიმითითეს კიდეც, ოღონდ სინამდვილეში ძალიანაც კმაყოფილნი იყვნენ ჩემით და როგორც გადმომცეს, კერძო საუბარში არც არავინ მალავდა ამას.

მართალია, სასამართლოზე არაფრის დამტკიცება არ შეგვეძლო და სერ უილიამ კელსოს თვითმკვლელობაც ნევრასთენიას დააბრალეს, მაგრამ რა მერე — ერთი თვეც არ იყო გასული, ინსპექტორის ასე უდროოდ განთავისუფლებულ თანამდებობაზე თქვენი მონა-მორჩილი რომ დაამტკიცეს.

მორტიმერმა ღვინო ჩამოისხა და ჭიქის ჩაცლაც მოასწრო, ვიდრე მე ამ უცნაურ ამბავს გადავხარშავდი.

— თუ კარგად დავუფიქრდებით, — წამოვიწყე ბოლოს და ჩემი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის შესაძენად, დინჯად შევუდექი სათვალის შუშების წმენდას, — ზოგადად ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ სამსალაგარეული ვისკის გაგზავნა იმდენად ინსპექტორ ტოტმენის თავიდან მოსაცილებლად კი არ იყო გამიზნული, რამდენადაც სწორედ თქვენი პიროვნების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად; აქედან გამომდინარე, მერე ვეღარც პერკინსის მკვლელობის თქვენეულ ვერსიას შეასმენდით ვისმე.

— სავსებით გეთანხმებით.

— მაგრამ მიხვდა, რომ მისი რაფინირებული ფსიქიკა ვეღარ ზიდავდა ასეთ ტვირთს და...

— კი, რაღაც მაგდაგვარი სავსებით შეიძლებოდა მომხდარიყო, ოღონდ ახლა მარჩიელობაა ეგ ყველაფერი.

უცბად, ერთმა აზრმა თითქოს ელვასავით გამიარა გონებაში, წამოვიწიე და გაოგნებული მივაჩერდი ჩემს თანამეინახეს.

— გახსოვთ, რა გითხრათ სერ უილიამმა?! ჩემი სავიზიტო ბარათით რომ ისარგებლეს, ყველაზე უკეთ სწორედ ეგ ფაქტი მეტყველებს ჩემს

უბრალოებაზეო. თქვენ ამაზე გიპასუხნიათ – სხვებმა იქნებ ირწმუნონ კიდეც, მაგრამ არა მეო. მერე მან სიტყვა ბანზე ავიგდოთ, ოღონდ აკი წამოცდა – როგორმე დაგარწმუნებთ, იქნებ სხვა დროსო... აი, როგორ და რანაირად! საკუთარი უდანაშაულობის დამამტკიცებელი ერთადერთი საბუთიც სწორედ ის გქონდათ, რომ თქვენი სავიზიტო ბარათი იყო ბოთლის ყელზე შებმული!

– არა, აქ ცოტა სხვა ამბავია. ჩემი უდანაშაულობა იმან გახადა სარწმუნო, რომ კონსტებლ რობერტსის ჩვენებით, სერ უილიამს სწორედ ის, მელნით ორ ადგილას დათხუპნილი ბარათი გადავეცი, რომელიც მერე ინსპექტორ ტოტმენის ბინაზე აღმოჩნდა. გარდა ამისა, პერკინსის მკვლელობის ჩემი ვერსიაც ბევრისთვის სავსებით დამაჯერებელი ჩანდა – ერთხელ მომწამლავი ვითომ სხვა დროს რატომ დაიხევდა უკან!

– ეგეც მართალია... ისე, თავად მოთხრობას რა უშავს, ოღონდ რაც თავში განვაცხადეთ, იმის საილუსტრაციოდ ნაკლებად გამოდგება.

– ვითომ რატომაო?

– პერკინსის მკვლელობის შემთხვევაში უმარტივესმა ვერსიამ გაამართლა, გეთანხმებით, მაგრამ ტოტმენის სიკვდილთან დაკავშირებით კი – რა მოგახსენოთ.

– თქვენი გამკვირვებია! ეგ როგორ?.

– ჩემო კარგო, – დაჯერებული ტონით დავიწყე და რაკი მომეჩვენა, ღვინომ ჩემს მეგობარს აღქმის უნარი ცოტა მოუჩლუნგა-მეთქი, საკუთარი საზრისის ხაზგასასმელად საჩვენებელი თითიც კი მოვიშველიე, – ინსპექტორ ტოტმენის მკვლელობის უმარტივესი ახსნა – გთხოვთ კარგად დაუკვირდეთ – ის იქნებოდა, რომ თითქოსდა სწორედ თქვენ გაუგზავნეთ მოწამლული სასმელი!

მორტიმერმა მხრები აიჩეჩა:

– მერე, განა მეც ეგრე არ მოვიქეცი?

ენა ჩამივარდა, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. სამძებრო პოლიციის უფროსი ინსპექტორი მორტიმერი კი მშვიდად განაგრძობდა თავისას:

– ტოტმენი ისედაც ყელზე მადგა, ბოლო დროს კი მთლად შემაძულა თავი, გასაქანს ხომ არა და არ მაძლევდა; მაგრამ ასეთი რამ მანამდე ფიქრადაც არ გამივლია, ვიდრე ის დალაქავებული სავიზიტო ბარათი ისევ ჩემს ხელში არ აღმოცენდა: სერ უილიამმა კალათში რომ მოისროლა და ფანჯრისაკენ შებრუნდა, მაშინ გავიფიქრე – ეს ბოლო ცალი მქონდა და თუ ამ ვაჟბატონს არაფერში გამოადგება, ეს იმას არ ნიშნავს, მეც აღარ დამჭირდება-მეთქი.

დავიხარე, ვითომდა ფეხსაცმლის თასმის შესაკრავად, თან კალათას ჩამოვეფარე — აბა, ვერაფერ მოსაწონ საქმეს რომ ჩავდიოდი, თვითონაც კარგად მესმოდა — ბარათი ამოვქექე და ის იყო, ჯიბეში უნდა მეკრა, თვალი ვკიდე მელნის ლაქებს და ისიც გამახსენდა, როგორ გამკენწლა რობერტსმა ჩემი ფეთხუმობის გამო.

იმ წამს ვიაზრე, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა...

ერთხანს ისევ ცარიელ ჭიქას აწვალებდა ხელში.

— მთავარი ისაა, სერ უილიამისა არ იყოს, დიდად არც მე მეხერხება ტყუილი. აქ კი მისხალის თქმაც არ დამჭირებია — მძივის მარცვლებივით აეწყო ყველაფერი: არც დამიმალავს, საიდან გაიგო სერ უილიამმა ტოტ-მენის დაბადების დღის ამბავი, ან ზედმიწევნით როგორ გამოიცნო მისა-ლოცი ტექსტი... გეფიცებით, ამ კაცის მიმართ აშკარად კეთილად ვიყავი განწყობილი და სხვა შემთხვევაში ასე ვერც გავწირავდი, მაგრამ აკი თვითონ მიმახვედრა, მოსამართლეებამდე ექიმებს მოუწევთ ჩემი განსჯაა — სწორედ ამ ერთმა ფრაზამ გადამაწყვეტინა ყველაფერი და საღამოხანს, ლეიზერჰედიდან დაბრუნებულ ინსპექტორ ტოტმენს საფოსტო ყუთში შეფუთული ბოთლი და ბარათი დახვდა...

მორტიმერი წამოდგა და ერთი გემრიელად გაიზმორა.

— გათავდა ამბავი, ანკი რამ გამახსენა ამდენი წლის მერე!.. მასპინძლობისთვის მადლობა მომიხსენებია, შემდეგ პარასკევს ერთად ვისადილოთ — მე გპატიჟებთ. ბოთლი ბურგუნდიული მაქვს გადანახული თქვენთვის.

ჭიქა ჩაცალა, შეტრიალდა, მძიმე ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან და, გაოგნებული, საკუთარ ეჭვებს შემატოვა.

"...ერთხელ მომწამლავი ვითომ სხვა დროს რატომ დაიხევს უკან..."

არა, პარასკევს მაინც რა გინდა რომ ქნა?!

თარგმანი: ვიო ქუჩხუნიძე

11 Rules of Driving a Car in Georgia

Driving a car in Georgia, namely, in Tbilisi – since it is the hub of the country due to its status of the Capital and most populous city of Georgia – is no joyride. But, since a man is an adaptable being, don't leave hope that sometime you'll get used to driving in the streets of Tbilisi the way you do it in New York, Boston or, say, Bangkok. Though 'Sometime' is the key word here.

1. Rule #1 for the visitors: Don't drive a car in Georgia if you can afford it. Better hire a local driver. It'll give you the chance to shut your eyes while your car darts about the erratic traffic crowding the city roads. This will save you from uncalled for apoplectic stroke.

2. Most of drivers here ignore elementary rules, such as switching on and off the right or left turn indicator or jumping from the first lane to the third and back. By and large, nobody in particular follows all traffic rules. However, you don't have to imitate the other drivers. Observe the rules: it may not help you but it'll allay your conscience.

3. Don't give excessive sound signals or make insulting gestures. Doing this, you're on your way to trouble and consequently, to the hospital bed.

4. The road signs here serve as mere street decorations. Nobody observes speed limit, and 'No parking' sign is viewed as a challenge worth overpowering.

5. Hazards lurk on the roads of Georgia. Don't get us wrong: contrary to Moscow nobody's going to shoot you and take your car away. Your enemies here are potholes and uncovered sewage wells. They are there to tear the wheels off your car. If the traffic light is out of order, nobody gives way to another driver. Everybody is engaged in the 'Free for all' game. The gutsiest driver with steal ropes instead of nerves wins.

6. Drivers of cars with special number plates behave most uncivilly and crudely. There are cars bearing number plates with special series of letters which we advice keep away from. For instance, AAA series means that the car belongs to the Parliament or the Government. MSS reads as Ministry of State Security; POL and PAL is Police and VIP means what it says. Meanwhile, you can ignore such combination of letters as: TOY, OAK, END, GOD, TXT, FUK, DAD, GUY, etc.

7. Public means of conveyance pose variety of dangers: taxis, mini-buses, and coaches may cut in the moving line of traffic, take over other cars on the rightside or make a sudden U-turn. You have to take heed of all of them. Always be on guard. Attention! You get bonus points here: you can do all above listed things to them and get away unpunished!

8. Beware of policemen, pedestrians, and women drivers. No need to dwell on the police – cops are alike everywhere. As for Georgian pedestrians, their favorite pastime is crossing streets at the most hazardous and restricted places. Treat them with great care because running over the jaywalkers in Georgia is viewed as the lack of good manners.

Women drivers are another issue yet. They are much worse drivers then men. That is the only instance when Georgian feminists don't care to be equal to the other half of humanity.

9. To sum it up: the worst drivers in Tbilisi are women – especially, if they're driving a right-wheel car, taxi drivers and drivers of red or black BMW. Drivers of other models – such as WV, Audi, Suzuki, and Nissan – are no danger. Beware of black or red BWMs and little racing Hondas. So, the worst nightmare an ordinary Georgian driver can imagine is woman driving a right-wheel black or red BMW with the emblem of taxi on its roof…

10. If, God forbid, you crashed into another vehicle or somebody crashed into your car, stay in your automobile and call the insurance company and the patrol: phone number – 022. In case your car isn't insured, talk with your vis-a-vis and settle the incident amicably. No need to call police.

11. Go back to rule #1: don't drive a car in Tbilisi if you can avoid it. Especially, if you have no experience of driving in New York, Mexico City or, say, Damask. There is a dozen of cities worldover where they drive as badly as the Tbilisi drivers do, or even worse… Stop! Let me take my word back – worse is impossible!

<u>P.S.</u> by Angus Dalrymple-Smith: Most people I know in Georgia smoke like a chimney, drink quantities of alcohol that would cause an elephant's liver to pack up and, on a daily basis, risk life and limb by driving like a maniac and refusing to wear a seatbelt. And yet everyone I know is suddenly aghast when I say that I still eat chicken, because they believe some badly researched news item, based on not one ounce of science that their neighbor saw sometimes last week...

© Profile

ლაზი ჩონგია

ფანჯარეჯური

ღამეამინდრე...
მჟეენი ნელების სიფუი ანურეული,
ანეანე მეულებუი ალეარილი უუჟი,
ენებისმიგვრელი რინგინი ფანის,
ლიმილი ეურმნელი...

ფარსულში ჩენი არგეფნიბის მიმიფეა სეენლა.

ეპიტაფია საკუთარ თავზე:

ხიეოეხლემახკალი – ემეელოს...

შემდეგი წლის პირველ ნომერში იხილავთ:

ამონარიდები წიგნებიდან:

ამოუცნობი საიდუმლო: *გრაალი — თასი თუ „სისხლი სამეუფეო...“*
თომას ლ. ფრიდმენი: „ლექსუსი და ზეთისხილის რტო“
აკა მორჩილაძე: ჯერეთ გამოუქვეყნებელი ნაწერები

დავით ზურაბიშვილი:
„რა ენა წახდეს...“ (სოფლის დეგენერირება ანუ რათდენობრივ-ტექმბლეიტურ აზროვნებაში ჩაკარგულები)

მიზანტრობის ჩანაწერები
გოთიკური ისტორიები
სალაღობო დეტექტივი

და ზოგიც კიდევ სხვა...

ISSN: 1512-3375